ნოდარ ნაკაიძე

პეტრეს პირველი

„ნაკადული"
თბილისი
1975

С [47] [პეტრე პირველი]
ნ 215

წინამდებარე მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი ასახავს პეტრე პირველის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და გამიზნულია უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის.

© „ნაკადული“, 1975 წ.

70803—12
Н ——————— 126—75
М—603 (08)—75

შესავალი

მოსკოვის მსროლელთა უფროსის, პოლკოვნიკ არტამონ მატვეევის სახლში უჩვეულო ფუსფუსი იყო. ერთ-ერთ ოთახში ამსტერდამელი იოჰან გოდფრიდი ნიღბებსა და ტანსაცმელს უნაწილებდა არტამონის შინაყმებს, რომელთაც ახალი სანახაობა უნდა ეჩვენებინათ სახლის პატრონისათვის.

მატვეევის სახლის სტუმრებისათვის უკვე უცხო აღარ იყო თეატრალური წარმოდგენები, არც არტამონის მდიდარი ბიბლიოთეკა, არც ევროპულ სამოსში გამოწყობილი მსახურები და არც ის, რომ არტამონის შვილი, ანდრეი, ევროპულ განათლებას ეწაფებოდა, ხოლო მეუღლე, შოტლანდიელი ემიგრანტის, ჰამილტონის, ქალი, სტუმართა მიღებას ესწრებოდა და მეუღლესთან ერთად სადილობდა. არტამონის ოჯახის ეს სიახლენი ბევრს ეხამუშებოდა და ეთაკილებოდა, მაგრამ ხმამაღალ საყვედურს ვერ ბედავდა — მატვეევს თვით მეფე მფარველობდა და მისი ოჯახის ხშირი სტუმარიც იყო. აი, დღესაც მოხუცი მატვეევი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მზადებას — მეფეს ელოდა.

...ქუჩიდან ხმაური მოისმა. მატვეევი სწრაფად გავიდა გარეთ და ჭიშკართან შეეგება მეფის კარეტას, თაყვანი სცა და პარმაღამდე მიჰყვა. სუფრაჯმა კარეტის კარი გამოაღო. კარეტიდან გადმოვიდა ორმოციოდე წლის, საშუალო ტანის, მსუქანი და ღიპიანი, წითელლოყება და ცისფერთვალება კაცი, დამხვდურთ მიესალმა და სახლში შევიდა. ეს იყო დიდი ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი

ალექსი მიხეილის ძე, თვითმპყრობელი სრულიად დიდი და მცირე და თეთრი რუსეთისა.

მატვეევის ჯალაბმა მოწიწებით თაყვანი სცა სტუმარს. მეფის ყურადღება მიიპყრო 17—18 წლის ლამაზმა ქალიშვილმა, მატვეევის ნათესავის, სეფრაჯისა და რეიტართა პოლკოვნიკის კირილე ნარიშკინის ქალმა ნატალიამ. იგი არტამონის ოჯახში იზრდებოდა...

ალექსი მეფე ახალი დაქვრივებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მეუღლის, მარია მილოსლავსკაიასაგან საკმაოდ მრავალრიცხოვანი მემკვიდრეობა შემორჩა, მეფე მაინც გულისტკივილით შეჰყურებდა ცოცხლად დარჩენილ ვაჟებს — ოვდორესა და ივანეს, ავადმყოფსა და გამხდარ ბავშვებს[1]. ივანე, ამასთან ერთად, გონებასუსტიც იყო. გასაგები იყო ალექსი მეფის განწყობილება და მისი გადაწყვეტილებაც ხელმეორედ დაქორწინების შესახებ.

არტამონ მატვეევი არ ეკუთვნოდა მოსკოვის ძირძველი გვარების წარმომადგენლებს. ის უფრთხილდებოდა თავის ურთიერთობას მეფესთან, მაგრამ, სხვა ფავორიტებისაგან განსხვავებით, ცდილობდა ნაკლებად ეაქტიურა და მოსკოველი ბოიარები მტრად არ მოეკიდებინა. ამიტომაც, თუმცა მოწიწებით მოისმინა მეფის გადაწყვეტილება ნატალია ნარიშკინაზე დაქორწინების შესახებ, ამ ცნობას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. პირიქით, მოკრძალებულად, მაგრამ მტკიცედ მოითხოვა, რომ მეფეს დაეცვა მოსკოვის სახელმწიფოში არსებული წესი სადედოფლოს არჩევისა. მეფე დათანხმდა.

...1669 წელს მოსკოვის კრემლის მონოტონური ცხოვრება დაირღვა. მის პალატებში — სასახლის ექვს დარბაზში — სამოცდაათამდე ულამაზესი ქალიშვილი ჩასახლდა და დაიწყო მოსკოველი მანდილოსნებისათვის ჩვეული ცხოვრება — კარჩაკეტილი, ერთფეროვანი და მოსაწყენი. მაგრამ დალამებისთანავე დიდი გამოცოცხლება იწყებოდა: დარბაზი ხალხით ივსებოდა, ალექსი მეფე და მისი პირადი ექიმი ქალიშვილებს ათვალიერებდნენ. ღღისით კი გოგონებს სეფე-ქალები სიწყავდნენ დიდი გულისყურით.

---

1 მილოსლავსკაიასთან ალექსი მეფეს ჰყავდა ექვსი ქალი და ხუთი ვაჟი, რომელთაგან ამ დროს ცოცხალი იყო ხუთი ქალი და ორი ვაჟი.

ასე არჩევდნენ მეფის საცოლეს. ეს წესი ბიზანტიიდან მოდიოდა და პირველად მას ივანე III-მ მიმართა, როცა თავისი ვაჟისათვის საცოლე ათას ხუთასი ქალიშვილიდან შეარჩია. ივანე IV-მაც ამდენივე სადედოფლო გასინჯა. ალექსიმ პირველი მეუღლე ორას ქალიშვილში გამოარჩია. მაგრამ ახლა დათვალიერებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა (თუმცა იგი შვიდ თვეს გრძელდებოდა) და 1670 წლის მაისში მეფის საცოლედ ნატალია ნარიშკინა გამოცხადდა[1]. 1671 წლის 22 იანვარს კი მეფის ქორწილი გაიმართა.

რუსული ქორწილი მეტად საინტერესო რიტუალებისა და ცერემონიებისაგან შედგებოდა. მას ძირითადად ორი მხარე ჰქონდა— საეკლესიო კურთხევა და სუფრის წეს-ადათი. ყოველ რიტუალს შესატყვისი შემსრულებელი და მეთვალყურე ენიშნებოდა. მაგრამ უმთავრეს როლს ასრულებდა ე. წ. „ტისიაცკი“, რომელიც ჯვრისწერისა და ქორწილის მთელი მსვლელობის მთავარი განმკარგულებელი იყო. ამ ამბების თანამედროვე გრ. კოტოშიხინი მას „დიდ კაცს“ უწოდებს. იგი იწვევდა სტუმრებს, ქორწილზე მისი სახელით წარმოითქმებოდა სიტყვა და იგზავნებოდა საჩუქრები. რუსი ლექსიკოგრაფის დალის განმარტებით, „ჩვეულებრივად, ის ნათლიაა, იგივე სიძის მამობილი, საქორწილო წესების განმკარგულებელი, უცვლის ბეჭდებს შეუღლებულებს, იხდის ქორწილის ფულს და შეუღლებულნი სახლში მიჰყავს“.

აი, ეს თანამდებობა ეჭირა ალექსი მეფის ქორწილში კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის შვილიშვილს, 25 წლის ბატონიშვილ ერეკლეს, რომელიც მოსკოვში ნიკოლოზ დავითის ძედ იწოდებოდა.

(ერეკლე ბატონიშვილი მოსკოვში ჯერ კიდევ 1652 წელს ჩავიდა, თეიმურაზ მეფის სურვილით და ალექსი მეფის მიწვევით. ეს ფაქტი საქართველო-რუსეთის კეთილმეგობრული დამოკიდებულებისა და თეიმურაზ მეფის საგარეო პოლიტიკის გამოვლინება იყო. ერეკლე მოსკოვის კარზე წლების მანძილზე იზრდებოდა და უპირველეს პირად ითვლებოდა. იგივე გრ. კოტოშიხინი გადმოგვცემს: „როცა საქართველოს ბატონიშვილი თავის დედასთან ერთად მოსკოვში იმყოფება, მას

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ დათვალიერებაზე მყოფი ქალიშვილების ღირსება დიდად იზრდებოდა და შემდგომ ისინი სასურველ საცოლეებად ითვლებოდნენ.

ისეთსავე პატივს სცემენ, როგორც მეფის ნამდვილ შვილს: მას, დედამისს, მის ხალხს ყველაფერი მეფური აქვთ — ტანსაცმელიც, საცხოვრებელიც, სასმელ-საჭმელიც". პოლონელი მოგზაურის, ი. რეიტენფელსის სიტყვით, „ერეკლე ბატონიშვილს კიტაიგოროდში[1] „უბრწყინვალესი სახლი" ჰქონია. ი. რეიტენფელსი წერს: „ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ მას მოსკოვში, სადაც იგი კერძო პირივით ცხოვრობდა დეღასთან, უკეთილშობილეს და უჭკვიანეს ქალთან ერთად. მის ღირსეულ ვაჟს აქვს მეფური გარეგნობა და სული, სრულიად შეულახავი თავისი უბედური ხვედრით. საზეიმო გამოსვლების დროს ის მეორეა მეფის შემდეგ. ხელმწიფე ყოველწლიურად ბრწყინვალე ჯამაგირს აძლევს მას".

ერეკლეს დედა, დედოფალი ელენე ასეთივე პატივით იყო მიღებული მარია დედოფლის კარზე. ხოლო ნატალია ნარიშკინას ორმოცდაოთხ სეფე-ქალს შორის პირველი იყო „საქართველოს დედოფალი ელენე ლეონტის ასული".

ერეკლე ბატონიშვილი ახლადშობილ პეტრეს ნათლობის ზეიმზეც (1672 წლის ივნისში) გამორჩეული იყო. მაგრამ 1674 წლის თებერვალში ის საკმაოდ ცივად გამოისტუმრეს საქართველოში. წყაროები არ ხსნიან ალექსი მეფის მოულოდნელი გულგრილობის მიზეზს. ერეკლე ირანში წავიდა, გამაჰმადიანდა (ეს ფორმალური აქტი მაშინ აუცილებელი პირობა იყო ქართლ-კახეთის ტახტის მაძიებლებისათვის) და ნაზარალი-ხანის სახელით კახეთში გამეფდა. იგი იყო თეიმურაზ II-ის მამა და ერეკლე II-ის პაპა).

ალექსი მეფის ახალ შეუღლებას სასახლის კარზე სავსებით ბუნებრივი შედეგები მოყვა. ამაღლდნენ არც თუ ისე დიდგვაროვანი ნარიშკინები, განზე გადგნენ მილოსლავსკები. არტამონ მატვეევმა მალე სათათბიროს აზნაურობა და საელჩო პრიკაზის უფროსობა მიიღო (ეს თანამდებობა მეფემ ყოფილ ფავორიტს, რუსეთის ერთ-ერთ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს ათანასე ორლინნაშჩოკინს ჩამოართვა). პეტრეს დაბადების შემდეგ კი მატვეევს ჯერ ოკოლნიჩის და მალე ბოიარის წოდება მიანიჭეს.

---

[1] მოსკოვის უბანია, კრემლთან მდებარე.

დიდი იყო აღზევებულთა აღტაცება, როდესაც 1672 წლის 30 მაისს დედოფალს ვაჟი შეეძინა. დიდი იყო მეფის სიხარულიც, რომელმაც იმედის თვალით შეხედა რომანოვების დინასტიის მომავალს. მაგრამ, რასაკვირველია, არავის მოსვლია აზრად, რომ დაიბადა ადამიანი, რომელსაც წილად ხვდა უდიდესი და ურთულესი მისია — გარდაექმნა ჩამორჩენილი მოსკოვის სახელმწიფო და დაეყენებინა ის ევროპული განვითარების გზაზე.

ახლადდაბადებულს პეტრე დაარქვეს...

ბოიარული რუსეთი

„ჩვენ სიბნელიდან სინათლეზე გამოვედით“

პეტრე

რომანოვების დინასტიამ მემკვიდრეობად მიიღო „დიდი არეულობის“ შედეგად აოხრებული სოფელ-ქალაქები, დაცარიელებული ხაზინა, შეკვეცილ-შეჭრილი ტერიტორია. პოლონეთმა და შვედეთმა მჭიდროდ ჩაუკეტეს მოსკოვს ევროპასთან დამაკავშირებელი გზები და რუსეთი ივანე III-ის პერიოდის საზღვრებში მოაქციეს. პოლონელთა ხელში აღმოჩნდა არა მარტო უკრაინა და ბელორუსია, არამედ სმოლენსკის, ჩერნიგოვისა და ნოვგოროდ-სევერსკის მიწებიც. შვედებმა კი დაიკავეს ძველი რუსული სიმაგრეები ბალტიის მისადგომებზე — იამი, კოპორიე, ორეშოკი. განსაკუთრებით მძიმე იყო სმოლენსკის ციხეში პოლონელთა გარნიზონის ატანა.

მოსკოვის მთავრობა თავის უპირველეს ამოცანად XVII საუკუნეში სწორედ ამ მიწების გათავისუფლებას ისახავდა. რამდენიმე მარცხიანი ცდის შემდეგ მოსკოვის მთავრობამ შეძლო უკრაინელი ხალხის ვამათავისუფლებელი მოძრაობის გამოყენება და 50-60-იან წლებში წარმატებით გადაწყვიტა ეს გადაუდებელი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა. შესანიშნავი რუსი დიპლომატისა და მოღვაწის ორდინ-ნაშჩოკინის წყალობით 1667 წელს მოსკოვსა და პოლონეთს შორის ანდრუსოვოში დაიდო ზავი, რომელმაც რუსეთს დაუბრუნა არა მარტო თავისი, არამედ უკრაინულ-ბელორუსული მიწების დიდი ნაწილი კიევითურთ. ეს დიდი წარმატება იყო. ათანასე ორდინ-ნაშჩოკინი, რომელსაც უცხოელები კანცლერს უწო-

დებღნენ, პირველად მოსკოვის სახელმწიფოს ისტორიაში გახდა „მეფის დიდი ბეჭდისა და დიდ სახელმწიფო საელჩო საქმეთა მცველი“. ხოლო ალექსი მიხეილის ძემ მიიღო „სრულიად დიდი და მცირე და თეთრი რუსეთის თვითმპყრობელის“ ტიტული.

მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს წინაშე კვლავ იდვა ორი გადაუდებელი ამოცანა — თურქეთის გამუდმებული აგრესიის აღკვეთა და ევროპასთან უშუალო კავშირის დამყარება.

XVI-XVII საუკუნეებში მოსკოვის სახელმწიფოს ურთიერთობა თურქეთთან ძირითადად თავდაცვით ხასიათს ატარებდა. უკრაინის შემოერთებამ რუსეთი უფრო დაუახლოვა შავ ზღვას და თურქეთ-ყირიმს. შესაბამისად გაიზარდა თურქ-თათართა აგრესიის საფრთხე. განსაკუთრებით მძიმე და დამამცირებელი იყო ხარკი, რომელსაც „მოსაკითხი“ ერქვა და მოსკოვი ყირიმის ხანს უხდიდა. მარტო XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვის სახელმწიფომ ყირიმელ თათრებს ცხრაასი ათასზე მეტი მანეთი გადაუხადა, ამავე პერიოდში ყირიმელებმა ტყვედ წაიყვანეს ორასი ათასამდე რუსი. XVII საუკუნეში მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ თურქეთის ძლიერება უშუალოდ იყო დამოკიდებული „ტყვეების იმპორტზე“. ყოველწლიურად თურქეთში 20 ათასამდე ტყვე მიჰყავდათ, უპირატესად ყირიმელ თათრებს და უპირატესად რუსეები.

ანდრუსოვოს ზავმა უფრო გაამწვავა თურქეთთან ურთიერთობა. სულთანის არმიამ 1672 წელს კამენეცი აიღო და მუდმივ შიშში ჰყავდა რუსები. 1676 წელს კი რუსეთს და თურქეთს შორის ომი დაიწყო, თუმცა 1681 წლის ბახჩისარაის ზავით სულთანი იძულებული გახდა ეცნო უკრაინისა და კიევის რუსეთთან შეერთების ფაქტი. ამ დროს ევროპაში ანტითურქული კოალიცია შეიქმნა. რუსეთს ყირიმზე ლაშქრობა დაევალა და მოსკოვის არმიამ, ვ. გოლიცინის სარდლობით, ორგზის ილაშქრა ყირიმელ თათართა წინააღმდეგ (1687-1689 წწ.), მაგრამ უშედეგოდ. ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობა კი თავისთავად გულისხმობდა პოლონეთთან მშვიდობასა და კავშირს. ამის გამოხატულება იყო 1686 წლის „საუკუნო ზავი“, რომლის მიხედვით პოლონეთმა ცნო ანდრუსოვოს ზავის პირობები და უკრაინასა და კიევზე საბოლოოდ აიღო ხელი. ამის სანაცვლოდ მოსკოვის მთავრობამ ორასი ათასი მანეთი გადაუხადა პოლონეთს.

მოსკოვის სახელმწიფოს სამინაო მდგომარეობას XVII საუკუნეში უკეთესობა დაეტყო. „დიდი არეულობის“ შედეგად აფორიაქებული ქვეყანა ნელა, მაგრამ მაინც მშვიდდებოდა. შეიქმნა ერთიანი რუსული ბაზარი, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ეკონომიკის გამოცოცხლებას. 30-იან წლებში ჰოლანდიელი საქმოსნის ანდრია ვინიუსის ინიციატივით რუსეთში დაარსდა პირველი მანუფაქტურები. ძოვარობის ენერგიული ხელშეწყობით ვითარდებოდა ვაჭრობა. ევროპის ქვეყნების მტკიცედ დადგომას კაპიტალისტური განვითარების გზაზე არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა რუსეთზე. ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინს XVII საუკუნე რუსეთის ისტორიაში ახალ პერიოდად მიაჩნდა.

მაგრამ მოსკოვის ბოიარული სახელმწიფო ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩენილი იყო.

სახელმწიფოს ერთპიროვნულსა და შეუზღუდავ განმგებელს წარმოადგენდა მეფე, რომლის ავტორიტეტი რუსეთში განსაკუთრებით დიდი იყო. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მოსკოვში ჩამოსული ავსტრიელი ჰერბერშტეინი ხაზს უსვამდა მეფის ხელისუფლების ამ თავისებურებას: „იტყვის მეფე და გაკეთებულია; საერო და სასულიერო პირთა, წარჩინებულთა და მოქალაქეთა სიცოცხლე და ქონება მთლიანად მის ნებაზეა დამოკიდებული. ვერავინ ეწინააღმდეგება, ყველაფერში სამართლიანია. როგორც უფალი. რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ დიდი მთავარი ზეციური ნების შემსრულებელია — ასე სურს ღმერთსა და ხელმწიფეს. უწყის ღმერთმა და ხელმწიფემ, — ამბობენ ისინი“.

ამასვე გადმოგვცემს ი. რეიტენფელსი, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში იყო მოსკოვში. მეფეაო ყველაფრისა და ყველას განუკითხავი მფლობელ-პატრონი. ქვეშევრდომებს მისი ნებართვის გარეშე არ შეუძლიათ იმოგზაურონ, უცხოელთან იქორწინონ, ხელი მოჰკიდონ მეცნიერებას ან ხელოვნებას, ივსჯელონ სარწმუნოების შესახებ და ა. შ. საქმე იქამდე მიდის, — წერდა ავტორი, — რომ, როცა ქვეშევრდომს გაჯოხავენ ან სხვარიგად დასჯიან, ის მადლობას უხდის მეფეს წყალობისათვისო.

ასე რომ, გასაგები უნდა იყოს რუსეთის გლეხთა აჯანყებების „ცარისტული“ ხასიათი და მათი მეთაურების „მეფედ“ გამოცხადების ფაქტები. გლეხობის დარაზმვა „სამართლიანი მეფის“ ლოზუნ-

გით უფრო იოლი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ძირეული სოციალური გარდაქმნების მოთხოვნით...

ალექსი მეფე თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული იყო, უყვარდა ვრცლად და ჩახლართულად წერა, ბევრს კითხულობდა, მაგრამ მაინც ბოიარული რუსეთის ტიპიური შვილი იყო. ის, როგორც ჩანს, გრძნობდა ევროპული კულტურის ათვისების აუცილებლობას. ამით უნდა აიხსნას, რომ მეფე სიამოვნებით ესწრებოდა არტამონ მატვეევის ოჯახში გამართულ სანახაობებს, დიდი ყოყმანის შემდეგ უცხოელთა მიერ დადგმული წარმოდგენის ნახვაც გადაწყვიტა, თუმცა ავტორებს დიდი ჯაფა დაადგათ, ვიდრე მეფეს წარმოდგენის თანმხლები მუსიკის მოსმენაზეც დაითანხმებდნენ.

ალექსი მეფეს რევოლუციამდელი ისტორიკოსები საკმაოდ ლმობიერ და კეთილ პიროვნებად ახასიათებდნენ, ხალხმა კი მას დაცინვით „უმშვიდესი“ უწოდა განსაკუთრებული სისასტიკის გამო. მაგალითად, გრ. კოტოშიხინის გადმოცემით, ე. წ. „სპილენძის ამბოხების“ დროს ალექსიმ დაიჭირა, აწამა და სიკვდილით დასაჯა შვიდი ათასამდე კაცი. მათ შორის უამრავს მოჰკვეთეს ხელი, ფეხი, თითები, სახეზე დაღი დაასვეს (ასო „ბ“ — „ბუნტოვშჩიკი“), გაჯოხეს და გადაასახლეს. ასეთივე სისასტიკით გაუსწორდა მეფე რაზინის აჯანყების მონაწილეებს, სოლოვკის მონასტრის ამბოხებას და ა. შ.

მეფე ძალზე განმარტოებულად ცხოვრობდა. ასევე იზრდებოდნენ მეფის ოჯახის წევრებიც. ი. რეიტენფელსის დაკვირვებით, მეფის შვილებზე უარყოფითად მოქმედებდა ეს კარჩაკეტილი და მჯდომარე ცხოვრება, ამით აიხსნებაო მათი სისუსტე, ავადმყოფობა და ბავშვების ხშირი სიკვდილიანობა.

მოსკოვის სახელმწიფოს უმაღლეს სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ ბოიარები. ამ წოდებას მეფე ანიჭებდა. ბოიართა რიცხვი არ იყო დიდი — ბორის გოდუნოვს 26 ბოიარი ჰყავდა, ალექსის — 33, თევდორე ალექსის ძეს — 24. ბოიარების ძირითადი საქმიანობა იყო სათათბიროში ჯდომა — სიასამურის სამოსით. ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ბეწვის მაღალ ქუდს მეფის წინაშეც არ იხდიდნენ. პრიკაზებსაც ძირითადად ბოიარები ხელმძღვანელობდ-

ნენ. ბოიარი მხოლოდ ერთ ქვეყანაში — პოლონეთში იგზავნებოდა ელჩად.

„ოკოლნიჩი“[1] საზღვრისპირა ქალაქებსა თუ საქმეებს განაგებდა უმთავრესად. ოკოლნიჩები ელჩებად იგზავნებოდნენ შვედეთსა და ირანში.

სუფრაჯი ძირითადად სასახლის თანამდებობა იყო. ივანე III-ის დროს დაარსებული. სუფრაჯი მეფის ამალაში შედიოდა. ხვდებოდა უცხოელებს, ესწრებოდა ელჩების მიღებას, თვითონაც ინიშნებოდა ელჩად. ომიანობის დროს სუფრაჯები სამხედრო სამსახურში მიდიოდნენ.

სუფრაჯებზე დაბლა იდგნენ სასახლის სხვა ჩინები, ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი დანარჩენი აზნაურობა.

გაბატონებული კლასების ამ იერარქიაში უდიდეს როლს ასრულებდა თანამდებობის დაკავების ძველი წესი, რომელსაც „მეადგილეობა“ ეწოდებოდა. ამ წესის მიხედვით, ამა თუ იმ თანამდებობის დაკავების დროს მხედველობაში უნდა მიეღებულიყო გვარის ისტორია თუ დამსახურება. პირად თვისებებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. რასაკვირველია, ზედმეტია ამ წესის მავნე შედეგებზე ლაპარაკი...

სახელმწიფო საქმეებს მეფე ბოიართა სათათბიროში განიხილავდა. დოკუმენტიც შესაბამისად იწერებოდა — „მეფემ ბრძანა და ბოიარებმა განაჩინეს“. ქვეყნის ყოველდღიური საქმეები პრიკაზებს ებარათ, რომელთა რიცხვი ამ დროს 42-ს აღწევდა. პრიკაზების საქმიანობის ძირითადი სიმძიმე მოსკოვის სახელმწიფოს ჩინოვნიკთა ზედა ფენის — დიაკების მხრებზე გადადიოდა.

რუსეთის ქალაქებისა და პროვინციების სამოქალაქო და სამხედრო მმართველებს ვოევოდები ეწოდებოდათ. ისინი სამი წლით ინიშნებოდნენ და ხელფასის ნაცვლად თავისი საგანმგებლოს შემოსავლის ათ პროცენტს იღებდნენ. მაგრამ, ბუნებრივია, ამით არ კმაყოფილდებოდნენ. გამოძალვითა და, განსაკუთრებით, მექრთამეობით მდიდრდებოდნენ და განუკითხავად ბატონობდნენ თავის სამფლობელოში. ისინი ასრულებდნენ სასამართლოს, გადასახადების ამკრეფის, პოლიციის ფუნქციებს. რასაკვირველია, მმართველობის ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

[1] სიტყვიდან „окольность“ — საზღვარი

მეჭრთამეობა, როგორც ჩანს, იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ, როცა ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი ალექსი მეფის ახლობელ ბოიარებს ახასიათებს, წერს: „თავად ივ. ხილკოზე შემონახულია ცნობა, რომ ქრთამს არ იღებდა, მაგრამ ძალზე მკაცრი იყო“...

ქალაქები ღარიბი, საშინელი გზების გამო ერთმანეთს მოწყვეტილი და დაშორებული იყო. ძირითადად ქალაქის მოსახლეობაც სოფლის მეურნეობას მისდევდა. მხოლოდ ვაჭრები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ფენას. მათ შორის გამოირჩეოდნენ დიდვაჭარნი, რომლებიც დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და თითქმის უტოლდებოდნენ აზნაურებს. ისინი მხოლოდ ბითუმად ვაჭრობდნენ. დიდ როლს ასრულებდნენ ე. წ. მაუდის ვაჭრებიც, რომლებიც ქსოვილებით ვაჭრობდნენ და უცხოეთში დადიოდნენ. დანარჩენებს კი შავი ვაჭრები ეწოდებოდათ — ესენი ვაჭრობას ეწეოდნენ ქვეყნის შიგნით.

1551 წელს მოსკოვის მეფემ ივანე მრისხანემ ჩამოაყალიბა მუდმივი ჯარი, რომელსაც სამეფო კარი უნდა დაეცვა და საერთო რუსული არმიის შეყრამდე მეფის ბრძანებისამებრ ემოქმედა. ჯარისკაცები ცეცხლმსროლელი იარაღით აღჭურვეს და სახელიც შესაფერი უწოდეს — „მსროლელები“[1]. მოსკოვის მთავრობამ ისინი ცალკე დაასახლა და ჯამაგირიც გაუჩინა — ხაზინა წელიწადში 110 მანეთს უხდიდა მათ. მსროლელები თავდაპირველად „პრიკაზებად“ იყოფოდნენ, თევდორე ალექსის ძის დროს კი პოლკებად ჩამოყალიბდნენ. პოლკში ჯარისკაცთა რიცხვი 300-დან 1000-მდე მერყეობდა. მათ საერთო ხელმძღვანელობას მსროლელთა პრიკაზი უწევდა. მარტო მოსკოვში 20-მდე პოლკი იყო განლაგებული. მსროლელები განსაკუთრებულ დაბებში ცხოვრობდნენ, ჰყავდათ ცოლშვილი, ჰქონდათ ვაჭრობის, ხელოსნობის, მიწის დამუშავების უფლება, გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადთა ნაწილისაგან და ა. შ. ალექსი მეფის დროს მათი რიცხვი 40 ათასს აღწევდა, აქედან 15 ათასი მარტო მოსკოვზე მოდიოდა. მათ შორის გამორჩეული იყო ე. წ. „მეუზანგეთა პოლკი“, რომელსაც მეფის

---

1 Стрелец — ქართულად ეს სიტყვა რატომღაც „მეთოფედ“ თარგმნეს და დაამკვიდრეს.

თანხლება და დაცვა ევალებოდა. მსროლელობა მემკვიდრეობით გადადიოდა.

აღნიშნული პრივილეგიები დიდ დაღს ასვამდა მსროლელთა დისციპლინას. რაც დრო გადიოდა, მათი ხვედრითი წონაც იზრდებოდა სახელმწიფოში, თურქი იანიჩრების მსგავსად. ისინი ასრულებდნენ აგრეთვე პოლიციისა და მეხანძრეთა ფუნქციებს.[1] თანდათან მსროლელთა ლაშქარი აღვირახსნილ ბრბოს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე რეგულარულ ჯარს.

მსროლელები რუსეთის არმიის ბირთვსა და ავანგარდს წარმოადგენდნენ. მათ მხოლოდ რუსი სუფრაჯები სარდლობდნენ. ქვეით ჯარს ქმნიდნენ მობილიზებული კაზაკები და ძალზე ჰრელად შეიარაღებული გლეხობა, ცხენოსნებს კი — თავადაზნაურობა.

XVI საუკუნის ბოლოს, ბორის გოდუნოვის ინიციატივით, ჩამოყალიბდა უცხოური წყობის ჯარი, რომელიც პირველად 2500 უცხოელს აერთიანებდა (პოლონელებს, ლივონიელებს, შოტლანდიელებს, დანიელებს, შვედებს, ავსტრიელებს, ფრანგებს, ბერძნებს). მათ ხაზინა ინახავდა. მეთაურად უცხოელი ჰყავდათ. ეს რაზმი „დიდი არეულობის“ დროს დაიშალა.

მიხეილ რომანოვის დროს კვლავ სცადეს ამ სახის ჯარის აღდგენა და რამდენიმე ასეულიც ჩამოაყალიბეს (ძირითადად ბერძნების, სერბებისა და ვალახებისაგან). მალე მთავრობამ უარი თქვა მხოლოდ უცხოელებისაგან შემდგარ პოლკებზე და საზღვარგარეთიდან რუსეთის სამსახურში მარტო ოფიცრებს იწვევდა.

ალექსი მეფის დროს რუსეთში შემოსულ უცხოელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 30-წლიანი ომის შემდეგ ევროპაში უსაქმოდ დარჩნენ ლანდსკნეხტები, რომლებიც სიამოვნებით გამოეხმაურნენ მოსკოვის მეფის მოწოდებას და რუსეთში გადმოსახლდნენ. პირობებიც ჩინებული იყო — სარწმუნოების თავისუფლება, დიდი ჯამაგირი, მამული, ვადის გასვლის შემდეგ უკან დაბრუნების უფლება. შეიქმნა უცხოური წყობის ჯარი, რომელიც 90 ათასამდე კაცს ითვლიდა. ეს ჯარი სხვადასხვა სახეობისა იყო. რეიტარები

---

[1] გრ. კოტოშიხინის გადმოცემით, ხანძრის ჩაქრობის შემდეგ მსროლელებს გაამწკრივებდნენ და გაჩხრეკდნენ, რათა არაფერი მიეთვისებინათ იმ ალიაქოთში. ვინც ამ ჩხრეკაზე არ გამოცხადდებოდა, გაჯოხვა ელოდა.

(ცხენოსანები) მშვიდობიანობის დროს თავიანთ მამულებში ცხოვრობდნენ. წელიწადში ერთხელ, ჩვეულებრივ, შემოდგომაზე, გამოჩნდებოდა პოლკოვნიკი, გასინჯავდა იარაღსა და ამუნიციას და რამდენიმე წვრთნას ჩაატარებდა.

თუ დაქირავებული უცხოელი დაიჭრებოდა ან მოკვდებოდა, მის ოჯახს მუდმივად უხდიდნენ ჯამაგირის ნახევარს. თუ იგი ვადის გასვლის შემდეგ დარჩენას მოისურვებდა, სრულ ჯამაგირს უტოვებდნენ, ხოლო თუ რუსეთს დატოვებდა, შეუფერხებლად უშვებდნენ.

1647 წელს არმიისათვის სპეციალური წესდება გამოქვეყნდა, მაგრამ მას არავინ უწევდა ანგარიშს და ყოველი პოლკოვნიკი თავის ჭკუაზე მოქმედებდა.

ეს არმია ვერ ჩაითვლებოდა რეგულარულ არმიად. წვრთნაზე ბევრი არ ცხადდებოდა, ვინც მოდიოდა, ხშირად დაჟანგებული ან გაფუჭებული იარაღით. სროლას მიუჩვეველი ცხენი პირველსავე გასროლაზე ფრთხებოდა და ძირს აგდებდა მხედარს და ა. შ. არმიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენდა გამოუცდელ მემამულეთა და გლეხთა უმწყობრო, საცარი სიჭრელით შეიარაღებულსა და გაუწვრთნელ მასას, რომელსაც თავიც თვითონ უნდა ერჩინა (ჯამაგირი მხოლოდ უცხოელებსა და მსროლელებს ეძლეოდათ). ამიტომ ომის დროს მეომრები არც მტრის მიწა-წყალს ინდობდნენ და არც თავისას, ხოლო როცა საძარცვი შემოელეოდათ, შიმშილობდნენ. რუსი ფეოდალები ზიზღით უყურებდნენ რეგულარულ მეომრებს — უცხოელ ოფიცრებსაც და რუს მსროლელებსაც.

უცხოური წყობის ჯარი მალე დაიშალა — პეტრეს გამეფებამდე მხოლოდ ბუტირსკის პოლკმა მოაღწია...

მოსკოვის სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა გლეხობა, რომლის ექსპლოატაციას ემყარებოდა ბატონყმური ქვეყანა. XVII საუკუნეში დღის წესრიგში დადგა გლეხთა საბოლოო დაყმევების საკითხი. 1649 წლის საერობო კრებამ მემამულეთა ეს მოთხოვნაც დააკმაყოფილა. კრებაზე მიღებული „ძეგლისდების“ მიხედვით გაუქმდა გაქცეული გლეხის ძებნის ვადები. გლეხი მემამულის სამუდამო საკუთრებად გამოცხადდა. ამ დოკუმენტის მიღებით რუსეთში დამთავრდა ბატონყმობის გაფორმება.

ფეოდალთა წინაშე გლეხთა განუსაზღვრელი ექსპლოატაციის პერსპექტივები გადაიშალა.

რუს მემამულეთა შემოსავლის უმთავრეს წყაროს გლეხთა საბეგარო და საღალო ვალდებულებები წარმოადგენდა. რუსეთის სამხრეთსა და მოსკოვის მაზრაში საბეგარო ვალდებულებები ჭარბობდა. გლეხი, რომელიც ბეგარას იხდიდა, ვალდებული იყო კვირაში რამდენიმე დღე ბატონის მეურნეობაში ემუშავა —დაემუშავებინა და გაენოყიერებინა მიწა, აეგო სათავსოები, საკუთარი ტრანსპორტით მიეზიდა საშენი მასალა და „სუფრის მარაგი“ (ხორცი, ფრინველი, რძე, კვერცხი, ხილი და სხვ.) და ა. შ.

საღალო ვალდებულებები გავრცელებული იყო რუსეთის იმ მაზრებში, სადაც მიწა ნაკლებ ნაყოფიერი იყო და მემამულეს არ აინტერესებდა საბატონო სახნავის ზრდა. იქაური მემამულეები ყოველგვარ მოთხოვნილებებს ყმების ხარჯზე იკმაყოფილებდნენ. „სუფრის მარაგის“ გარდა, ყმა ვალდებული იყო ბატონისათვის ძიეწოდებინა ტყავი, მატყლი, ტილო, სელი და სხვ. თვით ალექსი ბეფე ასე არიგებდა თავის მოურავებს — „თუ რამეზე შეგიძლია ღალის მომატება, შენი მოსაზრებით იმოქმედეო“.

ფეოდალთა უფლებები ყმების მიმართ ფაქტიურად შეუზღუდველი იყო. ბატონი იყენებდა დასჯის იმ დროს არსებულ ყველა ფორმას — როზგებს, შოლტს, ცეცხლით წამებას, ძელზე გასმას, ბორკილ-ხუნდებს, დილეგებს და ა. შ. განსაკუთრებით შეუბრალებელნი იყვნენ გაქცეული ყმების მიმართ. ყმა-გლეხის მოკვლისათვის ფეოდალი პასუხს არ აგებდა. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გლეხს როზგავდნენ, ვიდრე ვალს არ გადაიხდიდა ან არ მოკვდებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური დასჯა გლეხების „პრივილეგია“ არ ყოფილა რუსეთში — გაჯოხვის ეშინოდა ყველას, ყმიდან ბოიარამდე და ეს განსაკუთრებულ შეურაცხყოფად არავის მიაჩნდა. როზგი არ ინდობდა ახლობელს, წარჩინებულს, საეროსა და სამღვდელოს. წამება სასამართლო ძიების ბუნებრივი პროცედურა იყო. ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია რუსი გლეხობის მდგომარეობა...

რეიტენფელსის ცნობით, რუსი გლეხის ძირითადი საკვები ყოფილა კომბოსტოს ან თევზის ნახარში და, საუკეთესო შემთხ-

ვევაში, პურიც. იგი ხაზს უსვამს მათ უაღრეს სიღატაკესა და სიბნელეს. ასეთი მდგომარეობა შესანიშნავ ნიადაგს უქმნიდა ლკმაყოფილო ელემენტებს — მეამბოხეებს, თვითმარქვიებსა თუ მწვალებლებს. შემთხვევითი არ იყო, რომ „უმშვიდესი მეფის“ დროს მოხდა ქალაქის მოსახლეობის მასობრივი აჯანყებები, გლეხთა ომი სტეფანე რაზინის წინამძღოლობით, რომლის დროშის ქვეშ, ზოგიერთი ცნობით, ორასი ათასამდე ჩაგრული გაერთიანდა, სოლოვკის მონასტრის აჯანყება, რომელსაც რიგითი ბერები ჩაუდგნენ სათავეში და რომელიც მთავრობამ შვიდი წლის ბრძოლის შემდეგ ძლივს ჩაახშო, ისიც ღალატის წყალობით.

მოსკოვის სახელმწიფოს ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებდა ეკლესია. რუსეთის მართლმადიდებელი სამღვდელოება, ბერძნულის მსგავსად, ორად იყოფოდა — „თეთრად“ და „შავად“. ეს უკანასკნელი უფრო პრივილეგირებული იყო — მათგან ირჩევდნენ მღვდელმთავრებს. თეთრ სამღვდელოებას ეკუთვნოდნენ მღვდელ-დიაკვნები, რომლებიც ეკლესიებში მოღვაწეობდნენ და მოსახლეობას ემსახურებოდნენ. შავი სამღვდელოება კი მხოლოდ „ღვთის სამსახურში“ (მონასტერ-უდაბნოებში) იღვწოდა.

მოსკოვის მართლმადიდებელი ეკლესია თვითმპყრობელობის იდეოლოგი იყო და თავგამოდებით ემსახურებოდა მას. ჯერ კიდევ XV საუკუნის მიწურულში რუსი ანონიმი ავტორი ასე ახასიათებდა რუსეთის მოსახლეობას:

„მეფენი და უფროსნი ამა ქვეყნისანი ღვთით დადგენილნი არიან და სიმართლესა და სამართალს ქმნიან... მღვდელმთავარმა თავისი დროებითი ბატონისათვის უნდა ილოცოს, ხოლო ბატონმა თავისი მოძღვარი და ნივთნი ეკლესიისანი დაიცვას. გლეხმა კი უნდა იშრომოს და ორივე გამოკვებოს“.

ეკლესია ერთგულად იცავდა გაბატონებულ კლასებსა და მეფეს. თავის მხრივ, თვითმპყრობელობა ხელს უწყობდა ეკლესიის მორალურ-მატერიალურ განმტკიცებასა და გაძლიერებას. ამ მიზანს ემსახურებოდა პატრიარქობის დაწესება მოსკოვში (1587 წ.), არაერთი საეკლესიო კრების დადგენილება და, რაც მთავარია, ეკლესიის ხელში უდიდესი სიმდიდრის თავმოყრა.

ზოგიერთი ცნობით, XVII საუკუნის შუა წლებში რუსეთის მთელი მოსახლეობის ორი მესამედი ეკლესიის კუთვნილ მიწაზე

ცხოვრობდა. განსაკუთრებით გამდიდრდნენ მონასტრები, რომლებმაც უზარმაზარი მამულები ჩაიგდეს ხელში. ამ მხრივ მათ შორის გამოირჩეოდა მოსკოვის ახლო მდებარე სერგის სამების ლავრა, რომელიც XV საუკუნის პირველ ნახევარში დააარსა სერგი რადონეჟელმა.

სამების ლავრა რუსეთის მეფეთა მფარველად ითვლებოდა. აქ მოინათლნენ ვასილი II, ივანე IV. მონასტერი 105 ათას ყმას ფლობდა. ლავრა ხშირად იყო მოსკოვის მეფეების კრედიტორი — ბორის გოდუნოვმა მას 15 ათასი მანეთი გამოართვა, ცრუ დიმიტრიმ — 30 ათასი; შუისკიმ — 20 ათასი. პეტრეს მეფობის მთელ მანძილზე სამების ლავრამ 400 ათასი მანეთი მისცა მეფეს. მონასტრები ასეულ ფუთ ოქრო-ვერცხლს ინახავდნენ. 1641 წლის აღწერით, მონასტერში აღმოჩნდა 19 ათასი „ჩეტვერტი“ ხორბალი, 1675 ზუთხი, 51 კასრი ალკოჰოლიანი სასმელი. ამ კასრების შესახებ ერთი ინგლისელი თანამედროვე წერდა, რომ ბევრი მათგანი 6-7-ტონიანია, ხოლო ტონაზე ნაკლებს არც ერთი არ იტევსო. მონასტრის წინამძღვარს (არქიმანდრიტს) ოთხმოცი კაცი ემსახურებოდა. ის გამოდიოდა ექვსცხენიანი კარეტით, ფეხსაცმელზე ბრილიანტის ბალთები ეკეთა, სვამდა მხოლოდ უნგრულ ღვინოს. ლავრის მთელი შემოსავლით მხოლოდ ორასამდე ბერი ცხოვრობდა.

უაღრესად დაბალი იყო მღვდელმთავართა ზნეობრივი დონე. რუსეთის ეკლესიის მსახურთა უმრავლესობა მიჩვეული იყო ლოთობას, ბანქოს თამაშს, გარყვნილებას, უწმაწურ სიმღერებსა და გინებას, ქურდობას. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ლოთობა. ლოთობდა ყველა რანგის მღვდელმსახური. საკმარისია ითქვას, რომ სამების ლავრის ბერს ყოველდღიურად ეძლეოდა ერთი ბოთლი კაგორი, თითო ბოთლი თაფლი, ლუდი და ბურახი. დიდად ეტანებოდნენ არაყსაც — „ადამის ცრემლებს“, როგორც თვით ბერები ეძახდნენ. მღვდელმთავრები არაერთხელ მიუთითებდნენ ამ სენზე: „ვხედავთ, რომ უბრალო ხალხში, განსაკუთრებით კი სასულიერო პირთა შორის, ფესვი მოიდგა ეშმაკეულმა, უზომო თრობამ, და ეს ეშმაკეული ბევრს აცდენს ღვთის რწმენისაგან... ლოთობა არის მიზეზი ბევრი მტრობისა და ამბოხისა“. მაგრამ ისინი ვერ ერეოდნენ ამ სენს და მეფესთან ჩიოდნენ. მეფეებიც, თავის მხრივ, განუწყვეტლად წერდნენ და გამოსცემდნენ შესატყვის ბრძანებულებებს:

„მონასტრებში აიკრძალოს მათრობელა სასმელის შენახვა. რაღგან ლოთობის გაძლიერება სამღვდელო პირთ სრულ გადაშენებას უქადის... წინამძღვრები, შავი და თეთრი მღვდლები და დიაკვნები ილეშებიან, ღვთის ეკლესიებზე და თავის სულიერ შვილებზე არ ზრუნავენ და ხალხი ყოველივე უწესობას სჩადის. სასტიკად აიკრძალოს წინამძღვრების, შავი და თეთრი მღვდლების, დიაკვნებისა, ბერებისა და მონაზვნების დუქნებში სიარული და უგონოდ მთვრალების ქუჩაში გამოსვლა“ და ა. შ.

ბუნებრივია, რომ სამღვდელო პირთა ასეთი ცხოვრება დაღს ასვამდა მღვდელმსახურების ზარისხსაც. ასეთმა დარღვევებმა XVII საუკუნეში ისეთი კატასტროფული ხასიათი მიიღო, რომ თვით უცხოელებიც კი აღნიშნავდნენ ამას. ადამ ოლეარიუსი წერდა: „რუსები თავს ბერძნული ეკლესიის მიმდევრებად თვლიან, მაგრამ ისინი არ იცავენ ზუსტად ამ ეკლესიის წესებს, ბევრ შეცდომას უშვებენ და თავისი შეხედულებისამებრ სხვადასხვაგვარად ავსებენ მას“. მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწე მ. სმოტრიცკი იქამდე მიდიოდა, რომ რუსეთის ეკლესიას პროტესტანტიზმით მოწამვლას აბრალებდა. მოსკოვში ჩასული პატრიარქები პაისი (იერუსალიმისა) და მაკარიოსი (ანტიოქიისა) ერთხმად აღნიშნავდნენ უამრავ დარღვევას რუსული ეკლესიის რიტუალ-წესებში.

ასეთ აღრეულობას მოსკოველი მღვდელმთავრებიც ამჩნევდნენ და საგანგებო ზომებსაც მიმართავდნენ. ჯერ კიდევ მოსკოვის პირველმა პატრიარქებმა დაიწყეს საეკლესიო წიგნების სწორება. ალექსი მეფის დროს პატრიარქმა იოსებმა საგანგებო მისია გაგზავნა მართლმადიდებელ ქვეყნებში იქაური ეკლესიების სანახავ-შესასწავლად. ხოლო მისი მემკვიდრის ნიკონის დროს საეკლესიო კრებამ შესაბამისი რეფორმები გაატარა.

მაგრამ საეკლესიო რეფორმები უმტკივნეულოდ არ ტარდებოდა. მას თან სდევდა განხეთქილება ეკლესიის შიგნით, რამაც განსაკუთრებით XVII საუკუნის მეორე ნახევარში იჩინა თავი. ამ დროს ჩამოყალიბდა „რასკოლნიკების“ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სტაროვერების“ (ძველი რწმენის მიმდევართა) მიმდინარეობები— მოლოკანობა, დუხობორობა, ხლისტოვშჩინა და სხვ. ხოლო როცა 1681 წელს, პატრიარქ იოაკიმეს მოთხოვნით, მათი დევნა დაიწყო და მათი იდეოლოგები აბაკუმი და ლაზარე სახალხოდ დაწვეს, იფეთ-

ქა საპროტესტო მოძრაობამ — თვითდაწვამ. მაგალითად, ტობოლსკის მხარეში ერთდროულად ცეცხლში თავი დაიწვა 1700 კაცმა.

რელიგიურ-საეკლესიო კრიტიციზმი, რომელმაც დიდი ხნით და ფართოდ მოიკიდა ფეხი რუსეთში, წმინდა რუსულ მოვლენას წარმოადგენდა. იგი მწვავე კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო. რუსეთის მშრომელი მოსახლეობის აუტანელი მდგომარეობა და შეგნების დაბალი დონე ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიდა ყოველგვარ საპროტესტო მოძრაობას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რასკოლნიკურმა მოძრაობამ მიმდევრები მაღალ კლასებშიც ჰპოვა (ბოიარის ქალი მოროზოვა, თავადი ხოვანსკი და სხვ.). ეს ფაქტები კი ბოიარული რუსეთის საერთო ჩამორჩენილობის დამადასტურებელია მხოლოდ.

პეტრემდელი რუსეთის საზოგადოებას უკიდურესი კონსერვატიზმი ახასიათებდა. ეს ყველაზე მკაფიოდ ვლინდებოდა უაღრესად მტრულ დამოკიდებულებაში ყოველივე უცხოურისა და უცხოელებისადმი. ამ განწყობილების შექმნას დიდად უწყობდა ხელს რუსეთის ეკლესია, რომლის გავლენით რუსები ყველა უცხოელს „მოუნათლავს“ ეძახდნენ და მათ შეხებასაც კი უწმინდურობად თვლიდნენ. (მეფეები ევროპელი ელჩების მიღების დროს, როცა ეს უკანასკნელნი ხელზე ემთხვეოდნენ, სასწრაფოდ ხელს იბანდნენ). განსაკუთრებით ვერ იტანდნენ კათოლიკეებს. პეტრეს პაპის, მიხეილ მეფის დროს, თავადი ხვოროსტინინი სასტიკად დასაჯეს მხოლოდ იმისათვის, რომ მეგობართა წრეში რომში და პოლონეთში გამგზავრების სურვილი გამოთქვა. ალექსი მეფის დროს კი, როცა მისი ყველაზე ახლობელი ბოიარის ორდინ-ნაშჩოკინის ვაჟი ფარულად უცხოეთში წავიდა, დაისვა საკითხი, რომ იქვე მოეკლათ იგი.

ამის შესაბამისად მკრეხელობად ითვლებოდა არა მარტო მეცნიერებისა და ხელოვნების დაუფლება, რაც ევროპელთა დამახასიათებელ საქმიანობად მიაჩნდათ, არამედ ევროპული ენების შესწავლაც. მეფის ბრძანებულებები კრძალავდნენ მუსიკის მოსმენასა და დაკვრას, მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ალექსი მეფის საგანგებო ბრძანებულებით კვირა დღეს და საეკლესიო დღესასწაულების დროს აიკრძალა ყოველგვარი მუშაობა და გართობა, მათ შორის საქანელაზე ქანაობა და ჭადრაკის თამაში. წესის დამრღვევს, რასაკვირველია, როზგი ელოდა. პეტრეს თანამედროვე, ცნობილი

პუბლიცისტი ივ. პოსოშკოვი მოითხოვდა, რომ ქორწინების პირველ ღამეს ჯვარდაწერილებს ეშმაკეულის განსადევნად ელოცათ, ხოლო მეორე ღამეს — პატრიარქების სადიდებლად.

აღსანიშნავია, რომ რუსებს უცხოელებისადმი ეროვნული სიძულვილი არ ჰქონიათ. საკმარისი იყო უცხოელს მართლმადიდებლობა მიეღო, რომ იგი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. ეს აშკარად რუსული ეკლესიის გავლენით უნდა აიხსნას.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის კარზე მუდმივად იყვნენ უცხოელი ექიმები, რუსებს მათი მკურნალობის მაინც არ სჯეროდათ. საერთოდ, სამედიცინო საქმე მეტად თავისებურად იყო დაყენებული. მიხეილ მეფის დროს მოსკოვში იყო ერთი აფთიაქი, საიდანაც წამლებს აძლევდნენ მხოლოდ წერილობითი თხოვნით, თანაც ავადმყოფობის მიუხედავად — მდიდარს ძვირფას წამალს, ხოლო ნაკლებად შეძლებულს იაფფასიანს...

გაბატონებული კლასის უდიდეს უმრავლესობას, თუნდაც იმავე ბოიარებს, ხელის მოწერაც არ შეეძლოთ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინი გაუნათლებელნი იყვნენ, მაგრამ ეს არ აწუხებდათ. წარჩინებულის ღირსებად უსაქმურობა და ნებივრობა ითვლებოდა. ცრუდიმიტრის ერთ-ერთ დანაშაულად ისიც მიაჩნდათ, რომ ...ნასადილევს არ იძინებდა. ივ. პოსოშკოვი წერდა: „როცა გლეხს ძინავს, ცეცხლი უნდა წაუკიდო მის სახლს, რომ ადგეს. მაგრამ ის არ შეწუხდება, მეზობელს რომ წაეკიდოს ცეცხლი“...

რუსეთის საზოგადოების ჩამორჩენილობა ყველაზე მკაფიოდ ქალის მდგომარეობაში ვლინდებოდა. ქალს არავითარი უფლებები არ გააჩნდა. მას არაფერს ეკითხებოდნენ. ისე ათხოვებდნენ — მზითვის წიგნის მიხედვით. ვაჟმა არ იცოდა, ვის ირთავდა. რასაკვირველია, მას ხშირად ატყუებდნენ.

გათხოვების შემდეგ ცოლი ქმრის მონა ხდებოდა (ჯვრისწერის დროს ის ფეხზე ემთხვეოდა ქმარს მორჩილების ნიშნად). თითქმის ყველა ქმარს ჰქონდა საგანგებო მათრახი, რომელსაც. რატომღაც, „დურა“ ერქვა და ცოლის „ჯკუის სასწავლად“ იყო განკუთვნილი. ვინც ცოლს არ სცემდა, მას უბედურ მომავალს უქადდნენ. ცოლის გამათრახება ეკლესიის მიერ იყო დაშვებული და ნაკურთხი. დონელი კაზაკები ცოლებს ჰყიდდნენ ან აგირავებდნენ გარკვეული ვადით.

რაც უფრო მაღალი წარმოშობისა იყო ქალი, მით უფრო ნაკლებ თავისუფლებას გრძნობდა იგი. დიდებულთა ოჯახებში ქალს ქმრის დაუკითხავად ჰამაც კი არ შეეძლო, არათუ სახლიდან გასვლა ან სტუმრის მიღება. გაუთხოვარი ქალი კაცს ვერ დაენახვებოდა. რუსული კანონმდებლობა კაცს არ სჯიდა ცოლის მოკვლისათვის (განსაკუთრებული შემთხვევების გარდა). ხოლო ქალს ქმრის მოკვლისათვის ყელამდე მიწაში ფლავდნენ რამდენიმე დღით, და თუ ცოცხალი გადარჩებოდა, მონასტერში ამწესებდნენ.

უცნაურია, მაგრამ ყველაზე მძიმე დღეში მეფის ოჯახის ქალები იყვნენ. მეფის ასულნი, საგანგებო პალატებში გამოკეტილნი, მთელ ცხოვრებას ხელსაქმეში ატარებდნენ. ისინი ვერავის ხედავდნენ მღვდლების გარდა. ექიმიც კი მხოლოდ სახედაფარულ ქალს სინჯავდა. ცნობილია, რომ ალექსი მეფემ ექიმი ბნელ ოთახში შეიყვანა და აბრეშუმის ქსოვილის ქვეშ გაასინჯა მეუღლის პულსი. როგორც წესი, მეფის ასულნი არ თხოვდებოდნენ. ქვეშევრდომებზე გათხოვებას კანონი კრძალავდა, უცხოელებთან დაქორწინებას კი მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, უპირველესად — რელიგიური.

რუსეთის საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად სენს ლოთობა წარმოადგენდა. ა. ოლეარიუსის სიტყვით, „მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც ლოთობა ისეთი საყოველთაო მანკი იყოს, როგორც მოსკოვიაში. ყველა, რა წოდების, სქესის და ასაკისაც არ უნდა იყოს, საერონი და სამღვდელონი, კაცნი და ქალნი, ახალგაზრდები და მოხუცნი სვამენ არაყს ყოველ საათს, სადილის წინ და სადილის შემდეგ“.

სვამდა ყველა — დიდებული სიმდიდრის გამო, ბერი — უსაქმურობის გამო, ღარიბი კი თავისი ბედშავი მდგომარეობის გამო. ცნობილი რუსული სტუმართმოყვარეობა დასათრობი საშუალება იყო (ახლად შემოსულ სტუმარს დიასახლისი ერთ ტოლჩა არაყს შეაგებებდა, ღრეობა კი მერე იწყებოდა). თვით მეფე თავის სტუმრებს სასტიკად ათრობდა და ეს „მეფის წყალობად“ ითვლებოდა.

ხდებოდა კურიოზებიც: როცა სტეფანე ბატორიმ ერთ რუსულ ციხეს შემოარტყა ალყა (XVI ს), მან გარნიზონს დიდი კასრი არაყი შეუგზავნა — „წყალობის ნიშნად“. ხოლო როცა მთვრალი გარნიზონი ჰერეხივით დაეყარა, უბრძოლველად აიღო ციხე...

მოსკოვის 1662 წლის აჯანყების დროს, როცა აჯანყებულებმა დახოცეს საძულველი მოხელეები, ქალაქში ხანძარი გაჩნდა და მთავარ ღვინის დუქანსაც მოედო. აჯანყებულები მიაწყდნენ დუქანს და მიადგნენ უფასო სასმელს — სვამდნენ ქუდებით, ჩექმებით, პეშვით, სვამდნენ, ვიდრე შეეძლოთ, ვიდრე არ დათვრნენ და მიწაზე არ დაეყარნენ. ასე დამთავრდა ეს აჯანყება...

ასეთ მდგომარეობაში იყო მოსკოვის სახელმწიფო; ასეთ მდგომარეობაში ჰყავდა თვითმპყრობელობას რუსი ხალხი, რომელსაც უცხოელი თანამედროვენი ასე ახასიათებდნენ: ეროვნული და ოჯახური სიამაყე, მამულისა და რწმენისადმი ერთგულება, უსაზღვრო სტუმართმოყვარეობა — აი, ის თვისებები, რაც ყველას თვალში ხვდებოდა. მათ შორის საუკეთესოებს უკვე XVII საუკუნეში ესმოდათ რუსი ხალხის ჩამორჩენილობისაგან გათავისუფლების აუცილებლობა, მოწინავე ევროპული კულტურის დაუფლების საჭიროება. ასეთები იყვნენ რტიშჩევი, ორდინ-ნაშჩოკინი, მატვეევი, ვასილი გოლიცინი, რომელთა მოღვაწეობა უკვე თვალსაჩინო კვალს ამჩნევდა მაშინდელ რუსეთს.

მაგრამ ისინი მაინც მარტონი იყვნენ. საჭირო იყო ძირფესვიანი და სწრაფი გარდაქმნები რუსი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში, საჭირო იყო გაცილებით სწრაფი ნაბიჯები, რათა რუსი ხალხი ჩამდგარიყო განვითარებულ ხალხთა რიგებში, საჭირო იყო ძალა, რომელიც ამ გარდაქმნებს გზას გაუკაფავდა.

და XVII საუკუნის ბოლოს რუსეთში გამოჩნდა ეს ძალა. ბოიარულმა რუსეთმა ჯერ არ იცოდა, რომ ალექსი მეფის უმცროსი ვაჟი, რომელსაც პეტრე უწოდეს, მოურიდებლად მოხდიდა მას თავიდან ბეწვის მაღალ ქუდს, მოაცლიდა სიმბოლოს — გრძელ წვერს — და სადურგლო იარაღს მიაჩეჩებდა ხელში...

„წყნარი“ გავშვება და ურმობა

„მეფე ან დაიღუპება, ან დიდი პიროვნება გახდება“.

ეპისკოპოსი **ბიორნეტი**

ალექსი მეფეს ძალზე უყვარდა თავისი სამეფო სოფლები, რომლებიც გარს ერტყნენ მოსკოვს — კოლომენსკოე, ვორობიოვო, იზმაილოვო, პოკროვსკოე, სემიონოვსკოე და სხვ. მეფე აქ მიემგზავრებოდა ხოლმე დიდი ამალით (1500-მდე კაცით), ოჯახით, მოინახულებდა ეკლესია-მონასტრებს, ხან ნადირობით ერთობოდა, ხან საოჯახო ნათლობა-დღეობებს იხდიდა.

1675 წლის ზაფხული და შემოდგომაც ალექსი მეფემ თითქმის სულ ასეთ მოგზაურობაში გაატარა. უცხოელები, რომლებმაც აღწერეს ეს მგზავრობა, საგანგებოდ გამოყოფდნენ პატარა, ოთხცხენიან მოოქრულ კარეტას. ეს კარეტა უფლისწულ პეტრეს ეკუთვნოდა და არტამონ მატვეევის ნაჩუქარი იყო. 15 დეკემბერს მეფე მოსკოვში დაბრუნდა, მალე შეუძლოდ გახდა და 1676 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა. სამგლოვიარო პროცესიაში, რომელმაც 30 იანვარს მეფის ცხედარი მთავარანგელოზის ტაძარში გადაასვენა, სუფრაჯებს მოჰყავდათ სავარძელში მჯდომი, ავადმყოფი თეკლდორე ალექსის ძე, მოსკოვის სახელმწიფოს ახალი მეფე[1].

სასახლის კარზე დიდ ცვლილებებს ელოდნენ. დედოფალი ნატალია თავისი ახლობლებით ჩრდილში მოექცა. მილოსლავსკების გვარმა კვლავ გაშალა მხრები. უკვე 4 ივლისს ცნობილი გახდა პირველი მსხვერპლი — არტამონ მატვეევი თავისი ოჯახით საპატიო გადასახლებაში გაგზავნეს ვერხოტურიეს ვოევოდად (მას ორი ზარბაზანიც კი მიაცილებდა), მაგრამ გზაში გააჩერეს, პატივი და ქონება აჰყარეს, დაუტოვეს 1000 მანეთი და პუსტოზერსკში გაგზავნეს. 69 წლის მატვეევს თან ახლდა 10 წლის ვაჟი ანდრეი, პატარა პეტრეს სუფრაჯი და მომავალი თანამებრძოლი. დედაქალაქიდან გაასახლეს დედოფლის უფროსი ძმაც, ივანე ნარიშკინიც.

მაგრამ თვით დედოფალი ძველებურად კრემლში ცხოვრობდა.

---

[1] გარდაცვლილი მეფის ცხედარს, როგორც წესი, მხოლოდ დედოფალი და ტახტის მემკვიდრე მიაცილებდა.

თუმც უკვე კარჩაკეტილად[1]. მასთან ერთად იმყოფებოდა პატარა პეტრეც, რომელიც ვერაფერს გრძნობდა და უწინდებურად გართული იყო თავისი სათამაშოებით — თოფებით, მშვილდ-ისრებით, დაძბაჭებითა და ხმლებით, შუბებითა და დანებით, პატარა ზარბაზნებითა და დოლებით. 1679 წლის ბოლოს კი მისი ცხოვრებაც შეიცვალა — ძიძა-გამდლებმა ადგილი აღმზრდელებს დაუთმეს — ბოიარი როდიონ სტრეშნევი პეტრეს აღზრდას შეუდგა. მალე თევდორე მეფემ (პეტრეს ნათლიამ) დედინაცვალს უთხრა: „დროა. დედოფალო, ნათლულს სწავლა დავაწყებინოთ“. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან დაუწყია პატარა პეტრეს განათლების მიღება, თუმცა პირველი მასწავლებლის შესახებ ცნობა მხოლოდ 1683 წლიდან გვაქვს. ეს იყო დიაკი ნიკიტა ზოტოვი, რომელიც თევდორე მეფის აღმზრდელს, ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს სიმეონ პოლოცკის საგანგებოდ გამოუცდია და ამ საქმისათვის ვარგისად უცვნია.

პეტრეს უფროსი ძმა, თევდორე, 15 წლისა ავიდა ტახტზე. იგი საკმაოდ ნათელი გონების და კეთილი სულის ახალგაზრდა იყო, მაგრამ სურავანდით იყო დაავადებული. მისი ყველაზე დიდი დამსახურება იყო ბოიარული რუსეთის მძიმე სენის — „მეადგილეობის“ გაუქმება. ეს წესი განსაკუთრებით უარყოფითად არმიის ბრძოლისუნარიანობაზე მოქმედებდა. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ივანე IV-მ დაიწყო ომიანობის დროს მისი შეზღუდვა. ასეთივე გამონაკლისს ხშირად მიმართავდნენ მიხეილ და ალექსი რომანოვებიც. ასე რომ, „მეადგილეობის“ გაუქმება ყოველმხრივ მომწიფებული ჩანდა.

1682 წლის იანვარში თევდორემ მოიწვია საეროთა და სამღვდელოთა სათათბირო, რომელმაც „მეადგილეობა“ გააუქმა. მეფემ დარბაზში შემოატანინა ხარისხთა წიგნები და იქვე დააწვევინა.

ამ ღონისძიების ინიციატორი იყო მოსკოვის სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, თავადი ვას. გოლიცინი, რომელმაც არმიის რეორგანიზაციაც სცადა, თუმცა უშედეგოდ.

---

[1] ნატალია, მის წინამორბედ დედოფლებთან შედარებით, გაცილებით თავისუფლად იქცეოდა — რასაკვირველია, მეუღლის ნებართვით. იგი პირველი დედოფალი იყო, რომელიც მეფესთან ერთად ღია კარეტით გამოღიოდა ქალაქში, თავის დღეობაზე თვითონ იღებდა სტუმრებს და თვითონვე ურიგებდა სახელობით ნამცხვარს, რაც უჩვეულო ამბავი იყო მოსკოვის სამეფო კარზე.

თევდორე მეფემ გადასახლებული მატვეევი გაათავისუფლა და პატივი და ქონება დაუბრუნა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, 1682 წლის 27 აპრილს, ახალგაზრდა მეფე გარდაიცვალა.

მოსკოვის სახელმწიფოს კანონები ზუსტად არ განსაზღვრავდნენ ტახტის მემკვიდრეობის წესს. ურყევი იყო მხოლოდ რწმენა, რომ ტახტი მიხეილ რომანოვის შთამომავლებს ეკუთვნოდა. თუმცა არსებობდა უფლისწულის „გამოცხადების“ ტრადიცია: ახალ წელს, 1 სექტემბერს, მეფე გამოუცხადებდა სამეფო კარს, რომ დადგა ჟამი უფლისწულის წარმოდგენისა და ა. შ. ამას მოსდევდა რთული ცერემონიალი, რაც, როგორც ჩანს, უფლისწულის სრულწლოვანების მაუწყებელი უფრო იყო. ჩვეულებრივ, ეს უფლისწული ითვლებოდა ტახტის მემკვიდრედ.

თევდორე მეფეს არც ამ წესით „გამოუცხადებია“ მემკვიდრე— მიუხედავად იმისა, რომ მისი ძმა, ივანე, უკვე სრულწლოვანი იყო. თითქოს ბუნებრივად მას უნდა გადასცემოდა ტახტი, მაგრამ ავადმყოფი, თითქმის დაბრმავებული და გონებასუსტი ივანე აშკარად შეუფერებელი ჩანდა მეფობისათვის.

სამეფო კარზე უკვე არსებობდა სამი დაჯგუფება, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ხელისუფლებისათვის მოსალოდნელ ბრძოლაში. პირველი ჯგუფი ალექსი მეფის ასულთან, სოფიოსთან იყო დაკავშირებული. მას სათავეში ედგნენ ივ. მილოსლავსკი, ორი ძმა ტოლსტოი, ბ. ხიტროვი და სხვ. ცოტა ხანს ამ ჯგუფს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა სამეფო კარზე, მაგრამ თევდორეს მეფობის ბოლო წლებში იგი შეავიწროვეს არადიდგვარიანმა იაზიკოვმა და ძმებმა ლიხაჩოვებმა, რომლებიც დაუახლოვდნენ ახალგაზრდა მეფეს და დიდ გავლენას მიაღწიეს სამეფო კარზე. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მათ პოზიციასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა. დასასრულ, მესამე ჯგუფი ნატალია ნარიშკინას გარშემო იყრიდა თავს. აქ, გარდა უნიჭო ნარიშკინების დიდი ჯგუფისა, შედიოდნენ ა. მატვეევი, დოლგორუკები, ბორის და ივანე გოლიცინები. ეს ჯგუფი, ბუნებრივია, უფლისწულ პეტრეს გამეფებას ლამობდა.

27 აპრილს, დღის ოთხ საათზე, კრემლის დიდი ზარის სამგზის დაგუგუნებამ მოსკოვს მეფის გარდაცვალება აუწყა. ყველამ კრემლში მოიყარა თავი — სამღვდელოებამ პატრიარქ იოაკიმეს მეთაურო-

ბით, ბოიარებმა, კარისკაცებმა, სარდლებმა, მოსკოვის აზნაურობამ. ვაჭრებმა და რაბათელებმა. ყველა მოუთმენლად ელოდა ახალი მეფის დასახელებას. თუმცა კანონი ივანეს მხარეს იყო, უმრავლესობას პეტრეს გამეფება მიაჩნდა სამართლიანად. 10 წლის პეტრე, რომელიც უკვე 15 წლისას ჰგავდა, შუბლზე ჩამოყრილი მუქი კულულების ქვეშ მოელვარე შავი თვალებით, ცოცხალი ჟესტიკულაციით. რომლის უკან იმალებოდა დაუოკებელი ენერგია, აშკარად ჩრდილავდა უფროს ძმას. ეს იგრძნო იაზიკოვის ჯგუფმაც, რომელიც ნარიშკინების მხარეს გადავიდა. პატრიარქ იოაკიმეს პოზიციამ კი საბოლოოდ გადაწყვიტა საკითხი.

სამღვდელოება და ბოიარები დარბაზიდან გამოვიდნენ. პატრიარქმა ეზოში შეკრებილთ აუწყა მეფის გარდაცვალება და კითხვით მიმართა — ვის ინებებთო მეფედ? უმრავლესობამ პეტრე დაასახელა. რეგენტად, არსებული წესის მიხედვით, მეფის დედა, დედოფალი ნატალია ცხადდებოდა.

მაგრამ ბრძოლა ხელისუფლებისათვის მხოლოდ იწყებოდა...

ალექსი მეფეს 7 ქალიშვილი დარჩა — ხუთი მილოსლავსკაიასაგან და ორი ნარიშკინასაგან. ამ კარგამოკეტილ და ბედსშეგუებულ ქალიშვილებს შორის მკვეთრად გამოირჩეოდა 25 წლის სოფიო, ჯანმრთელი სულითაც და ხორცითაც. გარეგნობით საკმაოდ სქელი და შეუხედავი სოფიო განსაკუთრებული ჭკუის წყალობით დაუახლოვდა ძმას, თევდორე მეფეს, რომლის სარეცელთან მორიგეობის დროს გაიცნო დიდებულებიც — ვას. გოლიცინი, ივ. მილოსლავსკი, ივ. ხოვანსკი, კარის მღვდელი მედვედევი, რომელთაც ანცვიფრებდა გამართული და საღი მსჯელობით. როგორც ჩანს, აქ ჩამოუყალიბდა მეფის ასულს ტახტზე ასვლის განზრახვა.

პეტრეს მეფედ გამოცხადებამ ვერ შეარყია სოფიოს გადაწყვეტილება. უკვე თევდორეს დაკრძალვის დღეს, 28 აპრილს, არსებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ცხედარს მეფის ასულიც გამოჰყვა. გამოწვევა იმდენად აშკარა იყო, რომ დედოფალმა ნატალიამ არ დაუცადა ცერემონიის დასასრულს და პეტრესთან ერთად დატოვა ტაძარი. ამან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს სოფიომ და მისმა მომხრეებმა და აგიტაცია გააჩაღეს — „მტრებმა თევდორე მოწამლეს, ხოლო ივანეს მეფობა წაართვეს. შეგვიბრალეთ ობლები, ან უცხოეთში გაგვიშვითო“, —

მოთქვამდა სოფიო. გამოუცდელი ნატალია ვერ ამჩნევდა საშიშროებას, ხოლო სოფიოს ჯგუფი წუთს არ კარგავდა, ყველგან მომხრეებს ეძებდა, მაგრამ ძირითად იმედს მაინც მსროლელებზე ამყარებდა.

...მსროლელთა მღელვარება ჯერ კიდევ თევდორეს დროს დაიწყო. რაზინის აჯანყების შემდეგ მსროლელებმა საკმაოდ აიშვეს თავი. კაზაკური წესით, ხშირად იკრიბებოდნენ „წრეზე“ და თვითონ იხილავდნენ და წყვეტდნენ თავის საქმეებს. მათ უკვე რამდენიმე წლის ჯამაგირი ჰქონდათ მისაღები. განსაკუთრებით აღშფოთებულნი იყვნენ პოლკოვნიკების საქციელით, რომლებიც, როგორც წესი, გაბატონებული კლასიდან იყვნენ გამოსულნი და მსროლელებსაც ყმებივით ექცეოდნენ — თავის მამულებში ამუშავებდნენ, სასტიკად ეპყრობოდნენ და სჯიდნენ. თევდორე მეფეს მსროლელებმა რამდენიმე საჩივარი მიართვეს პოლკოვნიკების აღვირახსნილობის თაობაზე. და აბლაც დენთიანი კაბრივით იყვნენ, რაც კარგად შეამჩნია და გამოიყენა მეფის ასულმა სოფიომ. ამას ისიც დაერთო, რომ მსროლელთა ფაქტიურ უფროსად გადაიქცა თავადი ივ. ხოვანსკი, სტაროვერი და ავანტიურისტი, რომელსაც ერთხელ ალექსი მეფემ უთხრა — „მე გამოგძებნე და აგირჩიე სამსახურში, თორემ ყველა სულელს გიწოდებდაო“. ხოვანსკი აშკარად ქადაგებდა მსროლელთა შორის და მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებისაკენ მოუწოდებდა მათ.

1682 წლის 30 აპრილს კრემლში მოულოდნელად გამოცხადდნენ გრიბოედოვის პოლკის მსროლელთა დელეგატები სხვა მსროლელებთან ერთად და დედოფალ ნატალიას წერილი გადასცეს, დამნაშავე პოლკოვნიკების დასჯა მოითხოვეს. შემკრთალმა დედოფალმა ვერაფერი მოახერხა და დაუთმო: 16 პოლკოვნიკი შეიპყრეს, ჩინი აჰყარეს და გაროზგეს. მაგრამ ამ წარმატებამ მხოლოდ ფრთები შეასხა მსროლელებს, რომლებიც უკვე მეტი გულისყურით უსმენდნენ მილოსლავსკისა და ხოვანსკის. გავარდა ხმა, რომ ნარიშკინებმა უფლისწული ივანე მოკლესო. 15 მაისს გაისმა ზარების გუგუნი და, ვიდრე სასახლე გონს მოვიდოდა, მსროლელთა ბრბოები კრემლში შეიჭრნენ. დედოფალმა ნატალიამ აივანზე გამოიყვანა ორივე ვაჟი — ივანე და პეტრე. მსროლელები შეყოყმანდნენ, მაგრამ თავად დოლგორუკის უტაქტო ყვირილმა და სოფიოს აგენტების წაქეზებამ ხელფეხი გაუხსნა მათ მრისხანებას. დაიწყო ანგარიშის სწორება. არ-

ტამონ მატვეევი, მამა-შვილი დოლგორუკები, თავადი რომოდანოვ-სკი, იაზიკოვი, სალტიკოვი, დედოფლის ძმები ივანე და ათანასე ნარიშკინები და სხვები მსროლელთა შუბებისა და ხმლების მსხვერპლნი გახდნენ. დედოფლის მამა კირილე ნარიშკინი ბერად აღკვეცეს, მოსკოვიდან განდევნეს დანარჩენი ნარიშკინები, ანდრეი მატვეევი, ძმები ლიხაჩოვები და ა. შ.[1] 23 მაისს მსროლელებმა მოითხოვეს, რომ ორივე ძმას ერთად ემეფა. 26 მაისს მათი მოთხოვნით პირველ მეფედ ივანე გამოცხადდა, ხოლო 29-ში მეფის ასული სოფიო რეგენტად დაინიშნა. მიზანი მიღწეული იყო — ნარიშკინების დაჯგუფება განადგურდა, ხელისუფლება სოფიოს ხელში აღმოჩნდა.

მაგრამ მსროლელები ვერ ისვენებდნენ. მათ, როგორც ჩანს, აწუხებდათ დაღვრილი სისხლი და ამის საჯაროდ გამართლება სურდათ. ამ მიზნით მათ მოითხოვეს წითელ მოედანზე საგანგებო სვეტის აღმართვა წარწერით, სადაც ჩამოთვლილ-ახსნილი იქნებოდა მათი ნამოქმედარი. თან წყალობის სიგელიც გამოსთხოვეს მეფეებს, რომ არც ერთი მსროლელი არც ახლა და არც მომავალში არ უნდა დასჯილიყო.

სოფიოს თანხმობით პოლკოვნიკებმა ციკლერმა და ოზეროვმა სვეტი აღმართეს, ხოლო ხაზინამ ჯამაგირი გადაუხადა მსროლელებს. მალე მათ, ივ. ხოვანსკის წაქეზებით, სტაროვერებსა და ოფიციალურ სამღვდელო ხელისუფალთა შორის საჯარო დისპუტის გამართვა მოითხოვეს, მთავრობამ ეს მოთხოვნაც დააკმაყოფილა...

მაგრამ სოფიო უკვე მიხვდა, რომ ძალაუფლება მოიპოვა აღვირახსნილი ბრბოს საშუალებით, რომელიც არ შეიძლებოდა თვითმპყრობელური რუსეთის სოციალური საყრდენი ყოფილიყო. შემთხვევითი არ იყო, რომ მაისის ამბებში მოსკოვის მდაბიურებიც მონაწილეობდნენ. სწორედ მათ დაწვეს ყმების საქმეთა პრიკაზი და დაქმევების წიგნები გაანადგურეს...

19 აგვისტოს სოფიომ ორივე მეფესთან და სამეფო კართან ერთად კრემლი დატოვა და სერგის საშების მონასტერში წავიდა. აქედან სასწრაფოდ სიგელები დააგზავნა პროვინციებში, თვით მონასტერი

---

1 ამ აჯანყების დროს პეტრეს შესახებ არ არის ცნობები. მხოლოდ გვიან, ჰოლანდიაში ყოფნის დროს, რუსი ელჩები ერთ მისიონერს უყვებოდნენ ამ ამბებს და დასძენდნენ, რომ ამ ხნის მანძილზე პეტრე გაქვავებული სახით მდგარა და განუცვიფრებია მსროლელები თავისი უშიშრობით.

კი საომრად გაამზადა. შემამულეთა რაზმები დაიძრნენ მონასტრისაკენ. მსროლელები პანიკამ მოიცვა. სოფიომ ხოვანსკის შეპყრობა ბრძანა და 17 სექტემბერს ივ. ხოვანსკი შვილთან ერთად სიკვდილით დასაჯა. მსროლელთა დეპუტაცია თავჩაქინდრული უსმენდა სოფიოს პირობებს: წითელ მოედანზე აღმართული სვეტი უნდა მოშლილიყო, ყველაზე თავგამოდებული მეამბოხეები პროვინციებში უნდა დაეგზავნათ, მსროლელთა პრიკაზის უფროსად ინიშნებოდა სათათბიროს დიაკი თევდორე შაკლოვიტი, ენერგიული და მკაცრი ჩინოვნიკი. მხოლოდ ამის შემდეგ დამშვიდდა სოფიო და კრემლში დაბრუნდა.

...1682-1683 წლების ზამთარი პეტრემ დედასთან ერთად მოსკოვში გაატარა. გაზაფხულზე კი საზაფხულო რეზიდენციაში, სოფ. ვორობიოვოში გაემგზავრა. სოფიოს მმართველობის პერიოდში პეტრე სულ უფრო ხშირად და დიდი ხნით ტოვებდა მოსკოვს. განსაკუთრებით შეეჩვია სოფ. პრეობრაჟენსკოეს. ხანდახან კრემლშიაც გამოჩნდებოდა ხოლმე დღესასწაულსა და ზეიმებზე. ასეთ დროს ის ივანესთან ერთად სპეციალურად დამზადებულ ორადგილიან ტახტზე იჯდა და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მოსკოვურ ცერემონიებს. ერთი უცხოელი ასე აღწერს შვედეთის ელჩების მიღებაზე დამსწრე მეფეებს:

„მისაღებ დარბაზში ვერცხლის ორ სავარძელზე, ხატების ქვეშ, ისხდნენ მეფეები, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ სამეფო სამოსში. უფროს ძმას ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული, თვალები ძირს დაეხარა, ვერავის ხედავდა და თითქმის გაუნძრევლად იჯდა. უმცროსი ყველას უყურებდა. სახე მას გახსნილი და ლამაზი აქვს. ჭაბუკური სისხლი წამსვე აუჩქეფდებოდა, როგორც კი ვინმე სიტყვით მიმართავდა. მისი საოცარი სილამაზე ყველა იქ მყოფს ანცვიფრებდა, ხოლო ცოცხალი ბუნება დინჯ მოსკოველ დიდებულებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა. როცა ელჩმა რწმუნების სიგელი გადასცა და ორივე მეფე ერთდროულად უნდა წამომდგარიყო, რათა შვედეთის მეფის ჯანმრთელობა მოეკითხათ, უმცროსმა, პეტრემ, არ დაიცალა კარისკაცებს მისი და ძმის წამოყენება — როგორც ამას ეთიკეტი მოითხოვდა, სწრაფად წამოხტა ფეხზე, თვითონვე გაივლო ხელი სამეფო ქუდზე და სწრაფად წაილაპარაკა ჩვეული მისალმება: „მისი მეფური უდიდებულესობა, ძმა ჩვენი, კარლოს შვედელი ხომ ჯანმრთელად არის?“

ამ მოგონების ავტორს 11 წლის პეტრე 16 წლისა ეგონა.

მაგრამ პეტრეს ცოცხალ ბუნებას არ შეეძლო დიდხანს ეთმინა დამღლელი და მძიმე ცერემონიები, რომელთაც ის უკვე ხშირად აკლდებოდა. მას სხვა გართობები იზიდავდა.

ყრმა პეტრე დიდი გულისყურით დაეწაფა წიგნებს, მაგრამ, შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი მასწავლებლის, ნიკიტა ზოტოვის შრომას განსაკუთრებული წარმატება არ მოჰყოლია. (მიუხედავად ამისა, როცა 13 წლის პეტრემ პატრიარქის ბიბლიოთეკა დაათვალიერა, სასტიკად აღშფოთდა წიგნების სავალალო მდგომარეობით და სპეციალური მეთვალყურე დაუნიშნა ბიბლიოთეკას).

პეტრეს სხვა საქმიანობა იზიდავდა. ჯერ კიდევ 1682 წლის დასაწყისში მის ოთახებში, კრემლში, დადგმული იყო პატარა კარავი, ქოხი, ხის ზარბაზნები, იქვე ეწყო დოლი, ალმები, შუბები... ვორობიოვოში პეტრემ უკვე ნამდვილი ზარბაზნები დააქუხა. ივლისში მისმა სუფრაჯმა და მომავალმა თანამებრძოლმა გოლოვკინმა მოსკოვში 16 ზარბაზანი გაგზავნა შესაკეთებლად. იმავე, 1683 წლის აგვისტოში პირველად იხსენიებიან მეჯინიბეები — სერგეი ბუხვოსტოვი და აკიმ ვორონინი, პრეობრაჟენსკის მომავალი გვარდიული პოლკის პირველი ჯარისკაცები. ამ პოლკის ისტორიას ასე გადმოგვცემენ:

უცხოელმა ფრანც ლეფორტმა ევროპული წესით გაწვრთნა 50 ჰაბუკი და ერთ მშვენიერ დღეს, დოლის ბრახუნით, პეტრეს წარუდგინა. განცვიფრებული პეტრე გადაეხვია ლეფორტს, იქვე დანიშნა იგი ახალი ასეულის მეთაურად, თვითონ კი რიგით რაზმელად ჩაერიცხა. ასეული სწრაფად იზრდებოდა — ვინ იტყოდა უარს, იმ რაზმში სამსახურზე, სადაც რიგით მეომრებად იყვნენ ბოიარებისა და ოკოლნიჩების შვილები და თვით მეფე?!..

1686 წლისათვის პრეობრაჟენსკოეში გაშენებული იყო ნამდვილი სამხედრო დაბა, გალავნითა და ქონგურებიანი კოშკებით; ერთ მათგანზე საათიც კი იყო. იქვე შენდებოდა სამეფო სასახლე, ქვის ეკლესია, ცალკე სახლი პეტრეს ამალის წევრებისათვის, საწყობები, საჯინიბოები და სხვ.

გარდა სამხედრო საქმისა, პეტრეს ხელოსნობაც იზიდავდა. 1684 წელს მას კალატოზობისა და წიგნის ბეჭდვისათვის მოუკიდია ხელი, შემდეგ დურგლობა და მჭედლობაც უცდია.

მოულოდნელად პეტრე კვლავ წიგნებს მიუბრუნდა — ამჯერად ისეთ დარგებს, რასაც არასოდეს გაცნობიან მოსკოველი მეფეები: გეომეტრიას და ფორტიფიკაციას. ამ საგნების მასწავლებელი იყო ფრანც ტიმერმანი ე. წ. „უცხოელთა“ ან „გერმანელთა“ დაბიდან.

...მოსკოვის გარეუბანში, მდინარე იაუზის ნაპირზე, დიდი ხნის დასახლებულები იყვნენ უცხოელები. ამ დასახლებას საფუძველი ჩაუყარეს ჰანზის ქალაქების გერმანელებმა, რომლებიც თავდაპირველად სავაჭრო მიზნებით იყვნენ ჩამოსულნი[1]. პეტრეს დროს კი დაბის მოსახლეობა ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი იყო, ჭარბობდნენ ინგლისელები და შოტლანდიელები, რომლებიც ინგლისის რევოლუციასა და კრომველის რისხვას გამოქცეოდნენ. ესენი ამ დასახლების „არისტოკრატიას“ შეადგენდნენ. გერმანელები და ჰოლანდიელები კი მდაბიურებად ითვლებოდნენ და დასახლების ძირითადი მოსაქმეებიც ისინი იყვნენ — მეწარმეები, ვაჭრები, ექიმები, მასწავლებლები, მეაფთიაქენი. მათ თავისი ეროვნული თვისებები აქაც შეენარჩუნებინათ — სისუფთავე, წესრიგი, ჰქონდათ სკოლები, საკუთარი ეკლესიები, თეატრი, ცეკვის საღამოები, მშვიდი ბიურგერული ცხოვრება. ყვავილნარებში ჩაფლული მათი აგურის სახლები ხეივნიან ქუჩებზე ჩამწკრივებულიყვნენ. აქ პატარა ევროპა სუნთქავდა.

ფრანც ტიმერმანიც აქაური იყო.

1698 წელს ფრანც ტიმერმანთან ერთად პეტრე იზმაილოვოში იყო და ნიკიტა რომანოვის ძველ ნივთებს ათვალიერებდა. მისი ყურადღება მიიპყრო უცნაური ფორმის ნავმა. ცნობისმოყვარე პეტრეს ტიმერმანმა აუხსნა, რომ ეს იყო ინგლისური ბოტი, რომლის მართვა შეიძლებოდა ნიჩბებითაც და იალქნებითაც და სვლა შეეძლო როგორც ქარის დახმარებით, ისე საწინააღმდეგო მიმართულებით. პეტრემ დაუყოვნებლივ მოისურვა ნავის გამოცდა. ტიმერმანმა უცხოელთა დაბიდან გამოიძახა გემთმშენებელი ქრისტიან ბრანდტი, რომელიც ალექსი მეფეს გამოეწვია ჰოლანდიიდან კას-

---

[1] მოსკოველებს მათი არაფერი ესმოდათ და ამიტომ გერმანელს „ნემეც“ უწოდეს — სიტყვიდან „ნემოი“ (მუნჯი). დასახლებასაც ამის შესაბამისად — „ნემეცკაია“ ეწოდა.

პიის ზღვაზე ფლოტის ასაგებად და რუსეთში დარჩენილიყო[1]. ბრანდტმა გამართა ნავი და მდინარე იაუზაში შეაცურა. შემდეგ მან სხვა ხომალდებიც ააგო მეფის მოთხოვნით. იაუზა ველარ აკმაყოფილებდა პეტრეს და მან თავის ფლოტთან ერთად გადაინაცვლა პერეიასლავლის ტბაზე, სერგის სამების მონასტრის ახლოს. ეს ინგლისური ბოტი გახდა რუსეთის ფლოტის დედა, ხოლო პეტრე შეიპყრო „სენმა"[2], რომელმაც მთელი ცხოვრების მანძილზე მისი უდიდესი ძალ-ღონე და ენერგია შეიწირა და დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის წარმატებებში. შესაძლოა, პეტრე იყო პირველი მონარქი, რომელმაც ჯერ ფლოტი შექმნა, შემდეგ კი ზღვები დაუპყრო ქვეყანას.

1689 წლის იანვარში 17 წლის პეტრე დედოფალმა ნატალიამ ევდოკია ლოპუხინაზე დააქორწინა. პეტრე დიდ სიყვარულს არ შეუპყრია — თაფლობისთვის გაბვლას ძლივს დაუცადა და კვლავ პერეიასლავლის ტბაზე გავარდა.

მაგრამ პეტრეს დაქორწინებას სხვა აზრიც ჰქონდა — ის უკვე სრულწლოვანი იყო და სახელმწიფოს მართვა დამოუკიდებლად შეეძლო. ეს იგრძნო ყველამ, და მათ შორის სოფიომაც, მაგრამ ხელისუფლების დათმობას იოლად არ აპირებდა...

1689 წლის ივლისისათვის მოსკოვის სამეფო კარზე მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. პეტრე აღშფოთებას ველარ მალავდა და ძმას წერდა: „სირცხვილია, ხელმწიფევ, ჩვენი სრულწლოვანების პირობებში იმ სამარცხვინო პირმა მართოს სახელმწიფო ჩვენს გარეშე!" აღარც დედოფალი ნატალია ერიდებოდა უკმაყოფილების გამოთქმას. თავის მხრივ სოფიო არავითარ დათმობას არ

---

1 1667 წელს, კოლომნაში, ბრანდტმა მართლაც ააგო რუსეთში პირველი ხომალდი „ორიოლი", რომელიც სტეფანე რაზინმა დაწვა ასტრახანში.

2 საინტერესოა, რომ ჭაბუკ პეტრეს დიდხანს ჰქონდა წყლის შიში: 10 წლის პეტრე დედასთან ერთად, ეტლით, სალოცავად მიდიოდა. გზაში მდინარე გადაიარეს. მოულოდნელად მოვარდნილმა წყალმა მძინარე პეტრე გამოაღვიძა და საშინლად იმოქმედა ბავშვზე. 4 წლის მანძილზე პეტრე მშვიდად ვერ უყურებდა წყალს. მხოლოდ 14 წლისამ, სანადიროდ ყოფნისას, სირცხვილით უარი ვერ უთხრა ბიძას და დასიცხული ცხენი მდინარეში შეაგდო.

შემდეგ პეტრე სიამოვნებით იგონებდა ამ ეპიზოდს, რომელმაც იგი უსიამოვნო გრძნობისაგან იხსნა — რუსეთის ფლოტის დამაარსებელს წყლის შიში, ბუნებრივია, არ უნდა ჰქონოდა...

ფიქრობდა — ყველა დღესასწაულსა და ზეიმს ესწრებოდა, თავის თანამზრახველებთან კი, რომელთა შორის ყველაზე აქტიური იყო მსროლელთა ახალი უფროსი შაკლოვიტი, ათასგვარ მზაკვრულ განზრახვას აბრალებდა მოწინააღმდეგე ბანაკს.

8 ივლისს, წირვის დროს, პეტრემ პირველად აიმაღლა ხმა და სოფიოს მოსთხოვა დაეტოვებინა პროცესია, რომელიც სხვა ეკლესიაში უნდა გადასულიყო. სოფიომ კატეგორიული უარი განაცხადა. მაშინ პეტრემ მიატოვა წირვა და კოლომენსკოეში წავიდა. ეს უკვე აშკარა შეჯახება იყო.

19 ივლისს სოფიომ საზეიმო შეხვედრა მოუწყო თავის ფავორიტს, თავად ვასილ გოლიცინს, რომელიც ყირიმის ლაშქრობიდან ბრუნდებოდა. პეტრე არ დაესწრო ზეიმს. ხოლო როცა სოფიომ ლაშქრობის მონაწილეთა დაჯილდოვება გადაწყვიტა, პეტრემ არ მოაწერა ხელი წყალობის სიგელს. მისმა მრჩევლებმა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაიყოლიეს იგი ხელის მოწერაზე. მაგრამ გაბრაზებულმა მეფემ არ მიიღო გოლიცინი და სხვა სარდლები. ძდგომარეობა უაღრესად დაიძაბა.

7 აგვისტოს მოსკოვში იპოვეს ანონიმური წერილი, საიდანაც ჩანდა, რომ პეტრეს „გასართობი“ პოლკები მოსკოვზე თავდასხმისათვის ემზადებოდნენ. ხელისუფლებამ დაიჯერა ეს ჭორი და დაუყოვნებლივ მიიღო ზომები — კრემლი ჩაკეტეს, დაცვას 400 მსროლელი დაამატეს, დანარჩენებს საბრძოლო მზადყოფნა უბრძანეს. ამ ზომებმა შეაშფოთეს პეტრეს ერთგული „მეუზანგეთა“ პოლკის რამდენიმე ჯარისკაცი და ორი მათგანი, მელნოვი და ლადოგინი, პრეობრაჟენსკოეში გაიქცა. შუაღამისას პეტრე გააღვიძეს. დაფეთებული მეფე ჩაუცმელი მოახტა უბელო ცხენს და გაჭუსლა სერგის ლავრისაკენ. ოციოდე მხედარი ძლივს დაეწია გზაში მეფეს. 8 აგვისტოს, დილით, ქანცმილეული პეტრე შევარდა მონასტერში, დაემხო საწოლზე და მონასტრის წინამძღვარს გულამომჯდარმა აცნობა კარს მომდგარი ხიფათის ამბავი.

„მოხდა ის, რასაც არ ელოდნენ არც მოსკოვში, არც პრეობრაჟენსკოეში: სოფიომ თავი ვერ მოუყარა მსროლელებს, მაცხოვრის კოშკის ზარებმა ვეღარ დაიგუგუნეს, მოსკოვს მშვიდად ეძინა იმ ღამეს. პრეობრაჟენსკოე დაიცალა... ყველანი — ნატალია კირილეს ასული ფეხმძიმე რძლით, კარის ბოიარები, სუფრაჯები, მსა-

ხურეულნი და ორივე გასართობი პოლკი ზარბაზნებით, მორტირებით და საბრძოლო ყუმბარებით სამებაში წავიდნენ.

მეორე დღეს, როცა სოფიო კარის ეკლესიაში წირვას უსმენდა, შაკლოვიტიმ ბოიართა ჯგუფი გაარღვია. საშინელი სახე ჰქონდა. სოფიომ გაკვირვებით აზიდა წარბები. ის კი ცალუბა ღიმილით დაიხარა მისკენ:

— პეტრე მეფე პრეობრაჟენსკოედან გააქციეს, პერანგის ამარა გავარდა დამთხვეული სადღაც...

სოფიომ ტუჩები მოკუმა, მშრალად ჩაილაპარაკა:

— ყველგან შეუძლია, დამთხვეულს, ირბინოს...

თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მაგრამ იმავე დღეს ცნობილი გახდა, რომ ლავრენტი სუხარევის მსროლელთა პოლკი მთლიანად სამებაში წავიდა,— გაუგებარია, როდის მოასწრეს მისი გადაბირება და ვინ, — ალბათ, ბორის გოლიცინმა, ლავრენტის ძველმა მეინახემ. მოსკოვში დიდი ჩურჩული ატყდა. ღამ-ღამობით ჭრიალებდნენ ჭიშკრები, ხან აქ, ხან იქ გამოჩნდებოდა ბოიარის ეტლი და ხეფენილზე ბრახუნით მიქროდა იაროსლავლის გზაზე.

მოულოდნელად ხუთასისთავების, ასისთავებისა და მსროლელთა ნაწილების თანხლებით სამებაში წავიდა პოლკოვნიკი ივანე ციკლერი, რომელმაც შვიდი წლის წინ საკურთხევლის ქვემოდან გამოათრია დედოფლის ძმა ივანე კირილეს ძე. ის სოფიოს სანდო კაცი იყო და, რასაკვირველია, როცა პეტრეს შეწყალებას მოსთხოვდა, მეფის ასულის ყველა განზრახვასაც გაუმხელდა.

როცა ციკლერის ამბავი გაიგო, სოფიო დაიბნა. ვიღას უნდა დაენდო, როცა ასეთი ერთგული ძაღლებიც მირბიან? სამებიდან კი მსროლელთა ყველა პოლკში შიკრიკები მოდიოდნენ წერილებით (ბორის გოლიცინის ხელნაწერით და მელნის შხეფებიანი, ირიბი ხელრთეით — „პტრ“), პოლკოვნიკებსა და ურიადნიკებს ბრძანება ეძლეოდათ დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყვნენ პეტრე მეფესთან დიდი სახელმწიფო საქმის გამო...

სამებაში პატრიარქი იოაკიმე გაგზავნეს შესარიგებლად. პატრიარქი სიამოვნებით წავიდა, მაგრამ იქვე დარჩა, პასუხიც არ მოუწერია სოფიოსთვის. პეტრესაგან ახალი სიგელები მოვიდა — პოლკებში, ვაჭართა და ხელოსანთა რიგებში, დაბებსა და რაბა-

თებში... პოლკოვნიკები ნეჩაევი, სპირიდონოვი, ნორმატსკი, დუროვი, სერგეევი, ხუთასი ურიადნიკი, უამრავი მსროლელი, ვაჭართა და რაბათელთა წარმომადგენლები დიდი შიშით გაეშურნენ სამებისაკენ. რუსულ სამოსში გამოწყობილი პეტრე მეფე პარმაღზე იდგა, მასთან ბორის გოლიცინი, ორივე დედოფალი და პატრიარქი, მოსულთ ტოლჩა არაყს უწყალობებდნენ და ისინიც აცრემლებულნი ეღაღადნენ, არეულობის შეწყვეტას მოითხოვდნენ".[1]

უმწეო სოფიომ უკანასკნელ ღონეს მიმართა — 29 აგვისტოს თვითონ გაემართა მონასტრისაკენ. მაგრამ გზაში თავადი ტროეკუროვი შემოხვდა და უკან დაბრუნება მოსთხოვა კატეგორიულად. სოფიო იძულებული გახდა დამორჩილებოდა. იმავე დღეს მოსკოვში გამოცხადდა მსროლელთა პოლკოვნიკი ნეჩაევი და პეტრეს სახელით შაკლოვიტის გადაცემა მოითხოვა. 4 სექტემბერს მოსკოვი დატოვეს უცხოელმა ჯარისკაცებმა პატრიკ გორდონის მეთაურობით, რომელიც პეტრემ კეთილგანწყობილად მიიღო და მალე მეფის ერთგული თანამებრძოლი გახდა.

გენერალი პატრიკ გორდონი (1635—1699 წწ) შოტლანდიის საუკეთესო გვარის წარმომადგენელი იყო. 1655—1661 წლებში მსახურობდა შვედეთისა და პოლონეთის არმიებში, შემდეგ კი რუსეთის სამსახურში გადავიდა და 1665 წელს პოლკოვნიკობა მიიღო. თევდორე მეფემ მას გენერალ-მაიორობა მიანიჭა, ყირიმის ლაშქრობების შემდეგ კი გენერალ-ანშეფობა მიიღო. გორდონი ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის სახელმწიფოს, როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიურ სარბიელზე. პეტრეს გამეფების შემდეგ ასევე ერთგულად და მამაცად ამოუდგა მხარში ახალგაზრდა მეფეს, რომელიც დიდად აფასებდა გენერალ გორდონის ადამიანურსა და საქმიან თვისებებს. გარდაცვლილ გენერალს პეტრემ ბრწყინვალე დაკრძალვა მოუწყო და ფეხით მიაცილა სასაფლაომდე.

6 სექტემბერს კრემლში გამოცხადდნენ მსროლელები და კვლავ კატეგორიულად მოითხოვეს შაკლოვიტის გადაცემა. სოფიომ იგრძნო, რომ უარი აღარ გაუვიდოდა და იძულებული გახდა დათანხმებულიყო. პეტრეს სპეციალურმა ემისარმა თავადმა პროზო-

[1] ეს და სხვა ადგილები ამოღებულია ალ. ტოლსტოის რომანიდან „პეტრე პირველი", თხზ., კრებული, ტ. 7, მოსკოვი, 1959, რუს. გამოცემა.

როვსკიმ 7 სექტემბერს დატყვევებული შაკლოვიტი მონასტერში მიიყვანა. შაკლოვიტი იმავე დღეს დაკითხეს წამებით და, 12 სექტემბერს, თავის ერთგულ მსროლელებთან ერთად, სიკვდილით დასაჯეს.

მალე მონასტერში მორჩილად გამოცხადდა სოფიოს ძირითადი საყრდენი, თავადი ვასილი გოლიცინი, რომელიც საერთოდ განზე იდგა ამ ამბებისაგან. გოლიცინი პუსტოზერსკში გადაასახლეს.

სექტემბრის ბოლოს მეფის ასული სოფიო ნოვოდევიჩის მონასტერში გაამწესეს. რუსეთის ფაქტიური მეფე გახდა 17 წლის პეტრე ალექსის ძე რომანოვი.

„ოქტომბერში პეტრე მარტო „გასართობი“ პოლკებით მოსკოვისაკენ გაემართა. ათიოდე ვერსის დაშორებით, სოფელ ალექსეევსკოეში, მას ხალხის დიდი ბრბოები შემოეგებნენ. ძოჰქონდათ ხატები, საეკლესიო დროშები, ლანგარზე დადებული პური. გზის ორივე მხარეს ეყარა ხის მორები და კუნძები შიგ ჩარჭობილი ცულებით, და ნესტიან მიწაზე იწვნენ მორებზე კისერგადადებული მსროლელები — რჩეულნი იმ პოლკებიდან, რომლებიც არ იყვნენ სამებაში...

მაგრამ ახალგაზრდა მეფე თავებს არ ჭრიდა, არ მრისხანებდა, თუმცა გამომეტყველება მიუკარები ჰქონდა...“

პირველ წლებში პეტრე ნაკლებად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. სოფიოს მოწინააღმდეგე ჯგუფმა, პეტრესთან შეთანხმებით, თითქმის მთლიანად შეცვალა ძველი მთავრობის შემადგენლობა. საელჩო პრიკაზსა და, შესაბამისად, მთავრობას სათავეში ჩაუდგა დედოფალ ნატალიას ძმა, ლევ ნარიშკინი, საკმაოდ შეზღუდული გონების კაცი. საელჩოს საქმეებს ძველებურად განაგებდა გამოცდილი დიაკი ემელიან უკრაინცევი. პრიკაზების უფროსებად კვლავ ძირძველი ბოიარ-თავადები დასხდნენ — ტიხონ სტრეშნევი და პეტრე პროზოროვსკი, ივანე ტროეკუროვი და პეტრე შერემეტიევი, დოლგორუკოვი, რეპნინი, ოდოევსკი. თუმცა ყველაზე გავლენიან პირად რჩებოდა თავადი ბორის გოლიცინი, რომელიც ცენტრალური ფიგურა იყო პეტრეს მომხრეთა ჯგუფში.

პეტრემ კი კვლავ მიაშურა „არმიასა და ფლოტს“. სამხედრო საქმიანობა ამჯერად გენერალ გორდონის მეთვალყურეობითა და

ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა[1]. პეტრეს თან ახლდა მეორე უცხოელიც, ფრანც ლეფორტი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალგაზრდა მეფის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და მის გეგმებში. ლეფორტი მისი უახლოესი მრჩეველი და თანამეინახე იყო.

ფრანც ლეფორტი დაიბადა 1656 წელს, ჟენევაში. სამხედრო სამსახური დაიწყო საფრანგეთში მყოფ შვეიცარიელთა ჯარში. 1676 წელს მიიღო მოსკოვის მეფის მიწვევა და რუსეთის უცხოური წყობის ჯარის კაპიტანი გახდა. მაიორობას მხოლოდ 1683 წელს მიაღწია, ისიც ჰაბუკი პეტრეს წყალობით. იმავე წელს პოდპოლკოვნიკი გახდა, ხოლო ყირიმის ლაშქრობებში პოლკოვნიკი იყო. ლეფორტი, როგორც ჩანს, აქტიურად ეხმარებოდა პეტრეს გასართობი პოლკების შექმნასა და წვრთნაში. 1690 წელს მას პეტრემ ჯერ გენერალ-მაიორობა, შემდეგ კი გენერალ-ადმირალობა მიანიჭა. ჭკვიანი, განათლებული, მამაცი და მხიარული ლეფორტი დიდ როლს ასრულებდა პეტრეს, როგორც მონარქისა და პიროვნების, ჩამოყალიბებაში. პეტრე ხშირი სტუმარი იყო მისი. მეფის ბრძანებით ლეფორტს უცხოელთა დაბაში აუგეს სახლი 500-ადგილიანი დარბაზით.

1690 წლის 17 მარტს გარდაიცვალა პატრიარქი იოაკიმე. მან მეფეს დაუტოვა ვრცელი ანდერძი, სადაც ერთხელ კიდევ გამოჩნდა მოსკოვის ეკლესიის უკიდურესი კონსერვატიზმი. ის სთხოვდა მეფეებს, რომ თავისი ქვეშევრდომებისათვის ყოველგვარი კავშირი აეკრძალათ უცხოელებთან — ლათინებთან, ლუთერიანებთან, კალვინისტებთან და უღმერთო თათრებთან, არ მიეცათ მათთვის ეკლესია-სამლოცველოების შენების უფლება, არსებული კი დაენგრიათ, არ დაეყენებინათ ისინი რუსული ჯარის სარდლებად და ა. შ.

ანდერძისთვის პეტრეს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ის კვლავ მისდევდა თავისსავე პრინციპს — „თორმეტი უცხოელიდან ერთიც რომ აღმოჩნდეს ნიჭიერი და პატიოსანი, ის ერთიც აანაზღაურებს თერთმეტ ფუჭად ჩატარებულ ცდას". პირიქით —

---

1 ამ საქმიანობას მეფე ვერც ვაჟის, უფლისწულ ალექსის დაბადებამ მოსწყვიტა. გენერალ გორდონის სიტყვით, მეფე საკმაოდ გულგრილად შეხვედრია ამ ფაქტს.

ახალგაზრდა მეფემ თავისუფლად ამოისუნთქა და უკვე 1 აპრილს ჩაიცვა „გერმანული სამოსი“ — კამზოლი, მაღალყელიანი წინდები და ფეხსაცმელები, პარიკი გაიკეთა და დაშნა ჩამოიკიდა. 30 აპრილს პეტრე, პირველად რუსეთის მეფეთა ისტორიაში, ეწვია უცხოელ გორდონს და მასთან ივახშმა.

მაისში პეტრე საბოლოოდ გადავიდა პრეობრაჟენსკოეში და მოსკოვში მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში ჩადიოდა. კვლავ გაჩაღდა სამხედრო წვრთნა. 7 დეკემბერს ორივე მეფის დასწრებით, გასართობი პოლკები ოფიციალურად გარდაიქმნენ პრეობრაჟენსკისა და სემიონოვსკის პოლკებად, პეტრემ კი მოუხშირა უცხოელთა დაბაში სიარულს, სადაც ბევრი რამ გაიგო, თვალსაწიერი უსაზღვროდ გაუფართოვდა, დაიხვეწა და, რაც მთავარია, მის თვალში უაღრესად ამაღლდა ყველაფერი, რაც დასავლეთ ევროპასთან იყო დაკავშირებული. უცხოელთა დაბაში სტუმრობის ერთ-ერთი შედეგთაგანი იყო პეტრეს გულწრფელი რომანი ღვინით მოვაჭრის ქალიშვილთან — მშვენიერ ანა მონსთან...

აზოვიდან ლონდონამდე

> „ამ მართლაც დიდმა ადამიანმა... პირველმა სრულად შეაფასა რუსეთისათვის განსაცვიფრებლად ხელსაყრელი სიტუაცია ევროპაში, დაისახა და დაიწყო რუსეთის პოლიტიკის ძირითადი ხაზების განხორციელება, როგორც შვედეთის, თურქეთის, სპარსეთის, პოლონეთის მიმართ, ... ასევე გერმანიის მიმართაც“.
>
> ფ. ენგელსი

მთელი 1692 წლის მანძილზე პეტრე დიდი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს და თვითონაც მუშაობდა პერეიასლავლის ფლოტის ასაგებად. მაგრამ „ნამდვილი ზღვის“ ნახვის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა მას. და აი, 1693 წლის ივლისში ასკაციანი ამალით პეტრე არხანგელსკში ჩავიდა.

ზღვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე. მას საგანგებო იახტა დაახვედრეს, რომლითაც ჰოლანდიელთა და ინგლისელთა გემები გააცილა ღია ზღვაში. პეტრე ექვსი დღე არ გადმოსულა ხმელეთზე.

არხანგელსკი მოსკოვის სამეფოს ერთადერთი საზღვაო ნავსადგური იყო მაშინ, ძირითადი სავაჭრო პუნქტი, რომელიც რუსეთს ევროპის ქვეყნებთან აკავშირებდა. ზაფხულობით აქ უცხოური საქონლით დატვირთული ასამდე ხომალდი შემოდიოდა. აქვე ამ დროისათვის თავს იყრიდნენ რუსი ვაჭრები, რომლებიც თავის საქონელს ახვედრებდნენ ჰოლანდიელებს, ინგლისელებსა თუ გერმანელებს; გროვდებოდნენ უცხოელი სავაჭრო აგენტებიც, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ რუსეთში. საწყობებისათვის ალექსი მეფემ გააშენებინა ერთ ვერსზე გაჭიმული ქვის შენობები და ზარბაზნებითა და მიწაყრილებით გაამაგრებინა.

პეტრემ დაუცადა ჰამბურგელ ვაჭართა გემების მოსვლას, უხვად დაასაჩუქრა ისინი და სექტემბრის ბოლოს მოსკოვში დაბრუნდა.

1694 წლის იანვარში გარდაიცვალა დედოფალი ნატალია. პეტრემ მძიმედ განიცადა საყვარელი დედის დაკარგვა, მაგრამ დიდი ხნის გლოვა და უმოქმედობა არ ეგუებოდა მის ხასიათს. ის გატაცებით შეუდგა არხანგელსკში მეორედ გამგზავრების სამზადისს და მაისში კვლავ ჩავიდა იქ. არხანგელსკში მეფეს ელოდებოდა თავისი იახტა და გემი, რომლის შენება მისი ბრძანებით წინა წელს დაწყებულიყო. პეტრეს მიერ შეკვეთილ კიდევ ერთ გემს ჰოლანდიიდან ელოდნენ. ამ გემის ჩამოსვლამდე პეტრემ თავისი იახტით სოლოვეცკის მონასტერი ინახულა და ძლივს გადაურჩა ქარიშხალს.[1]

ივლისში არხანგელსკში შემოვიდა ნანატრი გემი, ორმოცდაოთხზარბაზნიანი ფრეგატი. პეტრემ ხომალდის კაპიტნად დანიშნა ლეფორტი /გენერალ-ადმირალის წოდებით/, თანაშემწედ — ბორის გოლიცინი, თვითონ კი შკიპერობა იკისრა. ამავე დროს თევდორე

---

[1] ღელვისა და ქარიშხლის დროს პეტრეს საკმაოდ შეშინებია. ის ხან ლოცულობდა, ხან ლოცმანს მივარდებოდა და შტურვალს ართმევდა. „თავი დამანებე. — იყვირა ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ლოცმანმა, — მე უკეთ ვიცი, რა ვაკეთო". პეტრე მოსცილდა. ნაპირზე გადმოსული მეზღვაური ფეხებში ჩაუვარდა მეფეს და პატიება სთხოვა. პეტრემ გადაკოცნა იგი და უთხრა: „პატიება კი არა, მადლობა უნდა გითხრა გადარჩენისთვისაც და პასუხისთვისაც", აჩუქა მას თავისი სველი ტანსაცმელი და ჯამაგირი დაუნიშნა.

რომოდანოვსკი, რომელიც უკვე გენერალისიმუსის წოდებას ატარებდა, ადმირალი გახადა, მეორე გენერალისიმუსი ბუტურლინი — ვიცე-ადმირალი, გორდონს კონტრადმირალობა უბოძა. ამათგან პირველ ორს ზღვა საერთოდ არ ენახა. აქვე, პეტრეს წინადადებით, ხომალდზე აუშვეს ფლოტის სამფეროვანი დროშა — წითელი, ლურჯი და თეთრი ფერებით, რომელიც შემდეგ დარჩა კიდეც რუსეთის ფლოტის დროშად.

აგვისტოში პეტრემ შეკრიბა ესკადრა, სადაც, სამი რუსული გემის გარდა, 4 ჰოლანდიური და 4 ინგლისური გემი შეიყვანა და ყინულოვან ოკეანეში გავიდა, უცხოელები გააცილა და არხანგელსკში დაბრუნდა, აქედან კი 26 აგვისტოს მოსკოვისაკენ წამოვიდა.

არხანგელსკში ორგზის მოგზაურობამ პეტრეს საბოლოოდ და გატაცებით შეაყვარა ზღვა. ეს სიყვარული კი საფუძველი გახდა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეებისა, რომელთაც რუსეთის იმპერიის შექმნას შეუწყვეს ხელი.

მოსკოვში დაბრუნებისთანავე პეტრემ ახალი საქმე წამოიწყო — დიდი მზადების შემდეგ მოსკოვის ახლოს, სოფ. კოჟუხოვოსთან, ჩატარდა ოცდღიანი მანევრები — „ბრძოლა“, სადაც მონაწილეობდნენ, როგორც ძველი, ისე ახალი წყობის ჯარები. ეს არ იყო სერიოზული მანევრები. თვით პეტრეს მოგონებით, ესეც მორიგი გართობა იყო. ამავე დროს, ამ გართობამ გარკვეული რწმენა შემატა მეფეს — უკვე სერიოზული საქმის დასაწყებად. პეტრე ნამდვილი ომისათვის სამზადისს შეუდგა.

სოფიოს მმართველობიდან პეტრემ მემკვიდრეობით მიიღო ანტითურქული კავშირი, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, ავსტრია, ვენეცია და პოლონეთი. რუსეთს, როგორც ნათქვამი იყო, ყირიმის სახანოსთან ბრძოლა ევალებოდა. პეტრემ გადაწყვიტა, თვითონაც მოესინჯა ძალა თურქეთთან ომში, თუმცა მას სხვა მიზანიც ჰქონდა — შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება. მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა მეტად რთული იყო. ერთი თანამედროვის თქმით, თურქეთი შავ ზღვას ისე უფრთხილდებოდა, „როგორც წმინდა და უმანკო ქალიშვილს, რომელსაც ვერავინ მიეკარება. უმალ სულთანი თავის აპარტამენტში შეუშვებს ვისმე, ვიდრე შავ ზღვაში უცხო გემების მიმოსვლაზე დათანხმდება; ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა თურქეთის იმპერია ყირამალა დადგება“.

ამიტომ იყო, რომ თურქები შავი ზღვის მისადგომებსაც კი იცავდნენ. აზოვის ზღვას, მაგალითად, საფუძვლიანად გამაგრებული ციხე იცავდა ჩრდილოეთიდან. პეტრემაც სწორედ ამ ციხის აღება განიზრახა პირველ რიგში. მართლაც, 1695 წლის ივნისში რუსეთის არმია აზოვის ციხეს მიადგა.

რუსეთის ჯარი რამდენიმე კოლონად მოძრაობდა. პირველ ჯგუფს, 10 ათასამდე მეომრითა და არტილერიით, გორდონი სარდლობდა. მეორესა /13 ათასი/ და მესამეს /7 ათასი/ ლეფორტი და ა. გოლოვინი მეთაურობდნენ.

იქ, სადაც დონი აღმოსავლეთისაკენ მიედინება და ვოლგას უახლოვდება, იგი კვლავ მკვეთრად უხვევს დასავლეთით და აზოვის ზღვას უერთდება რამდენიმე ტოტით, რომელთა შორის უამრავი კუნძულია. სამხრეთი ტოტის მარცხენა ნაპირზე, ზღვიდან თხუთმეტიოდე ვერსის დაშორებით, დგას ციხე აზოვი, ოდესღაც განთქმული ბერძნული კოლონია ტანაისი. XV საუკუნიდან იგი თურქებმა ჩაიგდეს ხელში და საგანგებოდ გაამაგრეს, რათა დონელი კაზაკებისათვის ზღვაზე გასასვლელი ჩაეკეტათ. აზოვი წარმოადგენდა ქვის ოთხკუთხედს, ბასტიონებითა და კოშკებით, რომლის შიგნით ასევე ქვის ციხე იდგა. გარდა ამისა, მას გარს ერტყა მიწაყრილი და განიერი თხრილი. აზოვის ზემოთ, სამიოდე ვერსის დაშორებით, დონის ორივე ნაპირზე იდგა ქვის ორი კოშკი, ზარბაზნებით შეიარაღებული. მათ შორის გაბმული იყო სამმაგი რკინის ჯაჭვი, რომელიც გზას უკეტავდა ზემოდან მომავალ ხომალდებს.

5 ივლისს რუსეთის არმია აზოვთან განლაგდა: მარცხენა ფლანგზე ლეფორტი დადგა, მარჯვნივ გოლოვინი და ცენტრში გორდონი. პეტრემ მთავარი შტაბბინა გოლოვინთან მოიწყო. შეუდგნენ საალყო სამუშაოებს, რომელთაც უცხოელები — ტიმერმანი, ვეიდე და ბრიუსი — ხელმძღვანელობდნენ. არტილერიამ ციხის დაბომბვა დაიწყო.

მაგრამ არც თურქ-თათრები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. გარნიზონს რამდენჯერმე დამხმარე ძალაც მოუვიდა თურქეთიდან. რუსების არტილერია მაინცდამაინც ვერაფერს აკლებდა ციხეს. მოწინააღმდეგის მოულოდნელი გამოხდომები კი დიდ ზიანს აყენებდა მოალყეებს. 14 ივლისს აზოვში გაიქცა ჰოლანდიელი მეზღვაური იანსენი. ამ ღალატის შედეგი ის იყო, რომ მეორე დღესვე, ნაშუადღევს, როცა რუსების არმია ისვენებდა, თურქების დიდი რაზმი მო-

ულოდნელად გამოვარდა ციხიდან და თავს დაესხა მათ. ასობით მძინარე რუსი მეომარი შეეწირა ამ თავდასხმას.

16 ივლისს რუსებმა აიღეს დონის ნაპირებზე მდგარი ორივე კოშკი, მაგრამ ეს მათი უკანასკნელი წარმატება იყო. 5 აგვისტოს რუსეთის არმიის ნაწილმა იერიში მიიტანა ციხეზე, მაგრამ დიდი ზარალით უკუიქცა. 25 სექტემბერს იერიშში უკვე მთელი არმია მონაწილეობდა. ციხის დამცველებმა ამჯერადაც უკუაგდეს რუსები. 28 სექტემბერს კი, სამხედრო საბჭოს სხდომაზე, გადაწყდა აზოვის მისადგომების დატოვება /კოშკების დასაცავად 3000 კაცი დარჩა/.

მთელი ოქტომბერი არმია გზაში იყო. წვიმების, უგზოობისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის შედეგად არმია დიდად დაზარალდა. ნოემბრის დამდეგს, როგორც იქნა, მეომრები დასახლებულ პუნქტებს მიადგნენ და სული მოითქვეს.

პეტრემ ლაშქრობის მთელი სიმძიმე არმიასთან ერთად გადაიტანა. ამ მარცხს თითქოს უნდა გაეფანტა მისი ოპტიმიზმი, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო რამ: მეფე სულ სხვა განწყობითა და გამოცდილებით დაბრუნდა მოსკოვში. მარცხმა ახალი ენერგია შემატა პეტრეს. მას სწამდა, რომ მხოლოდ დროებით ტოვებდა აზოვს. ამის დასამტკიცებელ საბუთად გამოდგება თუნდაც ის, რომ მომავალი ლაშქრობის სამზადისი მან აზოვთანვე დაიწყო: კოშკების გამაგრება და იქ გარნიზონის დატოვება, ჩერკასკში საწყობების მომზადება, მიმოწერა რომოდანოვსკისთან თუ ვინიუსთან მხოლოდ ამისთვის იყო გამიზნული.

ამავე დროს პეტრე ღრმად დაუკვირდა მარცხის მიზეზებს და სათანადოდ შეაფასა ლაშქრობის ავ-კარგი. მისი აზრით, საჭირო იყო სამი რამ: ფლოტის შექმნა, ერთიანი ხელმძღვანელობის დანიშვნა და საალყო საქმის მცოდნე ინჟინერთა გამოყენება. მოსამზადებელი სამუშაოებიც ამ მიმართულებით წარიმართა. ვორონეჟში და პრეობრაჟენსკოეში ფლოტის მშენებლობა გაჩაღდა. ფლოტი ორი ტიპის ხომალდებისაგან უნდა შემდგარიყო — გალერებისაგან, რომლებიც შეძლებდნენ ზღვაში მოწინააღმდეგის ფლოტთან შებრძოლებას და აზოვის ბლოკადას, და სამდინარო ხომალდებისაგან, რომლებიც ჯარსა და არტილერიას გადაიყვანდნენ დონზე.

სამხედრო ინჟინრების მოწვევა დიპლომატებს დაევალათ. არ-

მიის მთავარსარდლად დაინიშნა ბოიარი ალექსი შეინი, ხოლო ფლოტის ადმირალი გახდა ფრანც ლეფორტი.

ამ განკარგულებებში უკვე ჩანდა პეტრეს შემდგომი მოღვაწეობის მრავალი ძირითადი მხარე. ჯერ ერთი, ახალგაზრდა მეფემ საბოლოოდ შეიგნო სამხედრო /საზღვაო თუ სამდინარო/ ფლოტის მნიშვნელობა. მთავარსარდლების დანიშვნა — მიუხედავად იმისა, რომ მოვლენების ფაქტიურ რეჟისორად თვითონ რჩებოდა — ჩვეული ამბავი გახდა პეტრეს შემდგომ სამხედრო მოღვაწეობაში. მაგრამ რუსეთის მომავალ წარმატებებში განსაკუთრებული და გადამწყვეტი როლი შეასრულა პეტრეს უდიდესმა ღირსებამ — მარცხის საღი შეფასებისა და ოპტიმიზმის გრძნობამ.

. . . 1696 წლის 9 იანვარს ბოიარი შეინი ოფიციალურად დაინიშნა რუსეთის არმიის მთავარსარდლად. მასვე გადაეცა ალამი ქრისტეს გამოსახულებით, რომელიც ივანე ვასილიევიჩს თან ჰქონდა ყაზანის ლაშქრობის დროს. ახალი მთავარსარდლის განკარგულებაში 70 ათასი მეომარი იყო.

29 იანვარს გარდაიცვალა ბოიარული რუსეთის უკანასკნელი მეფე ივანე ალექსის ძე. 30-ში მეფის ცხედარი მთავარანგელოზის ეკლესიაში დაკრძალეს, 31-ში კი პეტრე კვლავ საქმეს მიუბრუნდა.[1] თებერვალში იგი ვორონეჟში იყო და ნაჯახითა და სამჭედლო უროთი უშუალოდ მონაწილეობდა ფლოტის მშენებლობაში. მეფის ბრძანებით, ახლობელ მაზრებში შეკრიბეს ცხვრის ტყავები და მეზღვაურებისათვის ქურქები შეკერეს. 2 აპრილს დიდი ზეიმით წყალში ჩაუშვეს სამი გალერა — „პრინციპიუმ“ /„დასაწყისი“/. რომლის კაპიტანი პეტრე იყო, „წმ. მარკოზი“ და „წმ. მათე“, ხოლო 23 აპრილს გენერალი გორდონი სამი პოლკით დონზე დაეშვა. მომდევნო დღეებში მას მიჰყვნენ გოლოვინი, შეინი და პეტრე.

19 მაისს პეტრეს ფლოტი დონის კომკებს მიადგა. გარნიზონი ზარბაზნების ქუხილით მიეგება მეფეს. 20 მაისს დონელი კაზაკები თავს დაესხნენ აზოვთან მდგარ თურქების ფლოტილიას, გაძარცვეს და ზღვაში შერეკეს იგი. 27 მაისს რუსების გალერები აზოვის ზღვა-

---

[1] პეტრეს ბრძანებით გარდაცვლილი მეფის უზარმაზარი მოსამსახურე შტატი დაითხოვეს, ახალგაზრდების დიდი ნაწილი უცხოეთში გაგზავნეს სასწავლებლად.

ში გავიდნენ, სადაც მალე თავი მოიყარა რუსების 22 ხომალდმა. აზოვის ციხე ზღვიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ივნისის დამდეგს აზოვს არმიამაც შემოარტყა ალყა. თურქ-თათრებმა კვლავ მიმართეს მოულოდნელ კონტრიერიშებს, მაგრამ პირველივე გამოხდომა ისე ენერგიულად მოიგერიეს რუსებმა, რომ დიდი ხნით დაუკარგეს მათ ბრძოლის ხალისი.

მალე დონის შესართავს მოუახლოვდა თურქეთის ფლოტი, რომელსაც გარნიზონის დასახმარებლად ოთხი ათასი კაცი მოჰყავდა. მაგრამ ოსმალო ფაშამ დაინახა რუსეთის გალერები და ხელი აიღო განზრახვაზე, აზოვი საკუთარი ძალების ამარა დატოვეს.

16 ივნისს რუსებმა დანებება ურჩიეს გარნიზონს, მაგრამ ციხის დამცველები სროლით შეხვდნენ პარლამენტიორს. მაშინ რუსების არტილერიამაც გახსნა ცეცხლი, რომელსაც, რასაკვირველია, „ბომბარდირი პეტრეც“ ემსახურებოდა. 22 ივნისს ციხის ზარბაზნები დადუმდნენ. რუსმა მეომრებმა დაიწყეს მიწაყრილის აგება და საიერიშო პლაცდარმის მომზადება.

პეტრე კი ყველგან იყო, არც სროლას ერიდებოდა, არც მტრის სიახლოვეს. როგორც ჩანს, მეფის ახლობლები შეშფოთებას გამოთქვამდნენ ამის გამო. შემონახულია პეტრეს წერილი დისადმი, ნატალია ალექსის ასულისადმი:[1] „გამარჯობა, დაიკო! მე. ღვთის წყალობით, კარგად ვარ, შენი წერილის შემდეგ ყუმბარებსა და ტყვიებს არ ვეკარები, ისინი კი მოდიან ჩემთან, თუმცა ჯერჯერობით საკმაოდ თავაზიანად. თურქები საშველად მოვიდნენ, მაგრამ შორი-ახლო გვივლიან, ვფიქრობ, რომ ჩვენს მისვლას უცდიან.

Pîter“.

9 ივლისს არმიაში ჩამოვიდნენ საარტილერიო და საინჟინრო საქმის სპეციალისტები /ავსტრიიდან/, რომელთაც მოუთმენლად ელოდა მეფე: პოლკოვნიკი ბრაგე, ინჟინრები ლავალი, ბორგსდორფი და სხვები, სულ 13 კაცი. მათი ხელი მალე დაეტყო საალყო სამუშაოებსა და არტილერიას.

17 ივლისს კაზაკებმა მოულოდნელად შეუტიეს ციხის ერთ-ერთ კოშკს და აიღეს იგი. თათრებმა ვეღარ მოახერხეს კოშკის დაბრუნება. ამან იმდენად იმოქმედა ციხის მცველებზე, რომლებიც შველასაც

[1] ალექსი მეფეს მეორე ქორწინებიდან ორი ქალიშვილიც დარჩა — ნატალია და თეოდორა.

აღარსაიდან მოელოდნენ, რომ მეორე დღეს, 18 ივლისს, მათ პარლამენტიორი გამოგზავნეს და ციხის დათმობაზე თანხმობა განაცხადეს, იმ პირობით, თუ მათ თავიანთი ოჯახებითა და ქონებით აზოვის დატოვებისა და სამშვიდობოზე გასვლის უფლებას მისცემდნენ. მთავარსარდალი შეინი დათანხმდა, ოღონდ კატეგორიულად მოითხოვა მოღალატე იანსენის რუსებისათვის გადაცემა: წინა წლის მარცხს რუსები თითქმის მარტო მას აბრალებდნენ. დიდი ყოყმანის შემდეგ /იანსენს მაჰმადიანობა მიეღო და იანიჩრებში ჩარიცხულიყო/ თათრებმა მიიღეს ეს მოთხოვნა.

19 ივლისს თურქ-თათრებმა ციხის დატოვება დაიწყეს. მაგრამ კაზაკებმა არ დააცალეს, ქალაქში შეცვივდნენ და ძარცვას მიჰყვეს ხელი. გორდონმა ისღა მოახერხა, რომ ციხის უფროსის დასაცავად ასი ჯარისკაცი გაგზავნა. ლტოლვილები თურქების ხომალდებში ჩასხდნენ და თურქეთისაკენ გაემგზავრნენ. იმავე დღეს გაიმართა საზეიმო აღლუმი, რომელიც, რასაკვირველია, ღრეობით დამთავრდა.

რუსეთის არმია ნელ-ნელა დაიძრა მოსკოვის მიმართულებით. პეტრე კი აგვისტომდე დარჩა აზოვთან — მისი ბრძანებით შეადგინეს აზოვის გეგმა, აღწერეს იგი, ამოავსეს საალყო ნაგებობანი და დაიწყეს ციხის გამაგრება. თვით მეფე კი ზღვაში გავიდა ფლოტისათვის შესაფერისი ნავმისადგომის მოსაძებნად. ასეთი ადგილიც მონახა — ყურე ერთ კლდოვან ნაპირთან, რომელსაც ტაგანროგი ეწოდებოდა...

აზოვში დატოვეს 8300 კაცი, ვოევოდად დანიშნეს თავადი ლვოვი.

15 აგვისტოს პეტრე მოსკოვს გაემგზავრა.

...1696 წლის 30 სექტემბერს მოსკოვი დიდი სანახაობის მოწმე გახდა. ქვის ხიდთან იდგა უზარმაზარი ტრიუმფალური ჭიშკარი, რომელსაც სვეტების ნაცვლად ჰერკულესისა და მარსის ქანდაკებები შეყუდებოდნენ. მათ ფერხთით ბორკილდადებული, ხალმიანი თურქების ქვის ფიგურები ჩაკუნტულიყვნენ. ჭიშკარი სხვადასხვა შინაარსის ნახატითა და წარწერით იყო შემკული. მათ შორის გამოირჩეოდა დიდი წარწერა ძველსლავურ ენაზე — „მიველი, ვნახე, დავამარცხე“[1]. მითიური და ალეგორიული სურათები

1 ამ სიტყვებით აცნობა იულიუს კეისარმა თავისი ერთ-ერთი გამარჯვება რომის სენატს.

და ქანდაკებები ასახავდნენ რუსეთის არმიის გამარჯვებებს წყალსა და ხმელეთზე. ტრიუმფალური ჭიშკრიდან კრემლამდე, გზის ორსავე მხარეს, შეიარაღებული მსროლელები ჩამწკრივებულიყვნენ. არტილერისტები გატენილ ზარბაზნებთან იდგნენ პატრუქებით ხელში.

დილის 9 საათზე კრემლისაკენ მომავალი არმია დაიძრა და რამდენიმე ვერსზე გაიჭიმა. ჭიშკარს მოუახლოვდა ცხრა მხედარი, რომელთაც უბრალოდ შეკაზმული ცხენი მოჰყავდათ. ცხენის უნაგირზე მახვილი იდო, მეორე ჯგუფის ცხენზე კი თოფი. მათ ექვს ცხენიანი კარეტით მოჰყვებოდა ნიკიტა ზოტოვი, მომდევნო კარეტაში ისხდნენ თევდორე გოლოვინი და კირილე ნარიშკინი. მათ მოსდევდა 14 ცხენი ადმირალ ლეფორტის საჯინიბოდან, შემდეგ ძვირფასი მარხილი, რომელსაც თვით ადმირალი მოჰყავდა. მარხილის უკან მოდიოდა მეზღვაურთა რაზმი, წინ მოუძღოდა შავ გერმანულ ტანსაცმელში გამოწყობილი „დიდი კაპიტანი“ — პეტრე, რომელსაც თეთრი ფრთით შემკული ქუდი ეხურა.

ჭიშკართან ლეფორტი გადმოვიდა მარხილიდან და ფეხით გაანაგრძო გზა. იქვე მდგომმა ანდრია ვინიუსმა ხოტბა შეასხა ადმირალს. გაისმა საარტილერიო ზალპი.

ასეთივე ცერემონიით გაიარა მთავარსარდალმა შეინმა. მას მოჰყვებოდნენ გენერალი გოლოვინი და ყირიმელი ტყვეები ნაალაფარი ალმებით. პრეობრაჟენსკის პოლკს ახლდა ოთხცხენიანი საზიდარი, რომელზეც სახრჩობელა იდგა. ზედ დაბმული იყო მოღალატე „იაკუშკა“ — ჰოლანდიელი იანსენი. ამ საზიდარმა გვერდი აუარა ჭიშკარს[1]. ბოლოს მოდიოდა გენერალი გორდონი თავისი პოლკებით.

კრემლიდან პოლკები თავის სადგომებში გაეშურნენ. პეტრემ კი ოფიცრებთან ერთად ლეფორტის სახლში დაასრულა ზეიმი...

მაგრამ პეტრეს მარტო თურქ-თათართა ალმები როდი ჰამოუტანია მოსკოვში, მას ჩამოჰყვა ორი იდეა — ფლოტის შექმნისა და ევროპაში გამგზავრებისა. მათ განხორციელებას დაუყოვნებლივ შეუდგა დაუდეგარი მეფე. როგორც ლეფორტის წერილებიდან ირ-

---

1 იანსენი წამებით მოკლეს. როგორც ჩანს, უსაფუძვლო არ იყო მისი შიში, როცა ის აზოველებს ევედრებოდა — იქვე მოეკლათ, ოღონდ რუსებს ნუ ჩაუგდებდნენ ხელთ.

კვევა, პეტრეს უკვე აზოვთან მიუღია ეს გადაწყვეტილებები. თვით პეტრე არ აცალკევებდა მათ: ფლოტის შენება გადავწყვიტეო, — იგონებდა იგი შემდეგ, — ადგილიც შევარჩიე ვორონეჟთან და ინგლის-ჰოლანდიიდან ოსტატები გამოვიწვიე. „და რათა ეს საქმე დამკვიდრებულიყო რუსეთში, განვიზრახე, თვით ჩემს ხალხში დამემკვიდრებინა ეს ხელოვნება და ამიტომ მრავალი კეთილშობილი გავგზავნე ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში არქიტექტურისა და ხომალდების მართვის შესასწავლად. მაგრამ ხომ შერცხვებოდა მონარქი, ქვეშევრდომებს რომ ჩამორჩენოდა ამ ხელოვნებაში, და თვითონაც გავემგზავრე ჰოლანდიაში“.

ამ მგზავრობას სხვა მიზნებიც ჰქონდა. ჯერ ერთი, აზოვის აღებამ გარკვეული პოლიტიკური პრობლემები დასვა რუსეთის წინაშე. თურქეთთან ომი ახალ ფაზაში შედიოდა და ევროპის სახელმწიფოებთან პოზიციების გარკვევა, მათი მოზიდვა ამ ომში მნიშვნელოვან საკითხად იქცა.

მეორე, და არანაკლებ სერიოზული მიზეზი გამგზავრებისა იყო პეტრეს უდიდესი ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, რაც უცხოელთა დაბაში გაუღვივდა და რაც მას მხოლოდ ევროპაში შეეძლო დაეკმაყოფილებინა. მთელი მისი მგზავრობა ამ უაღრესად ფართო ინტერესების მკაფიო დემონსტრაციას წარმოადგენდა.

ვიდრე გაემგზავრებოდა, პეტრემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ფლოტის მშენებლობას, რასაც სახელმწიფო ვალდებულების სახე მიეცა და ძირითადად სამიწათმოქმედო და სავაჭრო კაპიტალს დაეკისრა. ყოველი 10 ათასი კომლი მიწათმოქმედი ვალდებული იყო ერთ. დიდი ხომალდი აეგო. რადგან რუსეთში იშვიათი იყო ასეთი რაოდენობის ყმების მფლობელი, მთავრობამ მემამულეებს გაერთიანების ნება დართო იმ ვარაუდით, რომ მათი ყმების საერთო რაოდენობა 10 ათასი იქნებოდა. ასეთ გაერთიანებებს „კუმპანიები“ ეწოდა. ამ წესით შეიქმნა მიწისმფლობელთა 18 კომპანია, ვაჭრებისა და მოქალაქეების — 14, სამღვდელოების — 17 (მათ შორის პატრიარქს დაევალა ერთი ხომალდის აგება, ხოლო სამების მონასტერს — ორი ხომალდისა), ცნობილ დიდვაჭარსა და მრეწველს სამი გემი უნდა აეგო. გემსაშენებს ვორონეჟში მიუჩინეს ადგილი.

ამავე დროს, პეტრემ ბრძანა აღეწერათ ციმბირის ყველა დასახლებული პუნქტი და დაედგინათ სავაჭრო-სამიმოსვლო გზები.

...1697 წლის 10 მარტს მოსკოვიდან ევროპაში გაემგზავრა 250-კაციანი „დიდი ელჩობა“. ელჩებად დანიშნულნი იყვნენ ნოვგოროდის მეფისნაცვალი, გენერალ-ადმირალი ფრანც ლეფორტი, ციმბირის მეფისნაცვალი, გენერალი თეოდორე გოლოვინი და სათათბიროს დიაკი პროკოფი ვოზნიცინი. ელჩობაში შედიოდა „მოხალისეთა“ რაზმი, რომლის მეორე ათეულს მეთაურობდა პეტრე მიხაილოვი — მოსკოვის სახელმწიფოს მეფე პეტრე I. მესამე ათეულში ირიცხებოდა ბრწყინვალე ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი „ცარევიჩ ალექსანდრ იმერეტინსკი“.

ბატონიშვილი ალექსანდრე იყო გამოჩენილი ქართველი მოღვაწის არჩილ მეფის ძე. გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო არჩილი იძულებული გახდა ოჯახით და დიდი ამალით მოსკოვს გადასახლებულიყო. ამან ჩაუყარა საფუძველი მოსკოვის ქართულ კოლონიას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში.

ალექსანდრე ათი წლისა იყო, როცა მოსკოვს ჩავიდა. ლამაზი, ტანადი და გონებამახვილი ბატონიშვილი მოეწონა ყრმა პეტრეს და მალე ქართველი მეფისწული მისი „გართობების“ მუდმივი მონაწილე გახდა.

25 მარტს მეფემ, პირველად მოსკოვის სახელმწიფოს ისტორიაში, გადალახა რუსეთის საზღვარი და 31-ში რიგაში ჩავიდა. ტერიტორია, რომელიც პეტრემ გაიარა, შვედეთს ეკუთვნოდა და რიგის გენერალ-გუბერნატორი მართავდა. რუსებს აქ იმდენად ცუდად ხვდებოდნენ, რომ ეს ფაქტი შემდეგ პეტრემ შვედეთთან ომის საბაბადაც კი გამოიყენა. დასავლეთ ევროპა საკმაოდ ოფიციალურად და ეჭვის თვალით შეხვდა „მოსკოვიის“ მეფეს.

რიგიდან გამგზავრებულმა პეტრემ გაიარა კურლანდიის საჰერცოგო, ბრანდენბურგი (რომლის კურფიურსტთან, ფრიდრიხ II-თან, პეტრემ მეგობრობის ხელშეკრულება დადო), თითქმის მთელი გერმანია, აგვისტოს დამდეგს ჩავიდა ჰოლანდიის პატარა ქალაქ საარდამში.

პეტრეს განსაკუთრებული სწრაფვა ჰოლანდიისაკენ შემთხვევითი არ ყოფილა. ახალგაზრდა მეფე ამ ქვეყანას, შეიძლება ით-

ქვას, ევროპასთან აიგივებდა. მართლაც, პირველი ევროპელები, რომლებიც პეტრეს ჭაბუკობიდანვე ამოუდგნენ მხარში, — მასწავლებელი ტიმერმანი, მეზღვაური ბრანდტი, ექიმი ვან-დერ-გულსტი ჰოლანდიელები იყვნენ. ამავე დროს ჰოლანდიელებს ყველაზე ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ამ დროს მოსკოვთან. ზღვაოსნობის საქმესაც ხომ უპირატესად მათი მეშვეობით ეზიარა პეტრე. ამიტომ გასაკვირი აღარ უნდა იყოს მისი მიზანსწრაფული სვლა საარდამის მიმართულებით, სადაც გემსაშენები ეგულებოდა.

ჰოლანდია, ანუ როგორც მაშინ ეწოდებოდა — შეერთებული პროვინციების რესპუბლიკა, XVII საუკუნის მეორე ნახევარში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა — უამრავი კოლონიით, უმდიდრესი ხაზინითა და უდიდესი საზღვაო ფლოტით (მაშინდელი ევროპის სახელმწიფოთა კუთვნილი 20 ათასი გემიდან 16 ათასი მას ეკუთვნოდა), დიდად განვითარებული მრეწველობით, მეცნიერებითა და კულტურის დონით. ამ მიღწევებში ჰოლანდიელი ხალხის შრომისმოყვარეობა უდიდეს როლს ასრულებდა.

ჰოლანდიის მმართველი — შტატჰალტერი, პრინცი ვილჰელმ II, ამ დროს ევროპაში ყველაზე პოპულარული პიროვნება იყო. პეტრესაც არ ასცდა მისი დიდების გავლენა, მოსკოველი ჰოლანდიელების წყალობით ის დიდი ხანია შეპყრობილი იყო შტატჰალტერის გაცნობის სურვილით.

...საარდამის ვერფებზე პეტრემ ერთი კვირა იმუშავა, მაგრამ მალე აქ მისი ინკოგნიტო გამომჟღავნდა[1] და თავმობეზრებული მეფე ამსტერდამში გადავიდა. აქ მეფეს და ელჩობას გულითადი მასპინძლობა გაუწია ქალაქის ბურგომისტრმა ნიკოლოზ ვიტზენმა. პატრიოტი და მეცნიერი, მოგზაური და მეცენატი, პატიოსანი ბურგომისტრი და შესანიშნავი ზღვაოსანი ვიტზენი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თავის სამშობლოში. ვიტზენი რუსეთშიც იყო ნამყოფი (1664 წ.). ბურგომისტრმა პეტრე და ელჩები მეორე დღესვე თეატრში წაიყვანა, მესამე დღეს კი გრანდიოზული ფეიერვერკი და მეჯლისი გაუმართა.

სადილის დროს ვიტზენმა აცნობა პეტრეს, რომ ოსტ-ინდოე-

---

[1] სახლი საარდამში, სადაც პეტრე ცხოვრობდა, ისტორიული მნიშვნელობისა გახდა. იგი ნაპოლეონმაც კი ინახულა.

თის კომპანიის გამგეობამ, გაითვალისწინა რა მეფის სურვილი, გადაწყვიტა ახალი ფრეგატის აგება. ამით პეტრეს საშუალებას აძლევდნენ გემის მშენებლობის თეორიული პროცესი შეესწავლა. მეფე ისე აღაფრთოვანა ახალმა ამბავმა, რომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო საარდამში პირადი ნივთებისა და ხელსაწყოების წამოსაღებად.

პეტრემ არად ჩააგდო ხვეწნა და ღამის 11 საათზე იახტა საარდამისკენ გაემართა, 1 საათზე პეტრემ გასამრჯელო გადაუხადა მასპინძლებს (როგორც გადმოგვცემენ, მას აქაც გამოუჩენია თავისი ცნობილი სიძუნწე) და რიჟრაჟზე კვლავ ამსტერდამში იყო, სადაც საგანგებოდ მისთვის გამოყოფილ ვერფს მიადგა და იქვე დასახლდა. იგი განთიადისას ადგებოდა, ბაზარში მიდიოდა სურსათის საყიდლად, თვითონვე მოიმზადებდა საუზმეს და საქმეს შეუდგებოდა.

ჰოლანდიაში ჩასვლისთანავე პეტრემ თავისი თანამებრძოლნი — „მოხალისენი“ სხვადასხვა სპეციალობების შესასწავლად დაანაწილა. ალექსანდრე ბატონიშვილი ჰააგაში წავიდა საარტილერიო საქმის შესასწავლად. მალე პეტრემ ამსტერდამში გადმოიყვანა იგი. ერთი ისტორიკოსი ხაზს უსვამს მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ალექსანდრესადმი და აღნიშნავს: „დაკვირვებლობის ნიჭით დაჯილდოებული პრინცი სწრაფად ითვისებდა და იმახსოვრებდა გემთმშენებლობისა და ზღვაოსნობის ყველა ტექნიკურ ტერმინს და მალე გახდა დაოსტატებული და გამოცდილი მეზღვაური“.

მასპინძლები ცდილობდნენ ყოველმხრივ დაეკმაყოფილებინათ პეტრეს ცნობისმოყვარეობა. მის პატივსაცემად გამართეს საგანგებო საზღვაო „ბრძოლა“, სადაც ყველა სახეობის ხომალდი მონაწილეობდა. რასაკვირველია, პეტრე „ბრძოლის“ შუაგულში იყო.

პეტრე დროს არ კარგავდა — ის ხან დოქტორ რუიშის ანატომიურ კაბინეტში იყო, ხან ბოტანიკურ ბაღში, ხან მისი მონაწილეობით აგებული ფრეგატის ჩაშვებას ესწრებოდა, ხან თეატრში იყო, ხან არხების გაყვანას სწავლობდა, ხან დამნაშავეთა დასჯას ადევნებდა თვალს. და, რაც მთავარია, ყველაფერს გულმოდგინედ აკეთებდა. კენიგსბერგში ყოფნისას მან კანონირობა (არტილერისტობა) ისწავლა და დიპლომიც მიიღო, ამსტერდამში კი გემთმშენებლის დიპლომი გადასცეს. მეფე სწავლობდა არქიტექტურას, მექანიკას, ფორტიფიკაციას, ბეჭდვის ტექნიკას, ანატომიას, ბუნებისმეტყ-

ველებას, კბილის ამოღების ტექნიკას, აბრეშუმსაქსოვ დაზგებს, ხატვას და სპილენძზე გრავირებას. ბუნებრივია, რომ იგი ყველაფერს ერთნაირად ვერ ითვისებდა, მაგრამ ეს მრავალმხრივი ინტერესი ერთ დიდ მიზანს — რუსეთში ცივილიზაციის გადმოტანას ემსახურებოდა.

მაგრამ პეტრეს უპირველესი ინტერესის საგანი საზღვაო საქმე იყო. ჰოლანდიაში ყოფნის დროს მან დიდი პრაქტიკული გამოცდილება მიიღო, მაგრამ მეფის მახვილ გონებას არ გამოჰპარვია, რომ ჰოლანდიელები მხოლოდ პრაქტიკოსი მშენებლები იყვნენ და თეორიულად მოისუსტებდნენ. ამ მხრივ ინგლისელები უფრო კარგი მასწავლებლები ჩანდნენ.

ნოემბრის ბოლოს პეტრეს მოულოდნელი სიხარული ელოდა— პრინცმა ვილჰელმმა, რომელსაც ინგლისის მეფის ტახტი ეჭირა და იცოდა მოსკოვის მეფის ტრფიალი, გამოუგზავნა მას საჩუქარი — სწრაფმავალი და ლამაზი იახტა The Transport Royal".[1]

ამ შესანიშნავმა საჩუქარმა ბოლო მოუღო პეტრეს ყოყმანს და 1698 წლის 7 იანვარს იგი ინგლისში გაემგზავრა. მეფეს თან ახლდა 15 კაცი, მათ შორის ალექსანდრე ბატონიშვილი და ალექსანდრე მენშიკოვი, პეტრე შაფიროვი და პოლკოვნიკი ბრიუსი. ინგლისის მეფე ასე იგონებდა ახლობელთა წრეში პეტრეს ჩამოსვლას:

„მეფემ არ მოინდომა იახტით სარგებლობა, ერთ სამხედრო ხომალდზე მოთავსდა, მთელი მგზავრობის მანძილზე მის თანმხლებ კონტრადმირალს ზღვაოსნობაზე ესაუბრებოდა და ცდილობდა ყველა წვრილმანს ჩასწვდომოდა. ჰოლანდიელი მეზღვაურის ტანსაცმელი ეცვა, ტემზაში შემოსვლისას კი აქაურ სამოსში და პარიკში გამოეწყო. გზაში ანძაზე აძვრა და კონტრადმირალსაც ეპატიჟებოდა ზემოთ, მაგრამ ამ უკანასკნელმა სიმსუქნე მოიმიზეზა და უარი უთხრა. ეს არის მეფე, რომელსაც სრულიად არ აინტერესებს ბუნების მშვენიერებანი, ბრწყინვალე შენობები და ბაღები, და მხოლოდ ხომალდებით ერთობა. ჰოლანდიურიც მხოლოდ იმდენი იცის, რომ ამ თემაზე ისაუბროს. როგორც ჩამოვიდა აქ ინკოგნიტოდ, ყოველგვარი ცერემონიისა და მიღების გარეშე, ასევე მოთავსდა თავისი ამალით სამ პატარა სახლში, ასე რომ ცნობისმოყვარე ბრბომ არ იცის, რომელ სახლში იგულოს იგი".

[1] „სამეფო ტრანსპორტი".

ვილჰელმმა ასევე უბრალოდ ინახულა მეფე, რომლის ოთახში მასთან ერთად ცხოვრობდნენ ალექსანდრე არჩილის ძე, ექიმი და ამალის სამი სხვა წევრი.

მაშინდელი ევროპის უდიდესი ქალაქი და ნავსადგური, ნახევარმილიონიანი ლონდონი თავისი ერთადერთი, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილი ხიდით, წმინდა პავლეს ტაძრითა და რატუშით, ტაუერითა და ვესტმინსტერით უცხოელთა დიდ ინტერესს იწვევდა. მაგრამ მოსკოვის ახალგაზრდა მეფეს თავისი ინტერესები ჰქონდა. ძირითად დროს ის, რასაკვირველია, დეპტფორდის ვერფებზე ატარებდა. თუმცა როგორც ჰოლანდიაში, მისი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა ამით არ იფარგლებოდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისთვის ვულიჩის საარტილერიო ქარხნებისა და პარკის დათვალიერება, საუბრები ცნობილ ღვთისმეტყველთან, სოლსბერის ეპისკოპოს ბიორნეტთან და, რასაკვირველია, პორტსმუტის სამხედრო-საზღვაო ბაზა, სადაც პეტრემ პირველად ნახა ნამდვილი საზღვაო გიგანტები — სამხედრო ხომალდები. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მეფეზე ასექვსხარბაზნიანი „მეფე ვილჰელმი“, რომელსაც 708 კაცი ემსახურებოდა. აქვე მოეწყო მანევრები, საზღვაო ბრძოლის იმიტაცია. პეტრე იმდენად აღფრთოვანებულა, რომ უთქვამს — ინგლისელ ადმირალად ყოფნა მირჩევნია რუსეთის მეფობაზო...

1698 წლის 25 აპრილს, სამხედრო ხომალდების ესკორტის თანხლებით, პეტრემ დატოვა სტუმართმოყვარე ინგლისის ნაპირი და გეზი კვლავ ჰოლანდიისაკენ აიღო. დამთავრდა მისი მოგზაურობა ინგლისში, რომელიც, XIX საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის მაკოლეის სიტყვით, „ეპოქაა არა მარტო მისი ქვეყნის, არამედ ჩვენი და მთელი კაცობრიობის ისტორიაში“. სოლსბერის ეპისკოპოსი ასე ახასიათებდა რუსეთის ახალგაზრდა მეფეს:

„ეს არის არაჩვეულებრივი ნიჭისა და ცოდნის კაცი, რაც თითქოს ჰოულოდნელია მისი ზერელე აღზრდის გამო. ძალიან ფიცხია, უხეში და ტემპერამენტიანი“...

მაისში პეტრე ჰოლანდიაში დაბრუნდა, დაათვალიერა ფაბრიკა-ქარხნები, არხები, ღირსშესანიშნაობები. ელჩობა კი ყიდულობდა

იარაღს და სხვა საკმაოდ მრავალფეროვან საგნებს,[1] ქირაობდა სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებს — რუსეთში გაემგზავრა ათასამდე კაცი, ადმირალ კრუისით დაწყებული და მესაათითა და მეკუბოვით დამთავრებული.[2]

მაგრამ პეტრეს არასასიამოვნო ცნობებიც ელოდა ამსტერდამში. მოსკოვიდან მიღებული წერილები მსროლელთა მღელვარებას იუწყებოდნენ, ვენიდან კი ამბები მოდიოდა, ავსტრიის იმპერატორი თურქეთთან ზავის დადებას აპირებსო. ამით პეტრეს მოგზაურობის დიპლომატიურ მიზანს საფუძველი ეცლებოდა. ევროპის ქვეყნების ანტითურქული კოალიცია სწრაფად იშლებოდა. წინა პლანზე დგებოდა ევროპაში ძალთა გადაჯგუფების ახალი პერსპექტივა, რაც დაკავშირებული იყო ესპანეთის ტახტის მემკვიდრეობის მიღებასთან. კარლოს II, ესპანეთის მეფე, უშვილო იყო. მისი გარდაცვალების შემთხვევაში ესპანეთის ტახტი და უზარმაზარი სამფლობელოები ევროპასა და ამერიკაში უპატრონოდ რჩებოდა. ამიტომ იყო, რომ თურქეთთან ზავის დადებით ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი ავსტრია, ჰოლანდია, ინგლისი თუ საფრანგეთი.

15 მაისს პეტრე და ელჩები ამსტერდამიდან გავიდნენ და ლაიფციგისა და დრეზდენის გავლით 16 ივნისს ვენაში ჩავიდნენ. აქ პეტრე რამდენჯერმე შეხვდა იმპერატორ ლეოპოლდს და მის დიპლომატებს და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თურქეთთან ზავის დადებას წინ აღარაფერი ედგა. პეტრეს საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

ვენიდან პეტრე ვენეციაში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ წინადღეს, 15 ივლისს, მოსკოვიდან მიიღო რომოდანოვსკის წერილი, რომლითაც „თავადი-კეისარი“ (ასეთი ტიტული მიანიჭა პეტრემ თავის უპირველეს დიდებულს) მსროლელთა მორიგი ამბოხების ამბავს ატყობინებდა. პეტრემ დაუყოვნებლივ შეცვალა გეგმა და 19 ივლისს სამშობლოსაკენ გაემგზავრა. ვენაში კი, საზავო კონფერენციაში მონაწილეობისათვის, ერთ-ერთი ელჩი — პ. ვოზნიცინი დატოვა.

---

[1] მარმარილოს ზოდები ქანდაკებებისათვის, ნიანგის ფიტული, რომელიც რუსეთის საბუნებისმეტყველო მუზეუმის პირველი ექსპონატი გახდა და ა. შ..

[2] მათ შორის იყო არაბი ბიჭი, აბრამ პეტრეს ძე ჰანიბალი, ალექსანდრე პუშკინის წინაპარი.

პეტრე სწრაფად მიდიოდა — მხოლოდ ცხენების გამოსაცვლელად ან სადილად ჩერდებოდა. კრაკოვში მას აცნობეს, რომ გორდონმა გაფანტა მეამბოხეები და მათი ნაწილი დაპატიმრებულია. პეტრე ნაწილობრივ დამშვიდდა. 31 ივლისს იგი ჩავიდა პატარა რუსულ ქალაქ რავაში, სადაც შეხვდა პოლონეთის მეფეს ავგუსტ II-ს.

28 წლის ახოვანი, ლამაზი, დარდიმანდი ავგუსტი ძალიან მოეწონა პეტრეს. მეფეები არც მალავდნენ ურთიერთ-სიმპათიებს, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომდევნო მოვლენებში. აქ ჩაესახა პეტრეს შვედეთთან ომის იდეა და აქვე ჩამოყალიბდა რუსეთ-პოლონეთის სამხედრო კავშირი.

...1698 წლის 25 აგვისტოს წლინახევრის აქ არყოფნის შემდეგ, პეტრე კრემლში შევიდა. მოგზაურობის შედეგები პრაქტიკულ გააზრებას მოითხოვდა. 26 წლის მეფე მთლიანად მომწიფებული იყო ამისათვის.

სანკტ-პეტერბურგი

„ნარვა იყო პირველი დიდი მარცხი აღმავლობის გზაზე მდგარი ერისა, რომელსაც ძალუძდა დამარცხებაც კი გამარჯვების იარაღად გადაექცია".

ფ. ენგელსი

„ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო, როცა პრეობრაჟენსკოეს გზაზე გაიჭიმნენ კარეტები, ორთვალები, მხედრები, ბოიარები, გენერლები, პოლკოვნიკები, მთელი მემამულეობა, სათათბიროს დიაკები, — ისწრაფოდნენ თაყვანი ეცათ ხელმეორედ შეძენილი უფლისათვის, ხალხით გატენილ წინაკარში გზას მიიკვლევდნენ და შეშფოთებით კითხულობდნენ:

— რაო? ჰა? რასა იქმს მეფე?!

მათ უცნაური ღიმილით პასუხობდნენ:

— ხელმწიფე მხიარულია...

ის იდგა მოზრდილ, ახლად შეკეთებულ დარბაზში, დიდ მაგიდასთან, რომელზეც ელაგა სინები, ციცი საუზმე, დოქები, ჭიქები

და კათხები. თხელი მაუდის უცხოურ ხიფთანში გამოწყობილი მეფე რუსს არა ჰგავდა. კისერზე ქალის მაქმანი მოეხვია, მუქი ულვაშები აეპრიხა, აბრეშუმივით პარიკი ეკეთა. არც ჩვენებურად დაჯდა — ვარუსის წინდიანი ფეხი სკამის ქვეშ მოხარა.

მოდიოდა ხალხი მეფესთან გრძელი ქურქებით, წვერებწაშვერილნი, თვალებგადმოკარკლულნი. თაყვანს ჩინის მიხედვით სცემდნენ — ზოგი ფერხთით უვარდებოდა, ზოგი წელში იკაკვებოდა და მხოლოდ აქ, პეტრეს ფეხებთან ამჩნევდნენ ორ ღვთისმოძულებულ ჯუჯას, ტომოსსა და სეკას, მატყლის საკრეჭი მაკრატლებით ხელში.

მიიღებდა რა თაყვანს, პეტრე ზოგს წამოაყენებდა და ეამბორებოდა, ზოგს მხარზე უთათუნებდა ხელს და ყველას მხიარულად ეუბნებოდა:

— ნახეთ, წვერი მოუშვია, უფალო ჩემო, ევროპაში წვერს დასცინიან... მასიამოვნე და ერთი შენი წვერი მათხოვე...

ბოიარი, თავადი, ვოევოდა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა გაოგნებული და ხელებგაჩაჩხული იდგა... ტომოსი და სეკა წამოიწეოდნენ ფეხის წვერებზე და მაკრატლით აჭრიდნენ დავარცხნილ, მოვლილ წვერს. მეფის ფეხებთან ეცემოდა მამა-პაპური სილამაზე. შეკრეჭილი ბოიარი ჩუმად იფარებდა სახეზე ხელს, ცახცახებდა, მაგრამ მეფე თვითონ აწვდიდა მას წიწაკის არყით სავსე მოზრდილ ჭიქას: — დალიე ჩვენი დღეგრძელობისა... სამსონსაც შეჭრეს თმა... (გადახედავდა მოციმციმე თვალებით კარისკაცებს, თითს ასწევდა.). საიდან წამოვიდა წვერის პარსვა? ეს ქალთა მოდგმას სიამოვნებს, პარიზიდანაა... ხა, ხა!.. ისე, წვერი კი ცოდოა, უბრძანე, კუბოში ჩაგაყოლონ, იმქვეყნად მოგეწებება.

ყოფილიყო მკაცრი და მრისხანე, ეყვირა, თუნდაც ამ წვერით ეთრია და დამუქრებოდა, როგორც სურდა, — ასეთი საშინელი არ აქნებოდა... გაუგებარი იყო მეფე, სულ უცხო, შეცვლილი, ისე იღიმებოდა, რომ მკერდში გული გაგეყინებოდა...

მაგიდის ბოლოს პოლონელი დალაქი ფუსფუსებდა, წვერშეკრეჭილებს საპონს უსვამდა, პარსავდა... სარკეს აჩეჩებდა წყეული, რომ დასახიჩრებულ ბოიარს შეეხედა თავისი ტიტველი, მოღრეცილი ბავშვური ტუჩებისა და სასირცხვო სახისათვის...

შეკრეჭილი მთვრალები იქვე, მაგიდასთან ტიროდნენ... მხოლოდ ტანსაცმლით ცნობდნენ გენერალისიმუს შეინს, ბოიარ ტროე-

კუროვს, თავად დოლგორუკებს, ბელოსელსკებს. მსტისლავსკებს...

მეფე ორ თითს უთათუნებდა ლოყაზე გაპარსულებს:

— ახლა თუნდაც იმპერატორის კარზე გამოჩნდით, არ შერცხვებით.

ასე დაიწყო პეტრემ რუსეთის ევროპეიზაცია.[1]

29 აგვისტოს ბრძანებულებით პეტრემ საერთოდ აკრძალა წვერის ტარება — ამის უფლება მხოლოდ მღვდლებსა და გლეხებს დარჩათ (თუმცა ამ უკანასკნელთ ქალაქში შემოსვლისას კაპიკი უნდა გადაეხადათ ამისათვის). მალე გამოქვეყნდა ბრძანებულება ტანსაცმლის შესახებ — ყველას, გარდა სასულიერო პირებისა, გლეხებისა, კაზაკებისა და ყალმუხ-თათრებისა, ევალებოდა ევროპული ყაიდის ტანსაცმლის ჩაცმა. რომლის ნიმუშები ქალაქის ყველა ჭიშკარზე ეკიდა.[2]

პეტრე გრძელ წვერსა და ტანისამოსს აიგივებდა დრომოჭმულ და რეაქციულ ბოიარობასთან, რომლის მიმართ ის ხშირად ხმარობდა გამოთქმას — „გრძელი წვერები“. მალე მეფემ დიდებულებს თამბაქოს წევაც დააწყებინა და პირველი მაგალითი თვითონ უჩვენა.

რეაქციასთან ბრძოლა მის ფიზიკურ დასუსტებასაც გულისხმობდა. ამიტომ იყო, რომ უკვე 17 სექტემბერს მეფემ ბრძანა მეამბოხე მსროლელთა საქმის ძიების განახლება. 14 სატუსაღო დღე და ღამე „მ·უშაობდა“ — ისმოდა განუწყვეტელი ყვირილი, შოლტის ცემა და დამტვრეული ძვლების ხრჭიალი. 27-ში პეტრე თვითონ ეწვია ნოვოდევიჩის მონასტერს და პირადად დაკითხა სოფიო, რომლის გარშემო იყრიდნენ თავს მსროლელთა ჩვენებები. 30 სექტემბერს დაიწყო მეამბოხეების საკვდილით დასჯა და მთელი ოქტომბრის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მარტო სოფიოს ფანჯრებთან 195 მსროლელი ჩამოახრჩვეს. სულ საკვდილით დასაჯეს რვა-

---

1 რასაკვირველია, წვერის პრობლემა არც ისე მარტივი იყო. ჯერ კიდევ ივანე IV-ის დროს ე. წ. „ასმუხლოვანმა კრებამ სასტიკად აკრძალა წვერის გაპარსვა ან შეკრეჭა. ეკლესიისათვის ამაზე დიდი მწვალებლობა არ არსებობდა. ალექსი მეფის დროს პატრიარქი იოაკიმე შეჩვენებით ემუქრებოდა ყველას, ვინც წვერს შეიკრეჭდა.

2 საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1681 წელს თევდორე მეფემ სასახლის სამსახურში მყოფ მამაკაცებს უბრძანა მოკლე სამოსი ეტარებინათ. აქვე უნდა ითქვას, რომ წვერისა და გრძელი სამოსის ტარება რუსეთის მკაცრი კლიმატით იყო გამოწვეული და ამდენად ნაწილობრივ გამართლებულიც.

ასამდე კაცი (უცხოელთა ცნობებით, ეს ციფრი გაცილებით დიდი იყო). სოფიო და მისი და მართა გაკრიჭეს. ძალით გაკრიჭეს პეტრეს მეუღლეც: ევდოკია ლოპუხინა, რომლის გვარეულობას პეტრე ვერ იტანდა. მისი ნათესაობა მოსკოვიდან გაასახლეს.

მსროლელთა პოლკები დაშალეს, მსროლელები თითქმის მთლიანად შორეულ პროვინციებში გადაასახლეს და სიკვდილის მუქარით ჯარში სამსახური აუკრძალეს.

თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ პეტრეს არაჩვეულებრივ სისასტიკეს ამ პერიოდში. ზოგიერთი ცნობით, ძიების დროს მას თვითონ მოუკლავს ხუთი მეამბოხე.

მაგრამ პეტრეს გონება ძირითადად ომის გარშემო ტრიალებდა. მსროლელებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ პეტრე დაუყოვნებლივ ვორონეჟში გაეშურა და ორმოცდათვრამეტზარბაზნიან გემს ჩაუყარა საფუძველი.

1699 წლის გაზაფხულზე რუსეთის ფლოტი აზოვისაკენ გაემართა. ამავე დროს ვენიდან ჩამოვიდა პრ. ვოზნიცინი და პეტრეს მოახსენა, რომ მან მოახერხა თურქეთთან ორწლიანი ზავის დადება. მაგრამ ეს არ კმაროდა. საჭირო იყო ხანგრძლივი ზავი, რათა პეტრეს ჭოელი გულისყური შვედეთისაკენ წარემართა.

18 აგვისტოს ფლოტმა ქერჩთან ჩაუშვა ღუზა. ქერჩის ფაშამ ვერ გაბედა შავ ზღვაში გაშვებაზე უარის თქმა და ორმოცდაექვსზარბაზნიანი გემი „სიმაგრე", რომელზედაც იმყოფებოდა საგანგებო ელჩი ემელიან უკრაინცევი, თურქეთისაკენ გაემართა. 2 სექტემბერს ხომალდი კონსტანტინოპოლს მიადგა და, მიღებული წესის თანახმად, შესაფერისი სალუტით მიესალმა ოსმალთა დედაქალაქს. მის ანძაზე ამაყად ფრიალებდა რუსეთის ფლოტის სამფეროვანი ალამი.

თურქებთან მოლაპარაკება 9 თვეს გაჭიანურდა. ზავი დაიდო 1700 წლის 3 ივლისს, სამი წლის ვადით. ზავის პირობებით რუსეთი ინარჩუნებდა აზოვს და თავისუფლდებოდა ყირიმელთა სამარცხვინო ხარკისაგან, მაგრამ ხელს იღებდა დნეპრის შესართავზე.

8 აგვისტოს პეტრემ მიიღო ცნობა ზავის დადების შესახებ, ხოლო 9 აგვისტოს მოსკოვიდან დაიძრნენ რუსეთის არმიის პირველი შენაერთები. პეტრემ შვედეთთან ომი დაიწყო...

ვიდრე უკრაინცევი თურქ ვეზირებთან ზავის პირობებზე ვაჭ-

რობდა, პეტრე გამალებული ემზადებოდა ომისათვის. მზადება პირველ რიგში, რასაკვირველია, არმიასა და არტილერიას ეხებოდა.

1699 წლის 8 ნოემბერს გამოცხადდა ჯარში გაწვევა, რაც შედარებით ორგანიზებულად და სწრაფად გატარდა. 1701 წლის ბოლომდე სპეციალურმა კომისიამ არმიაში ჩარიცხა 10.727 რეკრუტი და 11.787 მოხალისე. სულ ჩამოყალიბდა „რეგულარული წყობის“ 27 პოლკი და დრაგუნთა ორი პოლკი.

თითქმის ყველა პოლკს მეთაურობდნენ უცხოელი ოფიცრები, რომლებიც ძალზე უგულოდ ეკიდებოდნენ ამ საქმეს — ენის უცოდინარობა, ქედმაღლობა, გულგრილი განწყობა თავის კვალს აჩენდნენ უცხოელი ოფიცრების საქმიანობას. სამწუხაროდ, პეტრეს აღარ ჰყავდა ფრანც ლეფორტი და პატრიკ გორდონი — ორივე 1799 წელს გარდაიცვალა. ახლად ჩამოყვანილი გენერლები და ოფიცრები ვერ შეედრებოდნენ მათ საქმისადმი ერთგულებით და ენერგიულობით.

ამას უნდა დავუმატოთ ახალწვეულთა გამოუცდელობა, რეგულარული არმიის ტრადიციების უქონლობა. ასე რომ, პეტრეს არმია ჯერ კიდევ არ იყო მზად სერიოზული ბრძოლებისათვის. უფრო ნაკლებად ბრძოლისუნარიანი იყო ფეოდალური ლაშქარი.

1700 წლის თებერვალში გარდაიცვალა გენერალი ა. შეინი, რომელიც განაგებდა არმიასთან დაკავშირებულ პრიკაზებს. 19 მაისს მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას: „რაც მეზარბაზნეთა პრიკაზის საქმეებში შედიოდა, განაგოს არტილერიის გენერალმა, მეფისწულმა ალექსანდრე არჩილის ძემ“.

ქართველმა ბატონიშვილმა სათანადოდ დააფასა ეს დიდი პატივი[1] — რუსეთის არმიის პირველი ფელდცეიხმეისტერობა — არტილერიის უფროსობა და ენერგიულად შეუდგა საარტილერიო საქმის გადახალისება-მოწესრიგებას, მაგრამ ვერ მოასწრო —. აგვისტოში პეტრემ ომი დაიწყო, ხოლო სექტემბრის დამდეგს ალექსანდრემაც დატოვა მოსკოვი და ნარვისაკენ გაემართა. მისი არტილერია ცუდ დღეში იყო: ძველი, ივანე მრისხანისდროინდელი, მძიმე და მოუხერხავი ზარბაზნები, უხარისხო დენთი, გაუწვრ-

---

1 1700 წელს ალექსანდრეს და მამამისს, არჩილ მეფეს, ნიჟნინოვგოროდის მაზრაში ეწყალობათ 3284 კომლი 3996 მანეთის შემოსავლით.

თნელი არტილერისტები. 11 ოქტომბერს, უამინდობასა და ტალახში, ალექსანდრე მთავარბანაკში ჩავიდა და ნახა, რომ ნაცვლად დაგეგმილი 17 ათასი ჯარისა და 5 ათასი ფუთი დენთისა, ჩამოტანილი იყო 4100 ჯარი და 1200 ფუთი დენთი, ზარბაზნების ლაფეტები და ბორბლები დამტვრეულიყო, ჯარების ზომა სცილდებოდა ნორმას, დენთი უვარგისი იყო. ამ დეფექტების აღმოფხვრას ვერც პეტრეს ჩარევამ უშველა.

მაგრამ უკანდახევა აღარ შეიძლებოდა. რუსეთის არმია ნარვაზე იერიშს იწყებდა...

ომი, რომელიც ისტორიაში ჩრდილოეთის ომის სახელით შევიდა, პეტრეს სამხედრო მოღვაწეობის უმთავრესი საგანი გახდა. ეს ომი ლოგიკური შედეგი იყო რუსი ხალხის სწრაფვისა ევროპის ქვეყნებთან კავშირისაკენ. კ. მარქსი ასე აფასებდა მას: „როგორც არ უნდა აფასებდნენ მის მიზნებს, მის შედეგებს, თუ მის გაჭიანურებულ ხასიათს, ჩვენ მას მაინც ვუწოდებთ პეტრე დიდის ომს. მთელი მისი სასიცოცხლო საქმიანობა დამყარებული იყო ბალტიისპირეთის დაპყრობაზე... თვით ფაქტი მოსკოვიის რუსეთად გარდაქმნისა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მისი გადაქცევით ნახევრადაზიური კონტინენტური სახელმწიფოდან ბალტიისპირეთში ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ“. ეს ესმოდა ჯერ კიდევ ივანე IV-ს, რომელსაც ესოდენ დიდად აფასებდა პეტრე დიდი.

შვედეთის წინააღმდეგ საომრად პეტრემ კოალიცია შექმნა — პოლონეთის მეფეს, ავგუსტ II-ს, ლიფლანდიისა და ესტლანდიის ხელში ჩაგდება სურდა, დანიას — ჰოლშტინიისა. საერთო გეგმის შესაბამისად 1700 წლის თებერვალში ავგუსტის ჯარები ლიფლანდიაში შეიჭრნენ და რიგისაკენ გაეშურნენ. მარტში დანიელები ჰოლშტინიაში შევიდნენ...

შვედეთის ახალგაზრდა მეფე კარლოს XII ნამდვილი მეომარი იყო, ვიკინგების ღირსეული შთამომავალი, უბრალო და უპრეტენზიო გარეგნობითა და ცხოვრებით, სულით ძლიერი. მან არ დაიცალა მოკავშირეებს ერთობლივი მოქმედება და მათი ცალ-ცალკე განადგურება განიზრახა. ჯერ მოულოდნელად დანიაში გადავიდა, კოპენჰაგენს მიადგა და დანიის მეფე აიძულა ხელი მოეწერა კაპიტულაციაზე. შემდეგ რიგისაკენ გამოემართა, მაგრამ ჯერ „მოსკოვიტების“ დასჯა გადაწყვიტა, სწრაფი მარშით ნარვისაკენ გა-

მოსწია. 16 ნოემბერს მან დაამარცხა რუსეთის წინ წაწეული რაზმი ბ. შერემეტიევის სარდლობით, ხოლო 19 ნოემბრის ქარბუქიან დილას თავს დაესხა რუსების ძირითად ბანაკს. რუსეთის არმიას სარდლობდა ჰოლანდიიდან მოწვეული ჰერცოგი დე-კრუა, რომელიც უცხოელ ოფიცრებთან ერთად დაუყოვნებლივ ტყვედ ჩაბარდა შვედებს (პეტრე ნოვგოროდში იყო წასული სამარქაფო ჯარის შესავსებად). რუსეთის გაუწვრთნელმა არმიამ ვერ გაუძლო შვედებს და სასტიკად დამარცხდა. შვედებმა ტყვედ ჩაიგდეს გენერალიტეტი, მთელი არტილერია და აღალი. ტყვეთა შორის იყვნენ იაკობ დოლგორუკი, ალექსანდრე არჩილის ძე,[1] ავტონომ გოლოვინი, ადამ ვეიდე, ივანე ბუტურლინი და სხვები, სულ 79 გენერალი და ოფიცერი.

ნარვასთან დამარცხებამ მძიმედ იმოქმედა პეტრეზე. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების (ფსკოვისა და ნოვგოროდის მხარეების) გამაგრებას და არმიის განმტკიცებას. ამავე დროს, მთელი სისრულით გამომჟღავნდა მისი თვისება — მარცხიდან საჭირო დასკვნები გამოეტანა და გაორკეცებული ენერგიით დაეწყო მზადება მორიგი ცდისათვის. აზოვის ისტორია მეორდებოდა. მეფე კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ გასართობი პოლკებითა და შეკოწიწებული არტილერიით შეუძლებელი იყო უდიდესი საბრძოლო ტრადიციების მქონე ევროპულ არმიებთან ჭიდილი, რომელთა შორის შვედების არმიას მოწინავე ადგილი ეჭირა. ამ კატასტროფამ გარკვეული დადებითი როლი შეასრულა მის შემდგომ მოღვაწეობაში. მოგვიანებით თვითონ წერდა: „როცა ჩვენ ამ უბედურებას (ან, უკეთ რომ ვთქვათ, დიდ ბედნიერებას) ვეწიეთ ნარვასთან, გაჭირვებამ სიზარმაცე მიგვატოვებინა და გვაიძულა დღე და ღამე შრომისმოყვარეობისა და ხელოვნები-

---

[1] ტყვეები სტოკჰოლმში გაგზავნეს. მათი გათავისუფლების საქმე წლობით გრძელდებოდა და მხოლოდ 1710 წელს დასრულდა. მაგრამ ქართველმა ბატონიშვილმა ვერ გაუძლო პავლა და ტყვეობას, დაავადმყოფდა და, უკვე რუსეთში მომავალი, 1711 წელს გარდაიცვალა. — როგორც მისი საფლავის ქვის წარწერა გვაუწყებს, 38 წლისა. მამამისმა, არჩილ მეფემ, ის მოსკოვში ჩამოასვენა და დონის მონასტერში დაკრძალა. ასე დასრულდა რუსეთის არმიის პირველი ქართველი გენერლის ხანმოკლე კარიერა.

სათვის მიგვემართა, გვიბრძანა, ომი უკვე სიფრთხილითა და ხელოვნებით წარგვემართა“.

საინტერესოა, რომ ნარვის ამბები, პეტრეს ბრძანებით, ძალზე დამახინჯებულად წარმოადგინეს რუსულმა ოფიციალურმა წრეებმა. ევროპას მხოლოდ ელიმებოდა მათი მოსმენისას. როცა თავად გოლიცინს ჰკითხეს ვენაში — რა პირობებს წაუყენებსო პეტრე თავის გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს, რუსმა დიპლომატმა ნირშეუხრელად უპასუხა — ლივონიის დათმობასო...

კარლოსზე კი სრულიად საწინააღმდეგოდ იმოქმედა ნარვამ— მან რუსეთის არმია და მისი „ბარბაროსი მეფე“ საბოლოოდ დამარცხებულად ჩათვალა, მთელ ბალტიისპირეთში მხოლოდ 15 ათასი მეომარი დატოვა და თვითონ ავგუსტის დასასჯელად გაემართა. „მას ეშინოდა, რომ დასამარცხებელი აღარავინ ეყოლებოდაო“, — ამბობდა მისი ერთი კარისკაცი.

პეტრე კი სახელმწიფოს აწესრიგებდა. 1699 წლის იანვარში დაარსდა ბურმისტრთა პალატა, რომელმაც ვაჭრობისა და გადასახადების საქმეები ჩაიბარა. მალე ვოევოდებს თითქმის ყველა საქმე ჩამოერთვათ და ბურმისტრებს გადაეცათ.

იმავე წლის დეკემბერში დაწესდა ახალი კალენდარი — 1 იანვრიდან (ძველი კალენდარი, ბიზანტიური ტრადიციით, იწყებოდა 1 სექტემბერს და წლებს ითვლიდა 5508 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე). ახალ, 1700 წელს მოსკოვში გაიხსნა 7 აფთიაქი. სპეციალური ბრძანებულებით პეტრემ აკრძალა დანების გაყიდვა, რომელსაც რუსები თან ატარებდნენ და ხშირად ხმარობდნენ ჩხუბის დროს; აკრძალა ძველი ფული და შემოიღო ახალი, ერთიანი სამონეტო სისტემა; აკრძალა მკითხაობა, ქუდის მოხდა ზამთარში სასახლესთან ჩაელისას, მუხლზე დაცემა — როცა მეფე გაივლიდა შორიახლო, დამამცირებელი მიმართვა მეფისადმი: „შენი ყმა პეტრუშკა გოლოვინი“ და დაადგინა: „შენი ქვეშევრდომი პეტრე მიხეილის ძე გოლოვინი“...

1700 წელს გარდაიცვალა პატრიარქი ადრიანე. პეტრემ ისარგებლა ამით და 16 დეკემბერს გამოსცა ბრძანებულება სამონასტრო ქონების აღწერის შესახებ. მეფის ნებართვის გარეშე 50 წლის შესრულებამდე არავის შეეძლო ბერად შედგომა. პატრიარქი აღარ

აურჩევიათ. ზეიმებზე მეფის ტახტის მახლობლად აღარ იდგა პატრიარქის ტახტი....

1701 წელს მოსკოვში დიდი ხანძარი გაჩნდა — დაიწვა კრემლისა და მისი მიდამოების ნაწილი. ამას მოჰყვა პეტრეს ბრძანება სახანძრო წესდების შესახებ. მანვე ბრძანა, რომ დამწვარი სახლების ნაცვლად მხოლოდ ქვითკირის სახლები აეგოთ. ყველა გლეხს, რომელიც მოსკოვში შემოვიდოდა, თან 3 ქვა უნდა მოეტანა სახლებისა და ქუჩებისათვის.

ომმა უდიდესი ხარჯები მოითხოვა და პეტრემაც მოურიდებლად შეუტია: დაბეგრა აბანოები, ბორნები, სავაჭრო მოედნები, თევზის ჭერა, გადასახადები შეაწერა ხელოსნებს — კალატოზებს, ხაბაზებს, მკერავებს, მეწვრილმანეებს და ა. შ. ხაზინამ მარილსა და თამბაქოს ორმაგი ფასი დაადო. დაბეგრეს მუხის კუბოები, წვერის ტარება (მდიდარ ვაჭრებს 100 მანეთი უნდა ეხადათ წელიწადში, რაბათის ხალხსა და მოხელეებს — 60, უბრალო ხალხს — 30). გარდა ამისა, გლეხობას შრომითი ბეგარაც დააწვა — ციხესიმაგრეების, ვერფების, ქარხანა-ფაბრიკების, გზებისა და არხების მშენებლობა და სხვ.

პეტრემ შეზღუდა სამეფო კარის ხარჯები — გაჭრა 300 მზარეული, 3 ათასი საზეიმო და 40 ათასი შესაბმელი ცხენი, რომლებიც სამეფო საჯინიბოებში იდგნენ...

მაგრამ მომავალი სამხედრო წარმატებების საფუძველი მაინც მრეწველობის განვითარება უნდა ყოფილიყო, რაც შესანიშნავად ესმოდა მეფეს. მართლაც, მისი ინიციატივით, რუსეთში სოკოებივით ჩნდებოდნენ მანუფაქტურები — მაუდის, ტილოსი, საიალქნო და სხვა. მაგრამ მთავარი ყურადღება იარაღის წარმოებას ექცეოდა.

მეზარბაზნეთა პრიკაზის უფროსი ა. ვინიუსი შეუდგა ზარბაზნების ჩამოსხმას ტულის, კაშირისა და ოლონეცის ქარხნებში. ღუმელებში ადნობდნენ ეკლესიიდან ჩამოხსნილ ზარებს[1]. მალე ტულელი მჭედლის ნიკიტა დემიდოვის წყალობით „რკინის“ წარმოების ცენტრმა ურალში გადაინაცვლა — ამუშავდნენ და მომძლავრდნენ ტაგილის, ნევიანის და სხვა ქარხნები, მოსკოვისაკენ დაიძრა

---

1 როცა ივანე მრისხანეს ახალი ომის დაფინანსებაზე სამღვდელოებამ უარი უთხრა, მან 30 მღვდელი მიაბა 30 დათვს და ცოცხალი გამართა. პეტრე ასე შორს არ წასულა...

ზარბაზნებით, ჰურვებით, თოფებით, ხიშტებით, ხმლებით, ღუზებით დატვირთული ტრანსპორტი. რუსეთის არმია უკვე საკუთარსა და საკმაოდ ხარისხიან იარაღს ღებულობდა.

პეტრეს კვლავ შეეძლო ევროპისაკენ მორიგი ნაბიჯის გადადგმა.

1701 წლის თებერვალში პეტრე კურლანდიაში გაემგზავრა, მეფე ავგუსტს შეხვდა და დაარწმუნა იგი ომის გაგრძელების აუცილებლობაში, თან ოციათასიანი დამხმარე კორპუსი და 200 ათასი მანეთის სუბსიდია აღუთქვა[1]. მართლაც, რეპნინი დაიძრა ავგუსტთან შესაერთებლად. მაგრამ კარლოსმა კვლავ დაასწრო მოკავშირეებს, თავს დაესხა ავგუსტის ჯარს, დაამარცხა იგი და ლიტვისაკენ წამოვიდა. რეპნინი იძულებული გახდა ფსკოვისაკენ დაეხია.

პეტრემ კი ბალტიისპირეთში თავი მოუყარა 60 ათას კაცს და ფრთხილად და გეგმაზომიერად შეუდგა მის დაპყრობას. 1702 წლის იანვარში ბ. შერემეტიევმა დაამარცხა შლიპენბახის რვა ათასიანი კორპუსი. პეტრეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: „ჩვენ იქამდე მივედით, რომ შვედების დამარცხება შეგვიძლია, ჯერ ორით ერთის წინააღმდეგ, მაგრამ მალე დავამარცხებთ მათ თანაბარი ძალით“. ამ ბრძოლის ყველა მონაწილე დააჯილდოვეს, შერემეტიევს ფელდმარშლობა და ანდრია პირველწოდებულის ორდენი[2] ჩაუტანა ალ. მენშიკოვმა, ოფიცრებს ოქროს მედლები გადასცეს, ჯარისკაცებს კი ვერცხლის მანეთიანები.

ივლისში შერემეტიევმა დაამთავრა შლიპენბახის განადგურება. მთელი ლიფლანდია, გარდა ციხე-სიმაგრეებისა, რუსების ხელში გადავიდა. პეტრემ ბრძანება გასცა მზადება დაეწყოთ ნოტებურგის[3] საიერიშოდ. 11 ოქტომბერს ციხე დაეცა. პეტრემ დაუყოვნებლივ

---

1 აქ ერთმა პოლონელმა სენატორმა სარწმუნოების შეერთება შესთავაზა პეტრეს. „მე ვფლობ ჩემი ქვეშევრდომების სხეულს და არა სულს“, — ცივად უპასუხა პეტრემ.

2 ანდრია პირველწოდებულის ორდენი დაარსდა 1698 წელს. მისი პირველი კავალერი იყო ა. გოლოვინი.

3 ნოტებურგი ეწოდებოდა ძველ რუსულ ციხე ორეშოკს. იგი კუნძულზე იდგა, ლადოგის ტბასთან და 140-ზარბაზნიანი გარნიზონი იცავდა. ორეშოკი, იამი, კორელა, ლადოგა, კოპორიე, ივანგოროდი შეადგენდნენ ფორის მიწას, რომელიც ნოვგოროდის სამთავროში შედიოდა.

გაამაგრა იგი — ამჯერად უკვე შლისელბურგის (ქალაქი-გასაღები) სახელწოდებით.

ამ ციხიდან 60 კმ მანძილზე, ნევის შესართავთან, იდგა ციხე ნიენშანცი. 1703 წლის 1 მაისს, თორმეტსაათიანი დაბომბვის შემდეგ, ნიენშანციც დაეცა. არტილერისტებს პეტრე მეთაურობდა. რამდენიმე დღის შემდეგ ციხეს შვედების ხომალდები მიუახლოვდნენ. „ბომბარდირი პეტრე მიხაილოვი" ორმოცდაათამდე მსუბუქი ნავით თავს დაესხა მათ და ორი ხომალდი დაატყვევა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად გამოუშვეს მედალი წარწერით — „შეუძლებელიც ხდება", ხოლო ბომბარდირ-კაპიტანი პეტრე მიხაილოვი და პორუჩიკი ალექსანდრე მენშიკოვი ანდრიას ორდენებით დაჯილდოვდნენ. ეს იყო რუსების პირველი საზღვაო გამარჯვება.

1703 წლის 16 მაისს კუნძულზე, რომელსაც ფინელები „იანი საარის" (კურდღლის კუნძულს) უწოდებდნენ, პეტრემ თვითონ მოჭრა ორი ბელტი, ჯვარედინად დადო და თქვა: „აქ ქალაქი იქნება!" მალე აქ ააგეს ხის ციხე — მომავალი პეტრე-პავლეს ციხესიმაგრე. მას რამდენიმე სახლი მიემატა. დაიწყო პეტერბურგის მშენებლობა.

ახალი ქალაქის პირველ კომენდანტად პეტრემ დანიშნა პოლკოვნიკი რენე, გენერალ-გუბერნატორად კი მენშიკოვი. ნოემბერში ნევაში შემოვიდა პირველი ჰოლანდიური სავაჭრო გემი. პეტრე თვითონ შეხვდა მას ზღვაში, შემოუძღვა, ეკიპაჟი უხვად დაასაჩუქრა და დიდი ნადიმი გაუმართა.

პეტერბურგისკენ განუწყვეტლად მოედინებოდნენ ეტლები და საზიდრები — პეტრე სასწრაფოდ ასახლებდა ახალ ქალაქში კალუგელ, მოჟაისკელ და ვერეელ ვაჭრებს.

კარლოსი ქედმაღლურად უყურებდა რუსეთის მეფის საქმიანობას: „დაე, აშენონ ახალი ქალაქები, — ამბობდა იგი, — უფრო მეტი გვექნება დასაპყრობი".

პეტრესაც შესანიშნავად ესმოდა, რომ დასახულ მიზნამდე შორს იყო. 1703 წელს მის ძირითად ამოცანას შეადგენდა პეტერბურგის დაცვა დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. მაისში რუსებმა აიღეს იამი და კოპორიე. ივლისში პეტრემ დაამარცხა ვარნიზონების დასახმარებლად მომავალი შვედი გენერალი კრონგიორტი და უკუაგდო იგი. ზამთარში პეტრეს ბრძანებით ა. მენშიკოვმა

ნევის შესართავის ახლოს ააგო ციხე კრონშლოტი, რომელსაც აეტერბურგი უნდა დაეცვა ზღვიდან. 1704 წელს კი დაეცა ნარვა და დერპტი (ტარტუ). ამ ოპერაციებს უშუალოდ პეტრე ხელმძღვანელობდა.

ნოემბერში პეტრე ზეიმით შევიდა მოსკოვში. დამხვდურთა შორის მან შენიშნა შვედი დიპლომატი კნიპერკროონი, მოიხმო იგი და უთხრა:

— რადგან მე დავიბრუნე ინგერმანლანდია და ყველაფერი, რაც ჩემს სახელმწიფოს ეკუთვნოდა ძველთაგანვე, მზად ვარ შენს ხელმწიფესთან აღვადგინო მუდმივი მშვიდობა. მაგრამ, თუ მეფე ომის გაგრძელებას მოინდომებს, მე თავს დავიცავ ყველა საშუალებით, რაც ღმერთმა მომცა...

სანკტ-პეტერბურგიც ხომ სამბოლო იყო მეფის ამ მტკიცე გადაწყვეტილებისა...

„მამა მამულისა“

„პეტრემ დაიპყრო ყველაფერი, რაც აბსოლუტურად აუცილებელი იყო მისი ქვეყნის ბუნებრივი განვითარებისათვის“.

კ. მარქსი.

ევროპაში ფანჯარა გაჭრილი იყო. ახლა შეიძლებოდა მოკავშირის დასახმარებლად წასვლა. შერემეტიევის სამოცი ათასიანი კორპუსი პოლონეთისაკენ დაიძრა. 1705 წლის თებერვალში კი პეტრე კვლავ ვორონეჟში იყო და თვალყურს ადევნებდა ხომალდების მშენებლობასა და რკინის ქარხნების მუშაობას. აქედან განაგებდა ის ყველა საქმეს — პეტერბურგის მშენებლობას, შერემეტიევის მოქმედებას, თურქეთთან ურთიერთობას თავისი მინისტრის პ. ტოლსტოის საშუალებით, რომელიც იმ დროს კონსტანტინოპოლში იყო. ივლისში თვითონაც გაემგზავრა პოლონეთში. შემოდგომაზე გროდნოსთან პეტრე და ავგუსტი კვლავ შეხვდნენ ერთ-

მანეთს. აქვე მოიყარეს თავი რუსეთის არმიის ძირითადმა ძალებმა.

კარლოსი უკვე შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს მოქავშირეთა საქმიანობას. 28 დეკემბერს კარლოსი ოცდათასიანი არმიით სწრაფად დაიძრა გროდნოსაკენ და ალყა შემოარტყა მას. პეტრემ, რომელიც ქალაქიდან წასული იყო, უბრძანა „დაქირავებულ ფელდმარშალ“ ოგილვის, გროდნოში მყოფ არმიის სარდალს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ქალაქი. რუსებმა მოახერხეს კარლოსთან შეტაკების აცილება და 1706 წლის მარტში სამშვიდობოს გაბოვიდნენ.

კარლოსი კვლავ ავგუსტს მიუბრუნდა. თებერვალში მისმა გენერალმა რენშილდმა დაამარცხა საქსონელთა და რუსთა შეერთებული არმია, რომელსაც საქსონელი გენერალი შულენბურგი მეთაურობდა. „გენერალმა შულენბურგმა შვიდ თვეში 50 ათასი მიიღო, მაგრამ კაპიკისაც არაფერი გაუკეთებიაო“, — საყვედურობდა პეტრე ავგუსტს.

კარლოსმა დაიკავა საქსონია და ავგუსტი აიძულა ხელი აეღო პოლონეთის ტახტზე (1706 წლის სექტემბერში). ახლა მას ხელი გახსნილი ჰქონდა რუსეთზე სალაშქროდ. პეტრე მარტო უნდა გამკლავებოდა მრისხანე სარდალს, რომელიც სათავეში ედგა ევროპის საუკეთესო, ბრძოლებში ნაწრთობ არმიას.

კარლოსის გეგმა გულისხმობდა პოლონეთის გადაქცევას შვედეთის ვასალად, რუსეთის დაყოფას პატარა, სუსტ ოლქებად და შვედეთის მძლავრი სახელმწიფოს შექმნას, რომელიც გაბატონდებოდა აღმოსავლეთ ევროპაში. მისი ძირითადი სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებდა მოსკოვის აღებას.

პეტრემ თავიდანვე აუღო ალღო შვედეთის მეფის ჩანაფიქრს. სამხედრო თათბირზე, გალიციაში (1706 წლის ბოლოს), რომელშიც პეტრეც მონაწილეობდა, გადაწყდა თავი აერიდებინათ გენერალური ბრძოლისათვის, შვედებისათვის უკაცრიელი და უსურსათო სივრცე დაეტოვებინათ და მცირე ომით დაესუსტებინათ.

მთელი 1707 წლის განმავლობაში კარლოსი საქსონიასა და პოლონეთში იყო და ენერგიულად ემზადებოდა რუსეთზე თავდასასხმელად. ამავე წლის მიწურულში ოცდათხუთმეტათასიანი არმიით კარლოსმა შეტევა დაიწყო მოსკოვისაკენ. რუსეთის არმია, რო-

მელიც 57 ათას მეომარს ითვლიდა, ორ ჯგუფად იხევდა უკან. მას სარდლობდნენ ფელდმარშალი ბ. შერემეტიევი (ქვეითი ჯარი და არტილერია) და ალ. მენშიკოვი (კავალერია).

აგვისტოს ბოლოს რუსეთის არმიამ სმოლენსკამდე დაიხია. კარლოსს ეგონა, რომ რუსები თავის მიწა-წყალს მაინც დაინდობდნენ, მაგრამ შეცდა: მთელს ჰორიზონტზე კვამლი და ცეცხლი ჩანდა — რუსები წვავდნენ სოფლებს, ტყეებს, ნათესებს. კარლოსი დარწმუნდა, რომ ასეთ პირობებში წინსვლა არმიის დაღუპვას ნიშნავდა. დნეპრისაკენ დახევა და იქ გენერალ ლევენჰაუპტის სათადარიგო არმიისათვის ლოდინი სირცხვილად მიაჩნდა. ამიტომ გადაწყვიტა უკრაინისაკენ დაეხია, სადაც მას ელოდა შვედების მხარეზე გადასული ჰეტმანი მაზეპა.

პეტრემ შერემეტიევს მიანდო კარლოსი, თვითონ კი მენშიკოვთან ერთად ლევენჰაუპტის შესახვედრად გაემართა. შვედ გენერალს, საკმაოდ გამოცდილსა და მამაცს, უზარმაზარი აღალი მოჰქონდა კარლოსის მთავარი არმიისათვის. მალე გამოირკვა, რომ ამ აღალს 16 ათასი მეომარი მოჰყვებოდა, პეტრეს კი 12 ათასი ჰყავდა. მაგრამ ამჯერად პეტრე ამას აღარ მოერიდა და თავდასხმა გადაწყვიტა. ლევენჰაუპტმა ნახევარი აღალი სამათასიანი რაზმით კარლოსისაკენ გაგზავნა, თვითონ კი სოფელ ლესნაიასთან გამაგრდა. 28 სექტემბერს აქ გაიმართა ბრძოლა, რომელსაც უშუალოდ პეტრე ხელმძღვანელობდა. „მოსკოველი გლეხების“ არმიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა: შვედებმა დაკარგეს 9 ათასი კაცი, 17 ზარბაზანი, 44 ალამი და მთელი აღალი. რუსების დანაკლისი ბევრად ნაკლები იყო.

ამ ბრძოლის შედეგად, კარლოსს შეუერთდა მხოლოდ 6700 გატანჯული და მშიერი მებრძოლი. უზარმაზარი აღალის დაკარგვა სასტიკი დარტყმა იყო შვედების არმიისათვის, პოლტავასთან საომარი მასალის ნაკლებობაც ამან გამოიწვია. ხოლო რუსების მებრძოლი განწყობილება არაჩვეულებრივად ამაღლდა. პეტრემ სწორად შეაფასა ლესნაიას მნიშვნელობა: „ეს ბრძოლა იყო დედა პოლტავისა, რომელიც დაიბადა 9 თვის შემდეგ და მთელი ომის ბედი გადაწყვიტა“, — ამბობდა მეფე.

პეტრეს გეგმა ძალაში შედიოდა. შვედი ჯარისკაცები ქვებით დაჩეჩქვილი პურის თავთავებს ხარშავდნენ და ამით იკვებებოდნენ. დაიწყო ავადმყოფობა, რომელსაც, შვედი ჯარისკაცებისავე თქმით,

სამი ექიმი ჰყავდა — „არაყი, ნიორი და სიკვდილი“. ამას დაემატა ისეთი სასტიკი ზამთარი, როგორიც დიდი ხანია არ ენახათ უკრაინაში. მაგრამ ოქტომბრის ბოლოს კარლოსი გამხნევდა — მის ბანაკში მაზეპას შიკრიკი მოვიდა...

იეზუიტების აღზრდილი ივანე მაზეპა პოლონელ დიდგვაროვანთა ოჯახიდან იყო. პოლონეთში მან ერთ ფეოდალს ქალი მოსტაცა. განრისხებულმა დიდებულმა მაზეპა ველურ ცხენს დააკრა, ცხენმა ცოცხალ-მკვდარი მაზეპა დნეპრზე ძიიყვანა. აქ იგი კაზაკებმა შეიფარეს, აქვე დაიწყო მან თავის კარიერა და ოპორობით, ფლიდობითა და ქრთამებით ხელში ჩაიგდო დიდი სიმდიდრე და ჰეტმანის კვერთხი. განათლებისა და მახვილი გონების წყალობით მან პეტრეს კეთილგანწყობაც დაიმსახურა. მაგრამ პატივმოყვარე მაზეპას არ აკმაყოფილებდა ჰეტმანობა და დამოუკიდებელი უკრაინის მეფობა სურდა. ამიტომ, როგორც კი ომის სასწორი შვედების მხარეს გადაიხარა და კარლოსი უკრაინაში გამოჩნდა, მან დაუყოვნებლივ უღალატა პეტრეს.

მაზეპას პოზიციამ კარლოსს გადააწყვეტინა დაეპყრო უკრაინა. მიემხრო ყირიმელი თათრები და, შესაძლებელია, თურქეთიც. პეტრეს მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. მისი ბრძანებით მენშიკოვმა იერიშით აიღო ჰეტმანის დედაქალაქი ბატურინი, დაანგრია იგი და გაანადგურა ყველაფერი — სულიერი თუ უსულო. პეტრემ ჰეტმანად დანიშნა სკოროპადსკი, რომელსაც ფაქტიურად მთელი უკრაინა დაემორჩილა. მაზეპას სამი ათასამდე ზაპოროჟიელი წაჰყვა[1].

უკრაინელთა უკუდგომას თვით შვედებმა შეუწყვეს ხელი — დაპყრობილ ტერიტორიაზე მათ ეკლესიებში ცხენები და ძაღლები შეჰყავდათ, წვავდნენ და შეურაცხყოფდნენ ხატებს, ძარცვავდნენ მოსახლეობას და ა. შ. ასეთმა საქციელმა ძლიერ მოურყია ნიადაგი მაზეპასა და მის პროშვედურ აგიტაციას. შვედი გენერლის ადლერსფელდის სიტყვით, „ჩვენ მოულოდნელად იძულებულნი გავხდით

---

1 უკრაინელი კაზაკობა სამად იყოფოდა: სლობოდელი კაზაკები, რომლებიც ჰეტმანს არ ემორჩილებოდნენ და ხუთ განსაკუთრებულ პოლკს შეადგენდნენ; ჰეტმანის ხელქვეით მყოფნი, დნეპრის აღმოსავლეთით მცხოვრები კაზაკები (10 პოლკი) და ზაპოროჟიეს სეჩი, რომელსაც თავისი ატამანი ჰყავდა. მაზეპას ღალატის შემდეგ პეტრემ დაარბია და გაუქმა სეჩი.

მუდმივად გეებრძოლა იმ მხარის მოსახლეობასთან, სადაც შეეჯახა შვედებისათვის ყველაზე საზიანო იყო მტრობა მცხოვრებლებისა, რომლებიც იმალებოდნენ ხეებისა და ბუჩქებს უკან და ხოცავდნენ ჯარისკაცებს".

ბატურინის დარბევამ ფსიქოლოგიურადაც იმოქმედა შვედებზე. მათ ცხვირწინ განადგურდა მაზეპას საყრდენი ბაზა სურსათ-სანოვაგის უზარმაზარი საწყობებით. კარლოსმა გადაიფიქრა აღმოსავლეთით სვლა და გამოზამთრება გადაწყვიტა. პოლტავაში კი რუსების გარნიზონი ჩადგა.

1709 წლის იანვარში კარლოსმა ერთ უმნიშვნელო ციხეს, ვეპრიკს 1000 მეომარი და 48 ოფიცერი შეაწყვიტა. ეს ფაქტიც აშკარად მეტყველებდა ძალთა თანაფარდობის ცვლაზე.

აპრილში პეტრეს სარდალმა, რენემ, ზაპოროჟიელები გაანადგურა. კარლოსი კი პოლონელებსა და ყირიმელ თათრებს უცდიდა, მაგრამ პოლტავის რუსების ხელში ყოფნა ართულებდა მის კავშირს ამ ორ დამხმარე ძალასთან. ამიტომ მან პოლტავის აღება გადაწყვიტა. აპრილის ბოლოს კარლოსმა პოლტავის აღებისათვის მზადება დაიწყო.

პოლტავის ციხე მდინარე ვორსკლას მარჯვენა, ციცაბო ნაპირზე მდებარეობდა: მას სამი პოლკი იცავდა პოლკოვნიკ ალექსი კელინის მეთაურობით. კარლოსმა ორგზის შეუტია ციხეს, მაგრამ უშედეგოდ. დაიწყო საალყო სამუშაოები, რაც თვენახევარს გაგრძელდა. 14 მაისს ციხეს მენშიკოვიც მიადგა და ღამით 1000 მეომარი და ტყვია-წამალი შეაპარა ციხეში.

27 მაისს მენშიკოვს შეუერთდა შერემეტიევის არმია, 4 ივნისს კი ბანაკში პეტრე ჩამოვიდა. მან ჯერ მდინარეზე გადასასვლელების დაჭერა და გამაგრება ბრძანა, ხოლო 20 ივნისს რუსების მთელი არმია გადავიდა ვორსკლაზე და პოლტავიდან 8 კილომეტრზე გაჩერდა. 24 ივნისს ბანაკში ჰეტმანი სკოროპადსკი მოვიდა. დაიწყო ბრძოლისათვის, რომელსაც წილად ხვდა უდიდესი როლი ჩრდილოეთის ომში.

კარლოსი კვლავ უტევდა პოლტავის ციხეს და ისევ უშედეგოდ. სურსათთან ერთად, არმია ტყვია-წამლის ნაკლებობასაც განიცდიდა. დონის შესართავში რუსეთის ფლოტის გამოჩენამ თურქეთს ხელი ააღებინა ომში ჩარევის განზრახვისაგან. პოლონეთის ახალი

მეფის სტანისლავ ლეშჩინსკის მაშველ ჯარს გოლიცინის კორპუსი აკავებდა, რაც პეტრეს სტრატეგიული გეგმის ერთ ნაწილს შეადგენდა. კარლოსს აღარაფერი დარჩენოდა, გადამწყვეტი ბრძოლის მეტი.

მაგრამ შვედების მეფეს ავიწყდებოდა, რომ მისი არმია ის აღარ იყო, რაც ომის დაწყების ჟამს. გენერალიტეტს აღარ სჯეროდა მისი გენიისა და ალყის მოხსნას და უკანდახევას მოითხოვდა (მაზეპაც კი). მაგრამ კარლოსი ჯიუტობდა — მას კარგად ახსოვდა რუსეთის არმიის უსუსურობა ნარვასთან. მან არ იცოდა, და არც სურდა გაეგო ფენიქსივით აღმდგარი რუსული არმიის ძალა, რომლის უკან იდგა პეტრეს კოლოსალური ენერგიით გამოღვიძებული და მზრებგაშლილი უზარმაზარი ქვეყანა...

რუსების ორმოცდაათიათასიან არმიას, 72 ზარბაზნით, უველაფრით მომარაგებულსა და უზრუნველყოფილს, წინ ედგა შვედების ოცდახუთათასიანი არმია, რომლის არტილერიას ჰურვები აღარ ჰქონდა, ხოლო მეომრებს — ბრძოლის უნარი.

26 ივნისს ბრმა ტყვიამ ფეხში დაჭრა კარლოსი, მაგრამ მას აღარ შეუცვლია გადაწყვეტილება და მეორე დილით იერიშის დაწყება ბრძანა...

პეჭერეს მთელი ღამე არ სძინებია. დილის სამ საათზე მეფესთან მე შიკოვის შიკრიკი მოვარდა — შვედებს შეტევა დაეწყოთ და კავალერიის უფროსი მათ რუსების ხელოვნური სიმაგრეების — რედუტების წინ შეხვედროდა.

პეტრემ მზადყოფნა ბრძანა. საბრძოლოდ შემართული პოლკების წინ გამოჩნდა ამხედრებული მეფე და დაიწყო თავისი ცნობილი ბრძანების კითხვა:

„მეომარნო! აი, დადგა ჟამი, რომელიც გადაწყვეტს ბედს მამულისას! იცოდეთ, რომ თქვენ იბრძვით არა პეტრესათვის, არამედ სახელმწიფოსათვის, რომელიც პეტრეს აქვს ჩაბარებული, თქვენი წარმომავლობისათვის, მამულისათვის.. პეტრეს შესახებ კი იცოდეთ, რომ ის სიცოცხლეს არ დაიშურებს, ოღონდ რუსეთმა იცოცხლოს ნეტარებასა და დიდებაში თქვენი კეთილდღეობისათვის...“

არმიის საერთო სარდლობა შერემეტიევს ებარა. მარჯვენა ფლანგზე გენერალი რენე იდგა, მარცხენას მენშიკოვი მეთაურობდა. არტილერიას უფროსობდა ფელდცეიხმაისტერი ბრიუსი.

პეტრემ არმიას შეუდგინა დისპოზიცია, ბრძოლის ხელმძღვანელობა შერემეტიევს გადააბარა, თვითონ კი — როგორც „გვარდიის პოლკოვნიკს“ შეეფერებოდა, დივიზიას ჩაუდგა სათავეში. მან ნოვგოროდის გამოცდილ პოლკს უბრძანა თავისი ხიფთანები ახალწვეულებისათვის გადაეცა და თვითონ ნაცრისფერი ხიფთანები ჩაეცვათ. ამ მანევრმა მართლაც შეაცდინა შვედები, რომელთაც ნოვგოროდელები ახალბედა მეომრები ეგონათ და ძირითადი დარტყმაც მათკენ წარმართეს. ბრძოლაში პეტრეს ქუდი და უნაგირი გაუხვრიტეს, ერთი ტყვია კი გულში მოხვედრია და ოქროს ჯვარს ასუსხლეტია.

დილის 9 საათზე დაწყებული ბრძოლა რამდენიმე საათში დამთავრდა. ბრძოლის შედეგზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა რუსი ჯარისკაცების შეუპოვრობამ, არტილერიამ და პეტრეს ბრწყინვალე ნიჭმა. შვედების არმიამ არსებობა შეწყვიტა. საკაცეზე მწოლიარე კარლოსი და მაზეპა ორი ათასამდე შვედი მეომრითა და ზაპოროჟიელი კაზაკით ძლივს გადაურჩნენ დატყვევებას. შვედეთის მეფე, რამდენიმე ოფიცრისა და ხაზინის თანხლებით, რუსების გამოჩენამდე რამდენიმე საათით ადრე ორი გადაბმული ნავით გადავიდა მდინარე პერევალოჩნის მეორე ნაპირზე. მაზეპამაც იშოვა ნავი და შიგ ჩადგა ოქროთი სავსე ორი კასრი[1].

ბრძოლის ველზე და მდინარე პერევალოჩნისთან ტყვედ ჩავარდა თითქმის მთელი გენერალიტეტი. რუსეთის დანაკარგი 4700-მდე მეომარს შეადგენდა. შვედებმა 9 ათასი მეომარი დაკარგეს, 10 ათასი ტყვედ ჩავარდა.

იმავე დღეს პეტრეს კარავში ნადიმი გაიმართა, სადაც ტყვე შვედი გენერლებიც იყვნენ მიწვეულნი. პეტრემ თავისი მასწავლებლების სადღეგრძელო დალია.

— ვინ არიან თქვენი მასწავლებლები? — იკითხა ფელდმარშალმა რეინშილდმა.

— თქვენ, ბატონო შვედებო, — იყო პასუხი.

---

1 ამის შემდეგ მაზეპას დიდხანს აღარ უცოცხლია. გადმოცემით, როცა მას გაუგია, რომ პეტრემ მის სანაცვლოდ კარლოსს ტყვე კანცლერი პიპერი შეუთავაზა, თავი მოუწამლავს.

— კარგად კი გადაუხადეთ მადლობა მასწავლებლებს, — შენიშნა შვედმა გენერალმა.[1]

პოლტავის გამო მენშიკოვმა ფელდმარშლობა მიიღო, პეტრემ კი გენერალ-ლეიტენანტობა.

15 ივლისს რუსეთის არმიამ უკრაინა დატოვა...

პოლტავის ბრძოლის ექომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში. შეშფოთდნენ ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, გამხნევდნენ ავგუსტი, დანიისა და პრუსიის მმართველები. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში გაჩნდა ძალა, რომლის გარეშე ევროპული პოლიტიკის წარმართვა აღარ შეიძლებოდა.

უკვე 8 აგვისტოს ავგუსტ II-მ გაუქმებულად გამოაცხადა კარლოსის მიერ თავსმოხვეული დაზავება და მენშიკოვის არმიის დახმარებით კვლავ დაიბრუნა პოლონეთის ტახტი. პოლტავის ბრძოლამდე დანიელი დიპლომატები მოსმენის ღირსად ძლივს ხდიდნენ რუსეთის ელჩს კოპენჰაგენში, თავად დოლგორუკის, რომელიც კავშირის დადებას სთავაზობდა, და ამის სანაცვლოდ ყოველწლიურად 400 ათას დუკატსა და ფლოტისათვის საჭირო მასალას ჰპირდებოდა. ახლა კი, ასეთი კავშირის დადების შემდეგ, დოლგორუკი პეტრეს სწერდა—არაფერი მივეცი, არც კაცი, არც გროშიო. ინგლისი და ჰოლანდია ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ამ შეკავშირებას, მაგრამ რუსეთის ელჩმა ჰააგაში ა. მატვეევმა საკმაოდ ქედმაღლურად მოსთხოვა მათ წარმომადგენლებს, თავი შეეკავებინათ ასეთი საქმიანობისაგან. ხელშეკრულების თანახმად, დანიამ თხუთმეტათასიანი დესანტი გადასხა შვედეთში, მაგრამ შვედმა გენერალმა შტეინბეკმა უკან გადაყარა დანიელები...

ა. პუშკინი ასე აფასებდა პოლტავის ბრძოლას: „სახალხო გარდაქმნების წარმატება პოლტავის ბრძოლის შედეგი იყო, და ევროპული განათლება დაპყრობილი ნევის ნაპირებთან მოცურდა“. ზუსტად ასე ესმოდა ეს ფაქტი პეტრესაც, რომელმაც ბრძოლის შემდეგ თქვა: „ეხლა უკვე მტკიცედ დევს სანკტ-პეტერბურგის საძირკველში ქვა“. მეფე ენერგიულად მიუბრუნდა ამ საძირკვლის განმტკიცებას.

15 ივლისს პეტრე კიევში ჩავიდა. აქ, სოფიოს ტაძარში, ცნო-

---

1 ასეთ ურთიერთობას ხელი არ შეუშლია პეტრესთვის, რომ შვედი ოფიცრები ციმბირში გადაესახლებინა.

ბილმა საეკლესიო და საზოგადო მოღვაწემ თეოფანე პროკოპოვიჩმა ხოტბა შეასხა მეფეს. პეტრემ ბრძანა ეს ოდა ლათინურად ეთარგმნათ „მთელი ევროპის გასაგებად“. ამავე დღეს კელნში პოლონეთის, დანიისა და პრუსიის მეფეებმა ხელი მოაწერეს ანტიშვედურ კავშირს. ოქტომბრის დამდეგს კი ტორუნში პეტრე და ავგუსტი შეხვდნენ ერთმანეთს. რუსეთის მეფე შეუერთდა ამ კავშირს.

1709 წლის 14 ნოემბერს პეტრე უკვე რიგის კედლებთან იყო მოალყე ჯართან. პირველი სამი ჯურვი მან თავის ხელით გაისროლა ქალაქში. 1710 წლის ივლისში რიგა დაეცა. მანამდე, ივნისში, რუსებმა აიღეს ვიბორგი, რომელსაც ხმელეთიდან აპრაქსინის კორპუსმა შეუტია. ზღვიდან კი ფლოტმა.

ამ გამარჯვებების გამო დანიის ელჩი წერდა: „ზაფხულის კამპანია ბრწყინვალედ დამთავრდა, უფრო დიდ წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა; მართლაც, ერთ ზაფხულს მეფემ აიღო რვა უძლიერესი ციხე — ელბინგი, რიგა, დინამიუნდე, პერნოვი, არენსბურგი, რეველი, ვიბორგი და კექსჰოლმი და მთელი ლიფლანდიის, კარელიისა და კექსჰოლმის ოლქის ბატონი გახდა. ეს წარმატება მით უფრო აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ციხეების აღებისას უფრო ნაკლები დენთი დაიხარჯა, ვიდრე ამ გამარჯვებებით გამოწვეული სიხარულის გამოხატვის დროს“.

მოულოდნელად პეტრე ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. 1710 წლის მიწურულში თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს...

პოლტავის ველიდან კარლოს XII ბენდერში[1] გაიქცა. მან თან წაიღებულ ხაზინას მოჰკიდა ხელი, თურქების ხარბი ვეზირების მოსყიდვას შეუდგა და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია ამ მხრივ. კარლოსს ენერგიულად ეხმარებოდა საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში. რუსეთის ელჩმა, პეტრე ტოლსტოიმ, რომელსაც მხოლოდ ოცი ათასი დუკატი გააჩნდა, ვერაფერი გააწყო. ხოლო როცა მან სულთანის კარს ულტიმატუმი წარუდგინა და კარლოსის გადაცემა მოითხოვა, თურქეთის მთავრობამ დააპატიმრა ელჩი და რუსეთს ომი გამოუცხადა.

პეტრე კვლავ მარტო აღმოჩნდა მტრის წინაშე. მაგრამ მას იმედი ჰქონდა ბალკანეთის ხალხებისა, რომლებიც თურქების უღელ-

---

[1] თურქების ციხე მდინარე დნესტრზე

ქვეშ გმირავდნენ და იმედის თვალით შეჰყურებდნენ რუსეთის ძლევამოსილ მეფეს. პეტრეს შემწეობა აღუთქვეს მოლდავეთისა და ვლახეთის მთავრებმა (ვლახეთის მთავარმა შემდეგ უღალატა მეფეს).

1711 წლის აპრილში პეტრე ორმოცათასიანი ლაშქრით მოლდავეთისაკენ დაიძრა. მას თან ახლდნენ რუსეთის არმიის გამოჩენილი სარდლები — შერემეტიევი, აპრაქსინი, რეპნინი, მ. გოლიცინი. პეტრეს თან ახლდა მეუღლეც, დედოფალი ეკატერინე.

მაგრამ მოლდავეთში ჩასული მეფე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. არ იყო სურსათი (მთელი მოსავალი კალიას გაენადგურებინა), კანტემირის ჯარი მოუმზადებელი იყო. პეტრეს შესახვედრად მოდიოდა თურქეთისა და ყირიმის ორასათასიანი არმია დიდი ვეზირის სარდლობით.

რუსები მდინარე პრუტთან გამაგრდნენ. აქვე მოხდა პირველი შეტაკება — 8 ივლისს თურქმა იანიჩრებმა შეუტიეს მათ, მაგრამ 7 ათასი შოკლული დატოვეს და უკუიქცნენ. მეორე დღეს კი კატეგორიული უარი თქვეს ბრძოლის გაგრძელებაზე — პოლტავის გმირის სახელი და 7 ათასი მკვდარი იანიჩარი საკმაო საფუძველი იყო ამისათვის. დიდი ვეზირი დათანხმდა შერემეტიევის წინადადებას საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

თურქების ბანაკში წასულ პეტრე შაფიროვს მეფემ უფლება მისცა თურქეთისათვის ყველა წართმეული მიწა დაეთმო, შვედეთისათვის — ლივონია და სანაპიროები, პეტერბურგის გარდა, რომლის სანაცვლოდ მეფე ფსკოვზეც კი ხელს იღებდა, თანხმდებოდა კონტრიბუციას, სტანისლავ ლეშჩინსკის აღდგენას პოლონეთის ტახტზე და ა. შ. მაგრამ შაფიროვს თან 200 ათასი მანეთი მიჰქონდა — 150 ათასი დიდ ვეზირს გადასცა, დანარჩენი სხვებს და სანაცვლოდ მიიღო ასეთი ზავი: აზოვის დათმობა, ტაგანროგის მოთხრა და შავი ზღვის ფლოტის განადგურება, პოლონეთის საქმეებში ჩაურევლობა და კარლოსის გაშვება შვედეთში. რუსეთის არმიამ უჭირვალოდ დატოვა მოლდავეთი[1]...

---

1 საფრანგეთის ელჩისა და კარლოსის წყალობით სულთანმა მკაცრად დასჯა დიდი ვეზირი და ფაშები, უარი თქვა ზავის პირობებზე, ხოლო შაფიროვი დააპატიმრა. მაგრამ შაფიროვმა მოახერხა დიდი მუფტის (უმაღლესი სასულიე-

პრუტის ლაშქრობის მარცხს, რომელსაც კ. მარქსი „ჩრდილოეთის ომის ეპიზოდს“ უწოდებდა, არ შეეძლო დიდად ემოქმედა ომის საერთო მსვლელობაზე და პეტრეს საქმიანობის გენერალურ ხაზზე.

1712-1714 წლებში პეტრემ მთელი ყურადღება შვედებზე გადაიტანა და მძლავრი დარტყმებით ხმელეთსა და ზღვაზე ომის გამარჯვებით დამთავრება განიზრახა.

რუსეთის საზღვაო ფლოტი ამ დროს ორი ტიპის გემებისაგან შედგებოდა — იალქნიანი ხომალდებისა და ნიჩბიანი გალერებისაგან. პირველი ტიპის ხომალდები ზარბაზნებით იყვნენ შეიარაღებულნი და საზღვაო ბრძოლაში ძირითადად არტილერიას იყენებდნენ, მაგრამ ისინი საკმაოდ მოუქნელნი იყვნენ. ნიჩბიანი გალერები კი თავთხელ წყალშიც მოქმედებდნენ, მარტო ქარის იმედად არ იყვნენ, შეეძლოთ მოწინააღმდეგის ფლოტთან მიახლოვება და აბორდაჟის[1] გამოყენება.

ამ ხომალდებს ძირითადად რუსეთის გემსაშენებში აგებდნენ— ჯერ ოლონეცის ვერფზე (1703 წლიდან), ხოლო 1704 წელს პეტერბურგში, სადაც საფუძველი ჩაეყარა საადმირალო ვერფს. იგი მალე რუსეთის მთავარი გემსაშენი გახდა. ხომალდების ნაწილს ჰოლანდიასა და ინგლისში ყიდულობდნენ.

ფლოტის ოფიცერთა შემადგენლობაში თითქმის მთლიანად უცხოელები შედიოდნენ (ხომალდების ფლოტს სარდლობდა ვიცეადმირალი კრუისი, საგალერო ფლოტს — კონტრ-ადმირალი ბოცისი). შეზღვაურთა რიგებშიც მრავლად იყვნენ უცხოელები — სამხრეთ სლავები, იტალიელები, ბერძნები და სხვ.

1714 წლის ივლისში რუსეთის ფლოტმა პეტრეს უშუალო ხელმძღვანელობითა და გეგმით (მეფეს ახლდნენ აპრაქსინი, გოლიცინი და ვეიდე) გაანადგურა შვედების ფლოტი განგუტის კონცხთან. შვედმა ადმირალმა ერენსფილდმა დაშნა ჩააბარა პეტრეს.

რო პირი თურქეთში) და სულთანის დედის მოსყიდვა. კარლოსის ქედმაღლობამიც საკმაოდ გააღიზიანა სულთანი და 1713 წელს მაინც დაიდო თურქეთ-რუსეთის ოცდახუთწლიანი ზავი. კარლოსი კიდევ ერთ წელს დარჩა თურქეთში, შემდეგ კი ფარულად ჩავიდა სამშობლოში.

[1] აბორდაჟი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ორი ხომალდის ერთმანეთთან უშუალოდ მიკვრას ხელჩართული ბრძოლის მიზნით.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ფლოტის საბრძოლო ტრადიციებს. მან რუსულ ხომალდებს გაუხსნა ბოტნიის ყურე და ფინეთი ჩამოაშორა შვედეთს. ჩრდილოეთის ომის წარმატებით დამთავრებისათვის გზა ხსნილი იყო.

რუსეთის წარმატებებმა საგრძნობლად შეაშფოთა უმთავრესი საზღვაო ქვეყნები — ინგლისი და ჰოლანდია. ინგლისის მეფე აღარ მალავდა მტრულ ზრახვებს. პეტრემ გადაწყვიტა ახალი მოკავშირეები გაეჩინა და ამ მიზნით 1716 წელს კვლავ გაემგზავრა ევროპაში. პრუსიაში მეფე შეხვდა ფრიდრიხ-ვილჰელმს და მასთან კავშირი განაახლა. აქედან ჰოლანდიაში გაემართა და რამდენიმე თვის შემდეგ, ანტვერპენისა და ბრიუსელის გავლით, პარიზში ჩავიდა.

საფრანგეთის მთავრობამ რუსეთის მეფეს ლუვრის სასახლე გაუმზადა, მაგრამ პეტრე ვერ შეეგუა ლუვრის ბრწყინვალებას და სასტუმროში გადავიდა. აქ ეწვია მას საფრანგეთის მეფე, შვიდი წლის ლუი XV. საპასუხო ვიზიტის დროს პეტრემ ხელში აიყვანა ყრმა მეფე და ასე გაატარა გარინდულ შეიცარიელ და ფრანგ გვარდიელებს შორის.

პეტრე ვერ დააინტერესეს სამხატვრო გალერეით, ოპერითა და მეჯლისებით. სამაგიეროდ, იგი საქმიანად ათვალიერებდა ზოოლოგიურ ბაღს, ინვალიდების სახლს, სენ- სირის ქალთა სასწავლებელს, სორბონას, ვერსალს, სენის ხიდებს, სამეფო სტამბას. ასტრონომ პიჟონისაგან პეტრემ შეიძინა კოპერნიკის სისტემით აგებული პლანეტების მოძრავი მოდელი, გობელენის ფაბრიკაში საფრანგეთის მეფისაგან საჩუქრად მიიღო ხალიჩაზე ამოქარგული დონ-ქიხოტის თავგადასავალი, დაესწრო ცნობილი ინგლისელი ოკულისტის უოლესის ოპერაციას, პარლამენტის სხდომას, ესტუმრა მეცნიერებათა აკადემიას, რომელმაც შემდეგ რუსეთის მეფეს ამ საზოგადოების წევრობის დიპლომი გამოუგზავნა.

პეტრემ განაცვიფრა პარიზი თავისი უბრალოებით და ეთიკეტის უგულებელყოფით: უდროო დროს სადილობდა და ვახშმობდა, შუა საუბარში შეეძლო მიეტოვებინა მოსაუბრე და მოულოდნელად სხვაგან გამგზავრებულიყო (საფრანგეთის მთავრობამ მას გამოუყო რამდენიმე ეტლი, რომლებიც სხვადასხვა ადგილას უცდიდნენ რუსეთის უცნაურ მეფეს). ამავე დროს, ის ანცვიფრებდა ფრანგებს არა მარტო გვირგვინოსნისათვის შეუფერებელი ცნობისმოყვარეო-

ბით, არამედ დიდი პრაქტიკული ცოდნით და გამჭრიახი გონებით, რაც სრულიად მოულოდნელი იყო ამ „შორეული და ველური“ ქვეყნის მეფისაგან.

პეტრე ძირითად საქმესაც არ ივიწყებდა. 1717 წლის აგვისტოში ამსტერდამში რუსმა დიპლომატებმა ხელშეკრულება დადეს საფრანგეთთან და პრუსიასთან. ოქტომბერში, თხუთმეტთვიანი მოგზაურობის შემდეგ, ბერლინის, დანციგისა და რიგის გავლით პეტრე რუსეთში დაბრუნდა.

მომდევნო წლებში რუსეთის არმია კვლავ აქტიურობდა. მაგრამ განსაკუთრებული წარმატებებისათვის არ მიუღწევია. 1718 წლის მარტში ალანდის კუნძულებზე რუსეთის წარმომადგენლებმა იაკობ ბრიუსმა და ანდრეი ოსტერმანმა შვედებთან საზავო მოლაპარაკება დაიწყეს. კარლოსი იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო და რუსების თითქმის ყველა მოთხოვნას დათანხმებოდა. ერთ დღეს პეტრემ ალანდის კუნძულებიდან ოსტერმანის წერილი მიიღო: „შვედეთის მეფე, როგორც ჩანს, გონებანაკლულია, — ის ოღონდ აომე ვინმესთან, შვედეთი გაღატაკებულია და ხალხს მშვიდობა სურს. მეფეს მოუხდება საითმე გაილაშქროს, რათა არმია დააკმაყოფილოს, მგონი ნორვეგიაში აპირებს. თუ მხედველობაში მივიღებთ მის სიმამაცეს, შვედეთის მეფე მალე წააგებს თავს“. ამის შემდეგ ზავის დადებაც გაადვილდებაო. — დაასძენდა ცბიერი ოსტერმანი. მართლაც. 1718 წლის 30 ნოემბერს კარლოს XII ნორვეგიის ერთ-ერთი ციხის იერიშს შეეწირა.

მაგრამ მეფის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ კარლოსის დამ და მემკვიდრემ, ულრიკა-ელეონორამ ინგლისის მთავრობის ზეგავლენით შეწყვიტა მოლაპარაკება და ომის გაგრძელება დააპირა. 1719—1720 წლებში პეტრეს მოკავშირეები დაუზავდნენ შვედებს, ხოლო ინგლისმა სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო შვედეთთან. ბალტიის ზღვაში გამოჩნდა ინგლისის ფლოტი ადმირალ ნორისის სარდლობით. პეტრე იძულებული გახდა საპასუხო ზომები მიეღო და საყრდენი პუნქტები და ფლოტი გაემაგრებინა.

შვედებისა და ინგლისელების ერთობლივ მოქმედებას დიდი შედეგი არ მოუტანია. 1720 წლის მაისში, მაგალითად, ისინი მიუახლოვდნენ რეველს და ერთ პატარა კუნძულზე დაწვეს მუშების აშენებული აბანო და ქოხი. ა. მენშიკოვი ასე მოახსენებდა პეტრეს ამ

ამბავს: „დიდია ზარალი, რაც გაერთიანებულმა ფლოტმა მოგვაყენა კუნძულ ნარგენზე. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ყველაფერს, შეიძლება ხელი ჩავიქნიოთ და ქოხი დავუტოვოთ შვედეთის ფლოტს, აბანო კი ინგლისისას...“

პეტრეს მითითებით რუსეთის ფლოტმა გააძლიერა აქტივობა და სადესანტო ოპერაციები. 1720 წლის ივლისში ა. მ. გოლიცინმა კუნძულ გრენგამთან მორიგი გამარჯვება იზეიმა შვედეთის ფლოტზე. მომდევნო წელს რუსეთის ფლოტი უშუალოდ პეტრეს მეთაურობით კვლავ შეტევისათვის გაემზადა. ამან აიძულა შვედი დიპლომატები საბოლოოდ აეღოთ ხელი პრეტენზიებზე და ხელი მოეწერათ ზავზე (1721 წლის 30 აგვისტოს), ფინეთის ქალაქ ნიშტადტში.

ნიშტადტის ზავით რუსეთმა მიიღო ესტლანდია, კარელია, კექსჰოლმით და ფინეთის ნაწილი ვიბორგის ჩათვლით. ამის სანაცვლოდ რუსეთი შვედეთს უბრუნებდა ერთ მილიონ მანეთს, არ ერეოდა მის შინაურ საქმეებში და ათავისუფლებდა ტყვეებს[1].

1721 წლის 22 ოქტომბერს პეტერბურგის წმ. სამების ეკლესიაში დიდი ზეიმით წაიკითხეს საზავო ტრაქტატი. შემდეგ ფსკოვის არქიეპისკოპოსმა თეოფანე პროკოპოვიჩმა იქადაგა, დასასრულ კანცლერმა გოლოვკინმა სიტყვით მიმართა პეტრეს, რის შემდეგაც სენატორებმა შესძახეს: „ვივატ! დიდო პეტრევ, მამავ მამულისა, იმპერატორო რუსეთისა!“ გაისმა საარტილერიო ბათქი.

ზეიმი გაგრძელდა სენატის შენობაში, სადაც 1000 სტუმარი იყო მიპატიჟებული. მდაბიურებისათვის მოედანზე ორი შადრევნიდან თეთრი და წითელი ღვინო გადმოდიოდა.

ამიერიდან სენატის ოფიციალური საბუთები ასე იწყებოდა: „მოწყალებითა ღვთისათა, ჩვენ, პეტრე პირველი, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა“, ხოლო თხოვნები კი ასე: „უგანათლებულესო, ყოვლისმპყრობელო იმპერატორო, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელო, მამავ მამულისა, ხელმწიფეო უმოწყალესო“...

---

1 1722 წელს პეტრემ თვითონ მოუკიდა ცეცხლი პრეობრაჟენსკოეს სასახლეს და თქვა: „აქ ჩამესახა აზრი შვედეთთან ომისა. დაე ამასთან ერთად გაქრეს მასთან ბრძოლის ყოველგვარი განზრახვა, დაე, ის იყოს უერთგულესი მოკავშირე ჩემი იმპერიისა...“

აღმოსავლეთი

„თავისი დედაქალაქის გადატანით პეტრემ გამოაცხადა, რომ, პირიქით, დასავლეთში აქტივობის გზით მას განზრახული აქვს იმოქმედოს აღმოსავლეთშიც და მის უშუალოდ მეზობელ ქვეყნებშიც“.

კ. მარქსი.

„პეტრეს აქეთნი მეფენი, რომელნიც ტახტზე ჯდებიან, პეტრეს ბრძანებას მოწმობენ, მის მცნებაზედა დგებიან, ვინდ უჩნდესთ წინააღმდეგად, მას წინ არ აღუდგებიან, არს პეტრეს თქმულნი უკვდავნი, მიდღეში არ მოკვდებიან“.

დ. გურამიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ „შვედეთის ომი, როგორც მისი მიზნების, ისე შედეგებისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით, სამართლიანად შეგვიძლია ჩავთვალოთ პეტრე დიდის ძირითად ომად“ (კ. მარქსი), პეტრეს ინტერესები აღმოსავლეთის პრობლემებსაც სწვდებოდა. მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ დასავლეთთან ვაჭრობა. მეფის ფართო თვალსაწიერს არ გამოჰპარვია აღმოსავლური საქონლის მნიშვნელობა. აღმოსავლურ ქვეყნებთან, კერძოდ, ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება რუს ვაჭრებს უზარმაზარ გასაქანს მისცემდა, რუსეთს კი უმდიდრეს სატრანზიტო არტერიად გადააქცევდა.

უკვე 1714 წელს პეტრეს დავალებით ირტიშზე გაიგზავნა საგანგებო რაზმი ბუხგოლცის ხელმძღვანელობით, რომელსაც ოქროს საბადოების ძიება და ინდოეთთან დამაკავშირებელი გზების დადგენა ევალებოდა. რაზმმა ვერც ერთი ამოცანა ვერ შეასრულა.

1716 წელს შუა აზიის გზას დაადგა თავად ბეკოვიჩ-ჩერკასკის ოთხათასიანი რაზმი, რომელსაც ხივის სახანო უნდა დაემორჩილებინა, მაგრამ ხანმა შეძლო ბეკოვიჩ-ჩერკასკის მოტყუება, მისი რაზმის დანაწევრება და სრული განადგურება.

პეტრე იძულებული გახდა ხელი აეღო ამ მიმართულებაზე და ინდოეთთან დაკავშირებას ცნობილი გზით — კასპიის ზღვითა და

სპარსეთით ეცადა. ეს გზა (ვოლგა-ასტრახანი-შემახა-სპარსეთი) ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაკვალეს ინგლისური სავაჭრო კომპანიის აგენტებმა. XVII საუკუნეში კი სპარსეთთან ვაჭრობამ უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა რუსეთის სახელმწიფოს ხაზინისათვის. ამან, თავის მხრივ (აგრეთვე თურქეთის მტრულმა პოზიციამ ორივე ქვეყნის მიმართ) განაპირობა მოსკოვ-სპარსეთის შედარებით კეთილგანწყობილი ურთიერთობაც.

მაგრამ პეტრეს დროს რუსეთის ხაზინისათვის სპარსეთთან ვაჭრობა აღარ წარმოადგენდა შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ძლიერების თვალსაზრისითაც ძალთა თანაფარდობა მკვეთრად იყო შეცვლილი. დგებოდა დრო, როცა რუსეთის სახელმწიფოს შეეძლო გაცილებით მეტად ეაქტიურა აღმოსავლეთის — ამ შემთხვევაში, სპარსეთის — მიმართ. ვიდრე XVI ან XVII საუკუნეში.

თუმცა ირანიც ის აღარ იყო, რაც შაჰ-აბაზ დიდის დროს. სეფიანთა ირანი სულს ღაფავდა. „თავისი სახელმწიფო თვითონვე ისე გააპარტახეს, როგორც ვფიქრობ, ალექსანდრე დიდიც კი ვერ მოახერხებდა ომით. ჩემი აზრით, ამ ტახტს საბოლოო განადგურება მოელის, თუ სხვა შაჰით არ განახლდება. არა მარტო მტრებისაგან, არამედ თავისივე მეამბოხეებისაგან არ ძალუძთ თავდაცვა“, — წერდა პეტრეს რუსეთის ელჩი ირანში არტემ ვოლინსკი.

როგორც ირკვევა, კასპიისპირეთის დაპყრობის იდეა პეტრეს პოლტავის ბრძოლის შემდეგ მოსვლია. იგივე ა. ვოლინსკი გადმოგვცემს:

„რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე მე იქ (ირანში) გამგზავნიდნენ, მის იმპერატორობით უდიდებულესობას უკვე ჰქონდა ეს განზრახვა... ჩემს გარეშე, და ჩემამდე, მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ სპარსეთის საქმეები იცოდა არჩილ მეფისა და სომეხი პატრიარქებისაგან, რომლებსაც არ სურდათ სპარსეთის უღლის ქვეშ ცხოვრება და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის, როგორც ერთმორწმუნე ქართველი და სომეხი ხალხების მხსნელისათვის, არაერთგზის უთხოვიათ დახმარება უძველესი დროიდან“.

1715 წლიდან პეტრემ ამ განზრახვის შესასრულებლად ნიადაგის მომზადება მიანდო დიპლომატსა და მეომარს, 1719 წლიდან ასტრახანის გუბერნატორს ა. ვოლინსკის.

1718 წელს, როცა ა. ვოლინსკი შემახიაში იყო, მას ეწვია ქარ-

თლის მეფის ვახტანგ VI-ის ელჩისადან-ბეგი და საქართველო-რუსეთის მომავალი ერთობლივი მოქმედების თაობაზე ვრცელი მოლაპარაკება გაუბა. ა. ვოლინსკიმ ვერ გაბედა ვახტანგთან ხელშეკრულების დადება, თუმცა ფარსადანს გამოართვა ვახტანგის წერილები მისი დის, არჩილ მეფის მეუღლისადმი (რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა). ვოლინსკიმ დეტალური მოხსენება წარუდგინა პეტრეს, სადაც, სხვათა შორის, წერდა:

„მთელ სპარსეთში მე საუკეთესოდ მიმაჩნია ქართველი ჯარი, რომლის შესახებ გავიგე, რომ საქართველოსა და იმერეთში 15-20 ათასამდე გროვდება. ხოლო სპარსელები ჩვეულებრივად სპასალარებად (გენერალისიმუსებად) ქართველ პრინცებს ირჩევენ. სხვა ჩინებსაც უპირატესად ქართველებს აძლევენ. როგორც ძველად, სპარსეთის შაჰის აბაზ დიდის დროს, ისევე სხვა შაჰების დროსაც, თუ სპარსელებს რაიმე გამარჯვება მოუპოვებიათ თურქებთან, ინდუსებთან თუ სხვა ხალხებთან ომებში, უდიდესი ნაწილი მხოლოდ ქართველების მეხსიერებით. ქართველების შესახებ მე ფიცს დავდებდი, მათ პრინცებსა და სხვა თავად-აზნაურებს ერთმანეთში რომ თანხმობა ჰქონდეთ. ჰე შმარიტად, არა თუ სპარსელთა ქვეშევრდომობისაგან გათავისუფლდებოდნენ, არამედ ბევრ მათ მიწას ადვილად დაიპყრობდნენ... ხოლო სპარსელთა კავალერია სამჯერ მეტიც რომ იყოს, ქართველებს წინ ვერასოდეს დაუდგება. თანაც, მათ რომ 20 რეგულარული ესკადრონი დაემატოთ, თამამად და ყოველგვარი შიშის გარეშე შეიძლება მათთან ერთად მთელი სპარსეთის დალაშქვრა“.

ბუნებრივია, რომ ეს აზრი გარკვეულად განაპირობებდა ვოლინსკის პოზიციას ქართველებთან კავშირის საკითხში. თავის მხრივ, პეტრემ სრული მზადყოფნა გამოთქვა ვახტანგთან შეკავშირების თაობაზე და ასეთი მითითება მისცა ვოლინსკის: „საქართველოს პრინცი შეიპირეთ, რომ საჭირო დროს ჩვენ მისი იმედი გვქონდეს, და ამ საქმისათვის (ვახტანგთან გასაგზავნად) შეირჩეს ქართველი არჩილის სახლიდან“.

მართლაც, ვახუშტი გამოგვცემს: „კვალად მოვიდა თურქისტანის შვილი ბაადურ დიდის პეტრეს იმპერატორისაგან, ვინად-გან გამოსრულ იყო სოლახს, რათა მივიდეს მეფე შირვანს მის-თანა. კვალად მოვიდა დესპანი ხონთქარისა დამორჩილებისა მისისათვის.

არამედ განუტევნა ყოველნი და აღირჩია რუსთ-მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალასა ქრისტეანობისასა".

მაგრამ საქმე ასე იოლად ვერ მოგვარდა...

ვახტანგ VI არაერთგზის იყო ირანის სამეფო კარზე და კარგად ესმოდა, რომ სეფიანთა სახელმწიფოს უკირდა. რუსეთის გააქტიურება კავკასიაში შესანიშნავ მომენტს ქმნიდა საქართველოს (ამ შემთხვევაში, ქართლის მაინც) გასათავისუფლებლად ირანზე დამოკიდებულებისაგან.

მაგრამ ირანის მდგომარეობა არც სულთანს გამოჰპარვია. არზრუმისა და ახალციხის ფაშები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს მოვლენებს და ხელსაყრელ შემთხვევას ელოდნენ, რათა თურქეთის არმიისათვის ირანში თუ აღმოსავლეთ საქართველოში შეჭრის ნიშანი მიეცათ.

ეს ამბები, რასაკვირველია, არც ქართველი მოღვაწეებისათვის იყო უცნობი. თბილისში ჩამოვიდა არზრუმის ფაშის ელჩი და სულთანის სახელით ვახტანგს ირანის საწინააღმდეგო კავშირი შესთავაზა. ამასობაში ირანის შაჰი ჰუსეინი, რომლის რეზიდენციას აჯანყებულ ავღანთა ურდოები უახლოვდებოდნენ, ვახტანგს უთვლიდა აშბოხებულ დაღესტნელთა დასალამშრავად წასულიყო.

ამიტომ იყო რთული სწორი გადაწყვეტილების მიღება. ვახტანგის სასახლეში დარბაზი შეიკრიბა:

„შეკრბეს ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მოიყარეს,
დასხდნენ რიგით, ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს.
ვინც ხედავდა ბოლოს საქმეს, იმათ არად გაიხარეს,
თქვეს, თუ უფრო წავხდებითო, მაგრამ ზოგთ კი განიკმარეს.

გამკმარველთა უპასუხეს: გეტყვით, ძმანო, ვერ გეთნებით.
ვერა ბრძანეთ ეგე რჩევა კაის ჰკუვით, კაის მცნებით,
ქრისტიანის ხელმწიფისა ხელდებულნი შევიქნებით,
ჩვენ მაგაზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გაეკეთდებით!

მათ მიუთხრეს: თუ უჯკო ვართ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების,
არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, ბუ ეგ საქმე ძალ მოხდების.
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ. ყველა ჩვენზე წამოდგების,
ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების".

(დ. ბურამიშვილი)

მაგრამ ვახტანგს დადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა, რაც, თავის წინადადებებთან ერთად, აცნობა კიდეც ვოლინსკის. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, პეტრეს მოახსენებდა (1721 წლის აგვისტოში):

„ქართველმა პრინცმა კაცი გამოგვიგზავნა მე და თავის დას, რომ ჩვენ ერთობლივად ვთხოვოთ თქვენს უდიდებულესობას, რათა თქვენ გაიღოთ მოწყალება ქრისტიანობის დასახსნელად, და საამისოდ გვთავაზობს შემდეგს: 1) რომ თქვენმა უდიდებულესობამ ინებოთ პირდაპირ მასთან საქართველოში 5 ან 6 ათასიანი ჯარის გაგზავნა მისი ციხეების დასაკავებლად და გამოაცხადოთ, რომ საქართველოში ხედავთ უთანხმოებას თავად-აზნაურთა შორის; ხოლო თუ თქვენი ჯარი შევა საქართველოში, ბევრი იძულებული გახდება მის მხარეს გადავიდეს; 2) მეტი სიმტკიცისათვის ინებოთ სპარსეთში ათი ათასიანი ან მეტი დესანტის გადასხმა დარუბანდისა და შემახიის წასართმევად, ამის გარეშე კი ომში ჩაბმა სახიფათოა, 3) გთხოვთ, რომ ინებოთ თერგზე ციხის ჩადგმა, ყაბარდოსა და კაზაკებს შორის, შიგ რუსული გარნიზონი ჩააყენოთ საქართველოსთან თავისუფალი კომუნიკაციისათვის და მის დასაცავად.

და, მე, ხელმწიფევ, ჩემი სუსტი გონებით, მეჩვენება, რომ მისი ყველა გათვალისწინებული ღონისძიება ჯეროვანია. ვახტანგს წარმოდგენილი აქვს სპარსეთის ეხლანდელი სუსტი მდგომარეობა და რა სარგებლობა გექნებათ თქვენ ამისაგან, ამ ომისაგან, და რომ სპარსელები თქვენს იარაღს წინ ვერ აღუდგებიან. თუ თქვენ ინებებთ სპარსეთთან ომის დაწყებას, ვახტანგს შეუძლია გამოიყვანოს 30-დან 40 ათასამდე ჯარი და პირობას იძლევა, რომ ისპაანამდე ჩავა, რადგან ის სპარსელებს დიაცებს უწოდებს".

ვახტანგი მზადებას შეუდგა. მან გაითვალისწინა მოძმე სომეხი ხალხის მდგომარეობა და სურვილი და, ეჩმიაძინის კათალიკოსის კურთხევითა და დახმარებით, სომხური ჯარის ორგანიზაციასაც მოჰკიდა ხელი. ქართველ-სომეხთა ჯარი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა ირანის უღლის გადასაგდებად.

ქართლის დიდებულები კი კვლავ სიფრთხილეს ურჩევდნენ მეფეს:

„თუ წაბრძანდებით, წაბრძანდით, ხანსა ნუღარას დაზმითა;
თან ცოტა ყმანი იახელ, ნუ გაეწყობი რაზმითა,

ფარვით იარე გზაზედა. არ მეფეთ მოსაკაზმითა,
მტერთა არ გიგრძნან საწადი აშკარად ანუ აზრითა“.

უფრო მეტი:

„მეფეს სძრახევდნენ, იტყოდნენ ეგეევითარსა გმობასა:
სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა,
ყეენის სპასალარია, თავს ირჯვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა...“

მაგრამ

„ბევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!
შეშოიყარა ლაშქარი, თვალს ვერვინ გარდაწვდინებდა,
წარვიდა, განჯის მიდამოს სისხლის ღვართ მოადინებდა“.

(დ. გურამიშვილი)

...1721 წლის ივლისში დაღესტნელი მთავრები დაუდბეკი და სურხავი თავს დაესხნენ შემახიას და დაარბიეს იგი. გაძარცვულთა შორის ალმოჩნდნენ რუსი ვაჭრებიც, რომელთაც 500 ათასი მანეთის ზარალი განიცადეს[1]. ა. ვოლინსკიმ დაუყოვნებლივ აცნობა პეტრეს ეს ფაქტი და ლაშქრობის დაწყება ურჩია, იმპერატორიც ამ აზრისა იყო.

გაზაფხულზე თვით პეტრე დაიძრა ვოლგის გზით კასპიისაკენ, ხოლო 1722 წლის 18 ივლისს რუსეთის ფლოტილია 274 დიდი და მცირე ხომალდითა და ნავით ასტრახანიდან გავიდა და კურსი დარუბანდისაკენ აიღო. ფლოტილიას ადმირალი აპრაქსინი სარდლობდა, მეწინავე ხომალდის გემბანზე იდგა „ადმირალი პეტრე მიხაილოვი“. რუსეთის არმია ითვლიდა 22 ათას ქვეითს, 5 ათას მეზღვაურს, კაზაკებსა და ყალმუხებს. გენერალ კროპოტოვის კავალერია (3 ათასი მხედარი) ხმელეთით, ზღვის ნაპირით წამოვიდა დაღისტნისაკენ.

27 ივლისს რუსეთის ფლოტილია აგრახანის კონცხს მიადგა. პეტრე პირველმა დაადგა ფეხი ნაპირს. ერთი კვირის შემდეგ ბანაკში მოვიდნენ უგზოობითა და უწყლობით დატანჯული კავალერისტებიც.

---

1 მარტო ვაჭარმა მ. ევრეინოვმა 170 ათასი მანეთი იზარალა, რის შედეგად გაკოტრდა კიდეც.

15 აგვისტოს რუსეთის არმიამ უბრძოლველად აიღო ტარკი. რომლის მფლობელმა ადილ-გირეიმ მორჩილად გადასცა პეტრეს ციხის კლიტენი. 23 აგვისტოს პეტრეს დარუბანდიც ჩაბარდა.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, რუსეთის არმია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, სამხედრო საბჭოზე მეფემ გამოაცხადა, რომ საუკეთესო შემთხვევაში არმიას მხოლოდ სამი კვირის სურსათი ჰქონდა.

უჩვეულო სიცხე და უწყლობაც საგრძნობლად ართულებდა ვითარებას. ამის გამო პეტრემ გადაწყვიტა დარუბანდში გარნიზონი დაეტოვებინა, ხოლო არმიის ძირითადი ნაწილით ასტრახანში დაბრუნებულიყო. მართლაც, 4 ოქტომბერს პეტრე ასტრახანში ჩავიდა, ხოლო 6-ში გილანის მიმართულებით გამოგზავნა პოლკოვნიკ შიპოვის რაზმი, რომელსაც შემახიის დაპყრობა და მაზანდარანისა და ასტრაბადის დაზვერვა ევალებოდა. ამავე დროს, რუსეთის კონსულს სპარსეთში აბრამოვს უნდა განეცხადებინა ირანის მმართველებისათვის, რომ რუსების შემოსვლა კასპიისპირეთში მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, რუსი ვაჭრების ინტერესებისა და, მეორე მხრივ, ამ პროვინციების დაცვას თურქების შემოჭრისაგან. ერთდროულად ბაქოს მიმართულებით მიდიოდა გენერალ მატიუშკინის რაზმი.

...იმავე, 1722 წლის აგვისტოში, შეთანხმებისამებრ, ვახტანგ VI ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ჯარით განჯას ჩავიდა და იქ დაუწყო ლოდინი რუსეთის იმპერატორს. რუსეთის არმიის დაგვიანებით შეშფოთებული მეფე დროდადრო შიკრიკებს გზავნიდა პეტრეს ბანაკში. 28 სექტემბერს იმპერატორმა თბილისში გამოგზავნა რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველი თურქესტანიშვილი და გვარდიის პორუჩიკი ივ. ტოლსტოი და დაავალა, მუდმივად ქართლის მეფესთან ყოფილიყვნენ და თან ემოქმედათ ვახტანგზე, რათა მას ეშუამდგომლა სპარსეთის შაჰთან,. დათანხმებულიყო რუსების მიერ კასპიისპირეთის დაპყრობაზე. ამავე დროს ტოლსტოის დეტალურად უნდა აეხსნა ქართველთა მეფისათვის ლაშქრობის მოშლის მიზეზები და მომავალი, 1723 წლის კამპანიის გეგმები. „მისი უდიდებულესობა 21 წელიწადს ეწეოდა მძიმე და სისხლისმღვრელ ომს შვედელთან, მაგრამ არ შეწყვიტა და გამარჯვებით დაასრულა იგი. აქ კი რატომ შეწყვეტს ასეთ იოლსა და სარფიან ომს, ეს ხომ

უპატიობა იქნება მთელი ქვეყნის თვალში და მხოლოდ გაათამამებს მუსულმანებსო“, — უნდა ემტკიცებინა ტოლსტოის.

ამასთან ერთად, მასვე ევალებოდა ქართლის სამეფოს პოტენციური შესაძლებლობების დაზვერვა და მონახვა მოხალისეებისა, რომლებიც დათანხმდებოდნენ დარუბანდსა და შემახიაში გადასახლებას და რუსეთის სამსახურში შესვლას.

22 ნოემბერს ვახტანგი თბილისში ჩამობრუნდა. ის დათანხმდა ტოლსტოის წინადადებას შაჰთან შუამდგომლობის შესახებ, თუმცა სკეპტიკურად უყურებდა ამ საქმეს და თვლიდა, მხოლოდ რუსეთის ჯარს შეუძლია იმოქმედოს მაჰმადიანებზეო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტოლსტოი მთლიანად იზიარებდა ვახტანგის აზრს.

პეტრე ჯერ თავს იკავებდა საქართველოში ჯარის გაგზავნისაგან (ვიდრე ბაქოს არ ავიღებთო, — ამბობდა იმპერატორი), მაგრამ 1723 წლის 15 აპრილს გასცა ბრძანება საქართველოში ორიათასიანი რაზმის გაგზავნის შესახებ ბასკაკოვის სარდლობით.

უკვე გვიან იყო...

კონსტანტინოპოლში შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს რუსების ნაბიჯებს კავკასიაში. დაღესტნის მაჰმადიანი მფლობელების ელჩები დაჟინებით მოითხოვდნენ სულთანისაგან მფარველობასა და დახმარებას „გიაურების იმპერატორის“ წინააღმდეგ. ასევე დაჟინებით თხოვდნენ თურქი ვეზირები რუსეთის რეზიდენტს კონსტანტინოპოლში ნებართვას, რათა რუსეთის ჯარს შეეწყვიტა კავკასიაში ლაშქრობა. მას განუცხადეს, რომ თუ იმპერატორი შემახიაში შეჩერდებოდა, სულთანი შეურიგდებოდა ამ ფაქტს. მაგრამ თუ საქართველოში შესვლაც მოისურვა, თურქეთი ამას ვერ მოითმენს, რადგან გადაწყვეტილი აქვს „სპარსეთის ქართველებიც“ (ე. ი. ქართლ-კახეთი) შეუერთოს „თურქ ქართველებს“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს).

1722 წლის დეკემბრის დამდეგს ირანის ტახტის მემკვიდრის თაჰმასპის ელჩმა თბილისში ჩამოიტანა ცნობა, რომ ავღანელებმა ისპაანი აიღეს და ჰუსეინი დაატყვევეს. თაჰმასპი ვახტანგს თხოვდა, დაუყოვნებლივ გაელაშქრა ირანში ავღანელთა წინააღმდეგ. ვახტანგმა სწრაფად აცნობა ტოლსტოის ეს ამბავი, ხოლო თაჰმასპის წერილი იმპერატორს გაუგზავნა ზურაბ ხერხეულიძის ხელით. ვახტანგი შიშს გამოთქვამდა, რომ თაჰმასპს შეეძლო დახმარება თურ-

ქ. თისათვის ეთხოვა, რაც უალრესად სახიფათო იყო ქართველ-სომეხთათვის. სწორედ ამ ცნობის მიღებამ გადააწყვეტინა პეტრეს ჯარის გაგზავნა საქართველოში.

თაჰმასპი განაირისხა ვახტანგის ყოყმანმა და ქართლის მეფობა კახეთის მეფეს, კონსტანტინეს უბოძა. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა და ლეკთა დიდი ჯარით თბილისს შეუტია. ვახტანგი საბრძოლველად მოემზადა, მაგრამ ღალატის წყალობით (1723 წლის გაზაფხულზე) დამარცხდა და იძულებული გახდა ცხინვალში ასულიყო. ლეკები თბილისს ჩოედვნენ...

ამ ცნობის მიღებისთანავე სულთანმა უბრძანა არზრუმის ფაშას, რომელიც ორმოცდაათათასიანი არმიით ქართლის საზღვართან იდგა, აღმოსავლეთ საქართველოში შეჭრილიყო. თურქმა დიპლომატებმა ნეპლიუევს აცნობეს, ქართლის მეფე შაჰს აუჯანყდა და სულთანის ქვეშევრდომებს აწიოკებენ, რამაც აუცილებელი გახადო თბილისის დაპყრობა. მართლაც ივნისში თურქები თბილისში შემოვიდნენ. რუსეთის ჯარს, რომელიც საქართველოში მოემართებოდა, გზაში ივ. ტოლსტოი შემოხვდა. ბასკაკოვი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

პეტრე მიხვდა, რომ ქართველ-სომეხთა დახმარება მას ამჟამად არ შეეძლო და გადაწყვიტა მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილებულიყო, მით უმეტეს, რომ ძირითადი მიზანი, კასპიისპირეთის დაპყრობა, მიღწეული იყო. 1723 წელს მან ხელშეკრულებით გააფორმა ეს ფაქტი (თუმცა თაჰმასპმა არ მოაწერა ხელი მას). მომდევნო წელს კი კონსტანტინოპოლში რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებაც დაიდო: თურქეთი ცნობდა კასპიისპირეთში რუსეთის ინტერესებს და უარს ამბობდა ირანის დაპყრობაზე. რუსეთი კი აღიარებდა თურქეთის უფლებებს აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთზე.

1724 წლის ივლისში ვახტანგ VI-მ დატოვა საქართველო და ათასორასკაციანი ამალით რუსეთის გზას დაადგა...

ქართლში „ოსმალობა“ დაიწყო...

ახალი რუსეთის მეფე

„პეტრე დიდმა ბევრი გააკეთა მემამულეთა კლასის ამაღლებისათვის და ახლად ჩამოყალიბებული ვაჭართა კლასის განვითარებისათვის. პეტრემ ძალიან ბევრი გააკეთა მემამულეთა და ვაჭართა ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად და განსამტკიცებლად".

ი. სტალინი.

რუსეთის იმპერია კლავ რჩებოდა ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად. სოფელი კვებავდა სახელმწიფოს, აძლევდა მას რეკრუტებსა და მუშახელს, იგი ინახავდა კოლოსალურ არმიას.

პეტრეს ეპოქამ სოფელსაც დაატყო გარკვეული, თუმცა არც ისე მნიშვნელოვანი კვალი. სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა არა მისი ინტენსიფიკაციის გზით, არამედ ყმების ექსპლოატაციის ზრდით და ახალი ტერიტორიების ათვისებით. მიწათმოქმედება იჯრებოდა ციმბირში (იაკუტები, ბურიატები, ევენკები), შუა და ქვემო ვოლგისპირეთში (ჩუვაშები, მორდველები, მარიელები, უდმურტები, თათრები, უფრო გვიან — ბაშკირები), სამხრეთ რუსეთში.

მაგრამ პეტრე მაინც ცდილობდა რუსეთის სოფლის ერთფეროვან მეურნეობაშიც შეეტანა სიახლე. იგი ზრუნავდა ხორბლის ჯიშების გაუმჯობესებაზე, მინდვრების განოყიერებაზე, შინაური ცხოველების მოვლაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტექნიკურ კულტურებს — მზესუმზირას, სელს, კანაფს, თამბაქოს, რომლის გადასამუშავებლად სპეციალური მანუფაქტურები დაარსდა. პეტრეს მითითებით დაიწყეს ყურძნის აკლიმატიზაცია (დონზე). კასპიისპირეთში ლაშქრობის შემდეგ მან დარუბანდში უნგრული ვაზი გაგზავნა დასარგავად.

1706 წელს პეტრეს ინიციატივით ცხვრის მოშენებას შეუდგნენ, ხოლო 1712 წელს პირველი ცხენსაშენები ააგეს. მიტავის აღების შემდეგ პეტრემ პეტერბურგში დიდძალი ხეხილი და ყვავილი გაგზავნა.

პეტრე საგანგებოდ იცავდა ტყეებს უთავბოლო განადგურებისაგან, რომელთა ნაწილი (პეტერბურგის გუბერნიასა და ცენტრა-

ლურ რუსეთში) ნაკრძალებად გამოცხადდა. განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ გემთმშენებლობისათვის საჭირო ხეებს — მუხას, თელას, ნეკერჩხალსა და ფიჭვს. 1722 წელს ტყის მეთვალყურის — ვალდმეისტერის სპეციალური თანამდებობა დაწესდა.

მაგრამ პეტრეს ძირითადი საზრუნავი მრეწველობა იყო. მისი საგანგებო ზრუნვის შედეგად რუსეთის სამრეწველო განვითარებამ XVIII საუკუნის პირველ მესამედში უზარმაზარი ნახტომი გააკეთა. „ჩვენი რუსეთის სახელმწიფო, — ამბობდა პეტრე, — სხვა მიწებთან შედარებით უხვია გამოსაყენებელი ლითონებითაც და მინერალებითაც". მეფის საგანგებო შიკრიკები მთელს იმპერიაში დაეძებდნენ ლითონებსა და მინერალების მადნებს, უნდა აეგოთ ფაბრიკა-ქარხნები, ჩაშოესხათ მეტი და ხარისხიანი ფოლადი და თუჯი, მოექსოვათ მეტი და ხარისხიანი მაუდი და ტილო. ამასთან მეფე ხშირად ამბობდა. „თუმცა ეს საქმე კარგი და საჭიროა, ჩვენი ხალხი მას დაძალების გარეშე არ გააკეთებსო" და მსხვილ ვაჭრებსა და მცმამულეებს ძალით აძლევდა ფაბრიკა-ქარხნებს. ასე გაჩნდა ახალი ფენა მრეწველებისა — ბურჟუაზიის ჩანასახი. ამ მრეწველთა შორის გამოირჩეოდა გლეხი მჭედლის ანტუფიევის შვილი ნიკიტა, რომელმაც 1720 წელს დემიდოვის გვარი და აზნაურობა მიიღო. 1722 წელს ბარონის ტიტული მიიღეს ცნობილმა რუსმა ვაჭრებმა და მრეწველებმა სტროგანოვებმა.[1]

პეტრე ყოველნაირად უწყობდა ხელს მრეწველებს — აძლევდა სუბსიდიებს, კრძალავდა უცხოეთიდან იმ საქონლის შემოზიდვას, რომელსაც რუსები უკვე თვითონ ამზადებდნენ და სხვ. შედეგიც შესაფერი იყო: უცხოეთში ნაყიდ ყოველ თოფში ხაზინა თავის დროზე იხდიდა 12—15 მანეთს, ხოლო ერთ ფუთ ლითონში — 3 მანეთს. ნიკიტა დემიდოვი კი ახდევინებდა შესაბამისად 1—8 მანეთს და 30 კაპიკს. ამის შემდეგ პეტრემ დემიდოვს დამატებით უბოძა ტულასთან მდებარე ტყეები რკინის საბადოებითურთ და მასვე მიანდო ციმბირის ქარხნების მართვა.

ურალის მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვასილი ტატიშჩევმა — მეომარმა, დიპლომატმა, მრეწ-

---

1 საერთოდ, პეტრე უაღრესად უფრთხილდებოდა თავადაზნაურობის „სიწმინდეს" და ასეთ წყალობას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იმეტებდა.

ველმა, ადმინისტრატორმა, ცნობილმა არქეოლოგმა და ისტორიკოსმა (მან დააარსა ქალაქი ეკატერინბურგი).

პეტრეს მეფობის დასასრულისათვის რუსეთში სულ ორასამდე მანუფაქტურის ტიპის ფაბრიკა-ქარხანა იყო, აქედან პეტრეს დროს დაარსდა 178 საწარმო. პეტრემ მიაღწია იმას, რომ ბევრი პროდუქტი რუსეთს აღარ შემოჰქონდა — შაქარი და ქაღალდიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ფოლადზე, თუჯზე, ტილოზე და ა. შ.

პეტრემ მინერალური წყლების ძებნაც ბრძანა და აღმოაჩინა კიდეც ოლონეცში, თან სასტიკი ბრძანებაც გამოსცა მათ წინააღმდეგ, ვინც სკეპტიკურად მოეკიდებოდა ამ წყალს და „ჩირქს მოსცხებდა“ მას.

ეს მანუფაქტურები თავისი ფორმით დიდად არ განსხვავდებოდნენ ევროპულისაგან, მაგრამ სოციალ-ეკონომიური ბუნებით სულ სხვაგვარი ტიპისა იყვნენ. მოწინავე ევროპულ ქვეყნებში მანუფაქტურები ვითარდებოდნენ კაპიტალისტური გზით, თავისუფალი მუშახელის დაქირავების საფუძველზე. რუსეთში კი მტკიცედ ბატონობდა ბატონყმობა, რაც თავისებურ ხასიათს აძლევდა ფაბრიკა-ქარხნებსაც და მუშებსაც, რომელთა მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო. ასე, რომ ბატონყმური წყობილება აქაც დიდად ამუხრუჭებდა და ანელებდა რუსეთის წინსვლას პროგრესის გზაზე.

„ვაჭრობა ადამიანთა ბედის უზენაესი მფლობელიაო“, — ხშირად ამბობდა პეტრე. ამიტომ გასაკვირი არ იყო ის ყურადღება და ხელშეწყობა, რასაც ის იჩენდა რუსეთის ვაჭრობის, სავაჭრო გზებისა თუ ვაჭრების მიმართ.

XVIII საუკუნის დამდეგამდე რუსეთის საგარეო ვაჭრობის ძირითადი პუნქტი არხანგელსკი იყო. პეტერბურგის დაარსებამ და ბალტიის ზღვაში გასვლამ თანდათან შეამცირა არხანგელსკის მნიშვნელობა. მეფე საგანგებო ზომებს მიმართავდა, რათა რუსი ვაჭარი მოეცილებინა მიჩვეული სავაჭრო მარშრუტებისაგან და თავისი პირმშო ქალაქი გადაექცია ძირითად სავაჭრო ცენტრად. საბოლოოდ ვან მიაღწია კიდევაც ამას.

პირველი ჰოლანდიური გემის შემოსვლა პეტერბურგში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, დიდი ზეიმით აღნიშნა პეტრემ. უხვად დასაჩუქრებულმა კაპიტანმა თავის გემს „პეტერბურგი“ დაარქვა

და მრავალი წლის განმავლობაში განსაკუთრებული პრივილეგიებითაც სარგებლობდა ამ ქალაქში.

პეტრეს გრანდიოზულ გეგმებს ფრთები ესხმებოდა. 1724 წელს პეტერბურგში შემოვიდა 240 უცხოური გემი, რიგაში — 303, ნარვაში — 115, რეველში — 62, ვიბორგში — 28...

რუსეთის საგარეო ვაჭრობა ძირითადად ინგლისის და ჰოლანდიის სავაჭრო კომპანიებთან წარმოებდა. პეტრეს ინიციატივით სავაჭრო ურთიერთობა დამყარდა იტალიის ქალაქებთან, ესპანეთთან. მეფე არ ივიწყებდა აღმოსავლეთსაც. 1716 წელს ასტრახანში ბუხარიდან და სამარყანდიდან შემოზიდეს 464 ათასი მანეთის საქონელი. 1717 წელს ა. ვოლინსკიმ სავაჭრო ხელშეკრულება დადო ირანთან, 1720 წელს კი ისპაანსა და შემახიაში რუსი კონსულები დამკვიდრდნენ ვაჭრობისათვის ხელშეწყობის მიზნით. ირანისა და ამიერკავკასიის ვაჭრობა ხელში ეჭირათ სომეხ ვაჭრებს, რომლებიც განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ რუსეთში.

ომით გამოწვეული ფინანსიური სიძნელეების გამო მთავრობამ ვაჭრობის მრავალი დარგი სახელმწიფო მონოპოლიად გამოაცხადა — პური, მარილი, თამბაქო, თევზის ქონი, ფისი და სხვ. 1717 წლიდან თანდათან მკვიდრდებოდა ვაჭრობის თავისუფლება, 1719 წლიდან კი საერთოდ გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლიები.

პეტრეს სავაჭრო პოლიტიკა მერკანტილისტური იყო — იგი ცდილობდა მეტი საქონელი გაეტანა და ნაკლები შემოეტანა. მოგებულ ფულს იგი მრეწველობასა და არმიას ახმარდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა, ერთი მხრივ, უცხოურ საქონელზე მაღალი ბაჟის დაწესება (1724 წელს ბაჟი საქონლის ღირებულების 37,5% შეადგენდა), მეორე მხრივ, ფულადი დახმარება ვაჭრებისა და სავაჭრო კომპანიებისათვის. ამ ღონისძიებებმა შესაფერისი შედეგიც მოიტანეს — პეტრეს მეფობის დასასრულისათვის რუსეთის ექსპორტი შეადგენდა 4 მილიონ 200 ათას მანეთს, იმპორტი კი 2 მილიონ 100 ათასს, ე. ი. ორჯერ ნაკლებს.

პეტრე სათანადო ყურადღებას აქცევდა საშინაო ვაჭრობასაც, რომლის მთავარ ცენტრად მოსკოვი რჩებოდა. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ბაზრობებსაც (მაგ. მაკარის ბაზრობა ნიჟნი ნოვგოროდში).

ვაჭრობის განვითარებამ გზების გაუმჯობესებაც მოითხოვა. მე-

ფეს არც ეს გამოჰპარვია მზედველობიდან. აზოვის დაპყრობისთანავე ის ვოლგა-დონის შემაერთებელი არხის მშენებლობას შეუდგა, თუმცა ვერ დაამთავრა. ვოლგა კი, თავის მხრივ, ვიშნევოლოკის არხით პეტერბურგს დაუკავშირა (1709 წ.).

მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება თავისებურ ცვლილებებს იწვევდა საქალაქო ცხოვრებაშიც. ქალაქებიც ეპოქის შესაფერისად უნდა გარდაქმნილიყვნენ. ამასთან, პეტრეს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, ბუნებრივია, პეტერბურგი იყო, მისი პირმშო და რუსეთის ახალი დედაქალაქი.

როგორც ითქვა, პეტერბურგი ჩრდილოეთის ომის დროს შენდებოდა. ამიტომ იყო, რომ მისი პირველი ნაგებობანი საარტილერიო სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. 1704 წელს საფუძველი ჩაეყარა მთავარ საადმირალო ვერფს, რომელმაც უკვე 1706 წელს ჩაუშვა პირველი ხომალდი წყალში. ამ გემსაშენზე 10 ათასამდე კაცი მუშაობდა.

პეტერბურგი ძალზე სწრაფად შენდებოდა. ასეულ ათასობით გლეხსა და ხუნდებდადებულ დამნაშავეს ზურგით მოჰქონდა მიწა, გაყავდა გზები, აგებდა სახლებსა და სიმაგრეებს. ევროპასთან დამაკავშირებელ ქალაქში მალე გაჩნდა ბირჟა, სავაჭრო სახლები, საწყობები, დუქნები, ფოსტა, ფაბრიკა-ქარხნები. 1710 წლიდან პეტრეს ბრძანებით დაიწყო პეტერბურგის მოსახლეობის გეგმაზომიერი შევსება: ამ წელს გადმოასახლეს მაღალი თანამდებობის პირები თავისი ოჯახებით, 1714 წელს — კარისკაცები, რომელთაც მალე სამეფო კარიც გადმოჰყვა. იმავე წელს გადასახლდნენ სახელმწიფო დაწესებულებები და გვარდია.

ყოველ ოჯახს ქონების (ე. ი. ყმა-გლეხთა რაოდენობის) მიხედვით უნდა აეშენებინა სახლი, უპირატესად ქვისა. აიკრძალა ქუჩის მხარეს საჯინიბოებისა და სათავსოების ჩადგმა, როგორც ეს რუსებს სჩვეოდათ. მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების მიზნით პეტრემ ქალაქში ჩაასახლა 300 ვაჭარი და 300 ხელოსანი.

პეტრე დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის გარეგან მხარესაც. მისი ბრძანებით აიკრძალა ქუჩების თივით დანაგვიანება, საეკვო სახლები, შემოღებული იქნა სახანძრო დაცვა საგანგებო წესებით, ღამის დაცვა, ნაგვის გამტანთა რაზმი. 1721 წელს მეფის ბრძანებით

ვასილის კუნძულზე[1] დაანგრიეს ყველა სახლი, რომელიც წესის მიხედვით არ იყო აგებული. იქვე დაიდგა ხუთასზე მეტი ნათურა.

პეტერბურგის მფარველად მეფემ აირჩია ალექსანდრე ნეველი და 1723 წელს მისი ნეშტი დიდი ზეიმით გადმოასვენა ვლადიმირიდან ალექსანდრე ნეველის მონასტერში.

პეტრე სხვა ქალაქებსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ. როცა ქალაქელი სახლს ყიდულობდა, ის დაშლიდა ამ სახლს, ახალ ადგილზე დადგამდა და ნასვრეტებს ხავსით ამოავსებდა. ეს სახლები ასანთივით ინთებოდნენ და ხშირად იწვოდნენ. პეტრეს ბრძანებით მოსკოვშიაც აიკრძალა ხის სახლების მშენებლობა. ასევე ზრუნავდა მეფე ქუჩების მოპირკეთებისათვის.

პეტრემ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მათხოვრობას, აკრძალა მოწყალების გაცემა და მათხოვრების დასაჭერად სპეციალური რაზმები შექმნა. ყველა ქალაქში საგანგებო სახლები უნდა აგებულიყო მოხუცთა, სატყუართა და უკანონოდ შობილთათვის.

საქალაქო ცხოვრების მოწესრიგება მის მმართველობასაც შეეხო. 1699 წელს ქალაქებს სათავეში ჩაუდგნენ ბურმისტრები, რომელთა საქმიანობას წარმართავდა ახალი ორგანო — ბურმისტრთა პალატა. 1720 წელს კი შეიქმნა მაგისტრატი საკმაოდ ფართო რწმუნებებით — დაწყებული გადასახადთა გაწერით და დამთავრებული გაქცეულ ჯარისკაცთა ძებნით.

საქალაქო მმართველობის გარდაქმნა მხოლოდ ნაწილი იყო იმ საერთო და ძირფესვიანი რეფორმებისა, რაც პეტრემ ჩაატარა თავისი მეფობის მანძილზე და რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. მეფეს შესანიშნავად ესმოდა, რომ ბოიარული რუსეთის სახელმწიფოს ფორმაც კი აღარ შეეფერებოდა ეპოქას. 1707 წელს, მაგალითად, მან საგანგებოდ ბრძანება დაწერა, რომლის ძალით ბოიართა სათათბიროს ყველა წევრი ვალდებული იყო ხელი მოეწერა სხდომის ოქმზე, „რათა ამით ყველა მათგანის სისულელე გამომჟღავნდესო...“

---

[1] პეტერბურგის დაარსების დროს ამ კუნძულზე იდგა ბომბარდირთა ოფიცერი ვასილი კორჩმინი მცირე არტილერიით, რომელიც რამდენიმე წელს დარჩა აქ. მისდამი გაგზავნილ წერილებს ასე აწერდნენ — „ვასილს, კუნძულზე“. ასე დაერქვა ამ კუნძულს — დღეს ლენინგრადის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონს — ვასილის კუნძული.

1711 წელს, თურქეთთან საომრად გამგზავრების წინ, პეტრემ ქვეყნის მმართველობისათვის დატოვა ცხრაკაციანი საბჭო, რომელსაც „მმართველი სენატი“ უწოდა და მისი დაბრუნების შემდეგაც დარჩა სახელმწიფოს უზენაეს ორგანოდ. თუმცა მეფე სენატორებსაც არ ენდობოდა და მათ თავისი ერთგული გვარდიელები მიუჩინა მეთვალყურედ: „თუ რომელიმე სენატორი ლანძღვას დაიწყებს, ან უზრდელად მოიქცევა, დააპატიმრეთ და ციხეში ჩასვით“. პეტრემ თვითონ ჩამოაყალიბა და დაუწერა სენატს უფლება-მოვალეობანი.

1718 წელს დრომოჭმული პრიკაზები შეიცვალა კოლეგიებით. მეფემ მათ სათავეში რუსი დიდებულები ჩაუყენა, მაგრამ, როგორც წესი, მოადგილეებად უცხოელები დაუნიშნა: საგარეო საქმეთა კოლეგიას განაგებდა კანცლერი გოლოვკინი, ვიცე-პრეზიდენტი იყო ებრაელი შაფიროვი. ასევე სხვა კოლეგიებშიც — სამხედრო (პრეზიდენტი მენშიკოვი, ვიცე-პრეზიდენტი ვეიდე), სადმირალო (აპრაქსინი, კრეისი), კომერც-კოლეგია (პ. ტოლსტოი, შმიტი), კამერ-კოლეგია, რომელიც სახელმწიფო შემოსავალს განაგებდა (დ. გოლიცინი, ნიროდი); ბერგ-კოლეგიისა (სამთამადნო საქმე) და მანუფაქტურ-კოლეგიის (მრეწველობა) პრეზიდენტი იყო ბრიუსი და ა. შ. კოლეგიებს შესაფერისი კანცელარიები და ჩინოვნიკების შტატი ჰყავდათ.

1708—1719 წლებში პეტრემ ტერიტორიული რეფორმაც გაატარა — რუსეთი დაიყო ჯერ 11 გუბერნიად, შემდეგ კი 50 პროვინციად. მათ შესაბამისად სათავეში ედგნენ გუბერნატორები და ვოევოდები, უზარმაზარი ჩინოვნიკური აპარატით, პოლიციით, საფინანსო, სასამართლო და სხვ. ორგანოებით. გუბერნატორებად პეტრეს უახლოესი თანამებრძოლნი და თანამზრახველნი დაინიშნენ — ინგერმანლანდიისა (პეტერბურგისა) — ალ. მენშიკოვი, მოსკოვისა — ტ. სტრეშნევი, კიევისა — დ. გოლიცინი, არხანგელსკისა — პ. გოლიცინი, აზოვისა — აპრაქსინი და სხვ.

მაგრამ პეტრეს „საყვარელი შვილი“ მაინც არმია და ფლოტი იყო, რომლის შექმნა-რეორგანიზაციაზე ზრუნვა მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია.

არ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა პეტრეს დროს თავიდანვე დასრულებული სახე მიიღეს. პირველად

არმია უცხოური ნიმუშების მიხედვით ჩამოყალიბდა, მაგრამ შემდეგ ომის მსვლელობაში, საბრძოლო გამოცდილებამ შესაბამისად შეცვალა მისი სახეც და ორგანიზაციაც.

ქვეითი ჯარი შედგებოდა რეკრუტებისაგან, რომელთაც ჯერ კომლთა, შემდეგ კი (სულადი აღწერის შემდეგ) სულთა გარკვეული რაოდენობა გზავნიდა არმიაში. სულ 1699—1725 წლებში რეკრუტთა 53 გაწვევის შედეგად არმიაში ჩარიცხეს 284.187 კაცი. ოფიცრები თავდაპირველად თითქმის მთლიანად უცხოელები იყვნენ, რომლებიც თანდათან რუსმა თავად-აზნაურებმა შეცვალეს.

ოფიცერთა სამხედრო სკოლებად ითვლებოდნენ სემიონოვსკის, პრეობრაჟენსკისა და ცხენოსანთა ლეიბ-გვარდიის პოლკები, სადაც თავადაზნაურთა შვილები რიგით ჯარისკაცებად ირიცხებოდნენ, ხოლო აქედან ოფიცრებად მიდიოდნენ არმიაში. ოფიცრებად ის მეომრებიც ინიშნებოდნენ, ვინც ამ კლასს არ ეკუთვნოდა, მაგრამ სათანადო ჩვევებსა და ცოდნას გამოამჟღავნებდა.

ცხენოსანთა ჯარი ძირითადად დრაგუნთა ტიპისა იყო, ე. ი. ბრძოლა შეეძლო ცხენზეც და ქვეითადაც. კავალერიას დაემატა ცხენოსანი არტილერია, რაც უშუალოდ პეტრეს იდეა იყო. საერთოდ, პეტრეს, როგორც მხედართმთავრის, უდიდესი დამსახურება იყო არტილერიისათვის განსაკუთრებული როლის მიჩენა, რამაც ბევრჯერ განაპირობა რუსეთის არმიის გამარჯვებები. არტილერისტთა ანუ „ბომბარდირთა“ მოსამზადებლად სპეციალური სკოლები დაარსდა მოსკოვსა და პეტერბურგში.

არანაკლებ ყურადღებას აქცევდა სამხედრო-საინჟინრო საქმესაც, რომლის შესწავლა, როგორც ნათქვამი იყო, თვითონ მეფემ ჭაბუკობიდანვე დაიწყო ტიმერმანთან. ასეთ სპეციალისტებსაც საგანგებო სკოლები ამზადებდნენ.

გენერალური შტაბის როლს ასრულებდა გენერალ-კვარტირმეისტერი.

არმიის ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „სამხედრო წესდებას“ (1716 წ.), რომელიც პეტრეს რედაქციით გამოიცა და განაზოგადა ჩრდილოეთის ომის გამოცდილება. ეს წესდება მრავალი სიახლით გამოირჩეოდა — თუნდაც იმით, რომ საგანგებო

ყურადღება ექცეოდა არმიის მებრძოლი სულისკვეთებით აღზრდას[1].

პეტრეს მეფობის დასასრულს რეგულარული არმია შეიცავდა 210 ათას კაცს, ხოლო არარეგულარული (ძირითადად კაზაკები) 80 ათას კაცს.

ფლოტი პეტრეს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო და შეფეც არაფერს იშურებდა მისთვის. ახლად ფეხადგმული ფლოტი უზარმაზარ ხარჯებს ითქვამდა. 1712 წელს მას მოხმარდა 434 ათასი მანეთი, 1715 წელს — 800 ათასი, ხოლო 1721 წელს — 1.143 ათასი. რუსეთის ფლოტი უკვე მრისხანე ძალას წარმოადგენდა.[2]

პეტრეს კარგად ესმოდა, რომ ასეთი გრანდიოზული გარდაქმნები რუსეთის მმართველი კლასების რეორგანიზაციასაც მოითხოვდა. ბოიარული რუსეთის ძირითადი მმართველი კლასი — თავადაზნაურობა აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო პეტრეს ენერგიული და საფუძვლიანი რეფორმებისათვის. პეტრემ აქაც მკვეთრ ზომებს მიმართა. მოურიდებლად მოჰკიდა ხელი თავადაზნაურობას, ქალსა თუ კაცს, აიძულა იგი ახალი ეპოქის შესაფერისად გარდაქმნილიყო და ახალი საქმე ეკეთებინა.

თავადაზნაურთა შვილები, 10-დან 15 წლამდე, ვალდებულნი იყვნენ დაწყებითი განათლება მიეღოთ — ესწავლათ წერა-კითხვა, „ციფრი", ე. ი. არითმეტიკა, საარტილერიო ან საინჟინრო საქმე. 15 წლიდან კი ბავშვები სამხედრო სამსახურში ირიცხებოდნენ. მეფის ბრძანებით, ყველა გუბერნიაში დაიგზავნენ მათემატიკური სკოლის მსმენელნი, რომელთაც თავადაზნაურთა შვილები უნდა ემეცადინებინათ. ამ სავალდებულო სწავლების გარეშე (რაც სათანადო ცნობით უნდა დადასტურებულიყო) ახალგაზრდა კაცს არ შეეძლო დაქორწინება. უფრო მეტიც: მემამულე, რომელიც არ ასწავლიდა შვილებს, ვერ დაუტოვებდა მათ მემკვიდრეობას. 1714 წელს კი გამოვიდა კანონი „ერთმემკვიდრეობის შესახებ", რომლის ძალით მამუ-

---

1 ამ წესდებით დაარსდა უმაღლესი სამხედრო წოდებები: გენერალისიმუსი, გენერალ-ფელდმარშალი, ინფანტერიის გენერალი, კავალერიის გენერალი, გენერალ-ფელდცეიხმეისტერი, გენერალ-კრიგს-კომისარი.

2 1723 წელს, ფლოტის მორიგი დათვალიერებისას, პეტრეს მოაგონდა ნავი, რომელზეც სწავლობდა ნაოსნობას მდ. იაუზაზე. მან გადმოატანინა იგი, დაარქვა „რუსეთის ფლოტის პაპა" და დიდი ზეიმით დადგა პეტრე-პავლეს ციხეში. ეს ნავი ახლა ლენინგრადის საზღვაო მუზეუმში დგას.

ლი მხოლოდ ერთ შვილს უნდა გადასცემოდა, დანარჩენებს კი სამხედრო სამსახურით ერჩინათ თავი. ამით პეტრე მამულების დანაწევრება-გაღატაკებასაც უშლიდა ხელს და ობიექტურად მემამულეთა ინტერესებს იცავდა.

გაუქმდა ბოიარების, ოკოლნიჩების და სხვა ძველი წოდებები, მოიშალა ძველი იერარქია, დაიწყო აბსოლუტიზმისათვის დამახასიათებელი პროცესი თავადაზნაურთა სხვადასხვა ფენის შერწყმისა, მისი კონსოლიდაციისა. ეს პროცესი დაასრულა „ტაბელმა რანგთა შესახებ“ (1722 წ.), რომელმაც განამტკიცა თავადაზნაურთა დიქტატურა, მისი აბსოლუტური ბატონობა არმიასა და ფლოტში და აბსოლუტური მონარქიის[1] ბიუროკრატიის აპარატში.

ახალი კანონის მიხედვით, ყველა თანამდებობა 14 რანგად იყოფოდა — პრაპორშჩიკიდან ფელდმარშლამდე (არმიაში), ხომალდის კომისარიდან გენერალ-ადმირალამდე (ფლოტში) და კოლეგიის რეგისტრატორიდან კანცლერამდე (სამოქალაქო სამსახურში). იმპერიის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად წარმოშობისა, შეეძლო ამ საფეხურების გაცლა (ვინც VIII რანგს მიაღწევდა, თავადაზნაურთა რიგებში ჩაირიცხებოდა). „ჩვენ არავის არავითარ რანგს არ მივცემთ, — ამბობდა პეტრე, — ვიდრე იგი ჩვენ და მამულს სამსახურს არ გაუწევს და ასე არ დაიმსახურებს“. ამიერიდან სახელმწიფო სამსახურში გზა ეხსნებოდა ყველას, უგვაროსა და გვარიანს.

პეტრე არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ბრძანებებით, იგი უშუალოდ ამოწმებდა მათ შესრულებას. ცნობილია, რომ მან 1704 წელს 600 დიდგვარიანი ახალგაზრდის სწავლების დონე შეამოწმა. უცხოეთიდან დაბრუნებულ რუს ახალგაზრდებს თითქმის ყველას ამოწმებდა და შესაფერ საქმეს გაუჩენდა.

ამავე დროს მეფე სასტიკად სჯიდა უქნარებს. მისი მითითებით დაარსდა უმაღლესი კონტროლის ორგანო — ობერ-ფისკალი ფისკალთა (დამსმენთა) ინსტიტუტით, რომელმაც დააკანონა დასმენისა და დაბეზღების ისედაც საკმაოდ ფეხმოკიდებული სისტემა და

---

1 აბსოლუტური მონარქია ყალიბდება ბურჟუაზიის წარმოშობის პროცესში ფეოდალური სახელმწიფოს რღვევის პირობებში. რუსეთში ეს პროცესი — თავადაზნაურთა ბატონობა ბურჟუაზიის კლასის ჩამოყალიბებასთან ერთად — ხდება XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, პეტრეს ეპოქაში.

დიდ როლს ასრულებდა რუსეთის ცხოვრებაში. დადგინდა, რომ დამსმენს, რომელიც გამოავლენდა სახელმწიფო სამსახურისაგან თავის აშორიდეს, მთელი მისი ქონება გადაეცემოდა. დამსმენი სასჯელისაგან თავისუფლდებოდა მაშინაც კი, თუ არასწორ ინფორმაციას მიაწვდიდა ფისკალთა ორგანოებს. უფრო მეტიც — სპეციალური დადგენილებით პეტრემ ბრძანა აღსარების საიდუმლოებაც კი გაეცათ, თუ ეს სახელმწიფო დანაშაულს ეხებოდა.

პეტრე, რომელიც თავისუფალი იყო ცრურწმენებისაგან, სასტიკად ებრძოდა თავადაზნაურობის მანკიერ თვისებებს, ცრურწმენებს, დრომოჭმულ ადათ-ჩვეულებს — რელიგიურსა თუ საეროს. იშვიათი იყო კარისკაცი, რომელსაც არ აკანკალებდა მეფის ცნობილი „ხელკეტის“ შიშით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასე ძალით თავსმოხვეული სიახლე მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული მანკიერება არც ისე ადვილი აღმოსაფხვრელი იყო. განსაკუთრებით გავრცელებული სენი იყო მექრთამეობა და ფლანგვა. 1715 წელს, მაგალითად, იბილებოდა საქმე ყველა მაღალი თანამდებობის პირისა—მენშიკოვის, აპრაქსინის, პეტერბურგის ვიცე-გუბერნატორის კორსაკოვის, საადმირალოს უფროსის კიკინის, არტილერიის უფროსის ბრიუსის, სენატორების ვოლკონსკისა და ლოპუხინისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ არმიისათვის განკუთვნილი ფულის გაფლანგვა.

მაგრამ თუ მენშიკოვს იოლად გაუდიოდა მომხვეჭელობა, რადგან პეტრესთან დაახლოებული პირი იყო, ციმბირის გუბერნატორი თავადი გაგარინი ვერ იხსნა საკმაოდ ენერგიულმა მოღვაწეობამ ციმბირის ათვისების საქმეში (სხვათა შორის, მან აღმოაჩინა იქ ოქროს საბადოები) და პეტრეს ბრძანებით, თვითნებობისა და მომხვეჭელობისათვის, გაგარინი ჩამოახრჩვეს. სიკვდილით დასაჯეს ობერ-ფისკალი ნესტეროვი, ციმბირში გადაასახლეს შაფიროვი და ა. შ. მაგრამ ბოროტმოქმედებას არაჩვეულებრივად ჰქონდა ფესვები გამჯდარი. ერთხელ, როცა სენატში ხაზინის გამფლანგველების მორიგი საქმე ირჩეოდა, განრისხებულმა პეტრემ მიმართა გენერალ-პროკუროր იაგუჟინსკის: „დაწერე ბრძანებულება, როცა ვინმე იმდენსაც კი მოიპარავს, რომ თოკის ყიდვა შეიძლებოდეს, ჩამოხრჩობილი იქნება“. „ხელმწიფეო, — უპასუხა იაგუჟინსკიმ — ნუთუ

გსურთ, რომ დარჩეთ იმპერატორად მსახურთა და ქვეშევრდომთა გარეშე?" პეტრეს გაეცინა და აღარაფერი თქვა...

პეტრეს მახვილგონიერ ალღოს არ გამოჰპარვია, რომ რუსეთის საზოგადოების მანკიერებისა და რეგრესიის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს ეკლესია წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ჰაბუკმა მეფემ აშკარად გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება ეკლესიის პოზიციებისადმი. უკვე 1696 წელს პეტრემ მღვდელმთავრებს შეუზღუდა ფულის ხარჯვის უფლება. 1700 წელს კი, პატრიარქის გარდაცვალებამ ხელსაყრელი მომენტი შექმნა ძირფესვიანი საეკლესიო რეფორმისათვის. პატრიარქის მოვალეობის შესრულება მეფემ მიანდო რიაზანის მიტროპოლიტს სტეფანე იავორსკის[1]. მაგრამ მალე გული აიცრუა მასზე. 1701 წელს აღადგინეს სამონასტრო პრიკაზი, სათავეში ჩაუყენეს სამოქალაქო პირი და გადასცეს ეკლესიის საქმეები. 10 წლის მანძილზე სახელმწიფომ ამ პრიკაზის მეშვეობით მიიღო ერთი მილიონი მანეთის შემოსავალი. მისი ნებართვის გარეშე აიკრძალა ბერად შეიდგომა და ა. შ.[2]

ჩრდილოეთის ომის პერიოდში მოხდა საეკლესიო მიწების ნაწილობრივი სეკულარიზაცია. 1721 წელს შეიქმნა „უწმინდესი მმართველი სინოდი", რომელმაც ხელში აიღო ეკლესიის მმართველობა. მას ევალებოდა სასულიერო პირთა, ძირითადად სამონასტრო მსახურთა მოწყობა, რასკოლთან და ცრურწმენებთან ბრძოლა და ხალხში რელიგიურ-ზნეობრივი განათლების შეტანა. დანარჩენი საქმეები პეტრემ ჩამოაცილა მას. ეკლესია-მონასტრების შემოსავალი კვლავ სახელმწიფო ხაზინას ებარა. ეს კი მთავარი იყო...

პეტრე უაღრესად მიზანდასახულად მართავდა რუსეთს და ვერავითარ საწინააღმდეგო ძალას ვერ ითმენდა ამ გზაზე. ამ თვალსაზრისით უდგებოდა ის ეკლესიასაც, რეაქციულსა და ხელისშემშ-

---

1 სასულიერო პირებიდან პეტრე უკრაინელებს აძლევდა უპირატესობას, რადგან ისინი უფრო განათლებულნი და მოწინავე აზროვნებისა იყვნენ და მხარს უჭერდნენ პეტრეს სიახლეებს.

2 მენშიკოვი წერდა მეფეს: „ხელმწიფევ, ჯარისკაცებსა და ბერებს ჯამაგირი დაეუნიშნოთ — 6 მანეთი წელიწადში. კაცმა რომ თქვას, ჯარისკაცებს მეტი ეკუთვნით, ბერებს კი რათ უნდა ფული? პური და წყალი ეყოფათ, იყვნენ და მისდიონ წმინდანთა ცხოვრებას". რასაკვირველია, თვით მეფესაც ასეთი განწყობა ჰქონდა.

ლელს. ამავე მიზეზით განდევნა მან მოსკოვიდან იეზუიტები, რომლებმაც ქვეყნის საზიანო საქმიანობა გააჩაღეს. მაგრამ ამავე მიზეზით წყალობდა ის მოსკოვში მცხოვრებ უცხოელებს, რომელთა სარწმუნოებრივი სხვაობა არ უშლიდა ხელს მეფესთან ნაყოფიერ თანამშრომლობას. ამავე მიზეზით დაიახლოვა მან ცნობილი საეკლესიო მოღვაწე პროკოპოვიჩი, რომელიც პეტრეს საქმიანობის უპირველესი მეხოტბე და ხელისშემწყობი იყო.

პეტრე პირველი დამცველი და ბურჯი იყო თავადაზნაურული. მაგრამ მოწინავე და ძლიერი, განათლებული და დამოუკიდებელი რუსეთისა. ამ პოზიციიდან უდგებოდა მეფე რუსეთის საზოგადოების ყველა ფენას.

„სამმაგი ტყავი...“

> „ისიც უნდა ითქვას, რომ მემამულეთა კლასის ამაღლება, ახლად ჩამოყალიბებული ვაჭართა კლასისათვის ხელშეწყობა და ამ კლასების ეროვნულ სახელმწიფოს განმტკიცება ხდებოდა გლეხობის ჩაგვრის ხარჯზე, რომელსაც სამმაგ ტყავს აძრობდნენ“.
>
> ი. სტალინი.

უზარმაზარი ნახტომი, რომელიც რუსეთმა გააკეთა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, უაღრესად მწვავე პროცესი იყო. გარდაქმნები, როგორც ვნახეთ, რუსეთის საზოგადოების ყველა ფენას შეეხო და ყველა ფენისაგან მოითხოვა მსხვერპლი. ვ. ლენინის თქმით, რუსეთის „ევროპეიზაციის“ გზაზე პეტრე „ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლის ბარბაროსულ საშუალებებს მიმართავდა“. ამიტომ იყო, რომ მას რუსეთის ყველა ფენაში ჰყავდა ოპოზიცია. მაღალ კლასებს არ მოსწონდათ მამაპაპური წესების რღვევა, უცხოელებთან კავშირი, შვილების უცხოეთში გაგზავნა და მათი „გაუცხოელება“, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების ზრდა (თუნდაც იგივე ფლოტის საშენი ხარჯები); სამღვდელოება ვერ ეგუებოდა თავისი მდგომარეობის დაკარგვას, მეფის გულგრილობას ეკ-

ლესიისადმი და „ერეტიკოსებთან“ (უცხოელებთან) დააბლოებას: მსროლელებს აღიზიანებდათ ახალი არმიის შექმნა და მათი დამდაბლება. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში კი, ბუნებრივია, იყვნენ დაბალი ფენები — გლეხები, რაბათის მოსახლეობა, ღარიბი კაზაკობა, ამიტომ, გასაკვირი არ იყო, რომ პეტრეს მეფობის მთელ მანძილზე უაღრესად მძაფრი იყო კლასობრივი ბრძოლა — შეთქმულებები, აჯანყებები და გლეხთა მასობრივი გაქცევები.

გარდაქმნების ძირითადი სიმძიმე გლეხობას დააწვა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო გადასახადები სამჯერ გაიზარდა. გარდა ამისა, გლეხებს გაჰყავდათ გზები, არხები, აგებდნენ ციხე-ქალაქებს, მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, არმიასა და ფლოტს აძლევდნენ რეკრუტებს და ა. შ. ამას ემატებოდა მოხელეთა ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული თვითნებობა: ხშირ შემთხვევაში ხაზინაში გადასახადების მხოლოდ 30% შედიოდა მათი წყალობით.

მარტო პეტერბურგის მშენებლობამ ასეული ათასობით ყმა-გლეხი შეიწირა. 1708 წელს აქ 40 ათასი კაცი მუშაობდა, რომელთაგან თითქმის ყველა დაიღუპა. ამდენივე მუშაობდა 1709 წელს. 1710 წელს პეტერბურგში ჩაიყვანეს სამი ათასი ყმა-გლეხი, მომდევნო წელს კი 46 ათასი, თითქმის ამდენივე 1713 წელს და ა. შ. ქალაქს აშენებდნენ ხელით, მომაკვდინებელ ჭაობებში, მიწა მოჰქონდათ შორიდან, ტრანსპორტის ყველა საშუალებით, ტომრებითა და კალთებითაც კი. მუშები თვეში 50 კაპიკს იღებდნენ. ამიტომ, ვიდრე დაილუპებოდნენ, ან მათხოვრობდნენ, ან ძარცვით შოულობდნენ პურს.

გლეხობას ანადგურებდა რეკრუტთა გაწვევაც. ახალწვეულნი იმალებოდნენ და არმიიდანაც მირბოდნენ. გაჩნდნენ ავაზაკთა ბრბოები, რომლებიც ზოგიერთ გუბერნიაში საერთოდ დაუსჯელად დათარეშობდნენ, რადგან ადგილობრივი ხელისუფალნი ვერ კრებდნენ საჭირო რაოდენობის ხალხს რაზმების შესადგენად.

ამას უმკაცრესი კანონებიც ვერ შველოდა, თუმცა ნამრძანები იყო ყოველი მესამე გაქცეული ჩამოეხრჩოთ, ორი კი გაეჯოხათ და ციმბირში გაესახლებინათ. გაქცეულ ყმებს გაშოლტვის შემდეგ ნესტოებს აგლეჯდნენ (შემონახულია პეტრეს ხელით ნაწერი: ნესტოების დასაგლეჯი ინსტრუმენტი ისე უნდა გაკეთდეს, რომ ხორცი უურამდე მოაგლიჯოსო...). ყაჩაღებს კი კანონი სიკვდილით სჯიდა.

(თუ მათ შორის ფეხმძიმე ქალი იყო, მშობიარობას აცლიდნენ და მერე კვეთდნენ თავს).

„...მძიმეა სოფელში ბეგარაზე მუშაობა, ზოგ ცხენს ისე არ უპირს, როგორც გლეხს. მაგრამ უფრო უიმედო ჩანდა ტყვეობა აჰ ქარხნებში, — ციხეზე უარესი იყო ხუნდებდადებულისთვისაც და დაქირავებულისთვისაც. გარშემო — მაღალი მესერია, ჰიშკართან— ძაღლებზე ავი დარაჯები. პაწაწა, ბნელ ოთახებში, მორახრახე დაზგებთან მოხრილს, წაღიღინების უფლებაც კი არა გაქვს — მხრებს აგიწვავს უცხოელი ოსტატი ხელჯოხით, ორმოთი დაგემუქრება. სოფელში კაცი ზამთარში მაინც გამოიძინებს ღუმელზე. აქ კი ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამე მაქო უნდა აქნიო... ჯამაგირი, ტანისამოსი — დიდი ხანია სასმელშია განიავებული. მაგრამ უველაზე საშინელი ხმები დადიოდა აკინფი დემიდოვის ურალის ქარხნებისა და საბადოების შესახებ. მასზე მიწერილი მაზრებიდან შეშინებული ხალხი თავდავიწყებით გარბოდა.

აკინფი დემიდოვის ნოქრები — დამქირავებლები — დადიოდნენ ბაზრებსა და დუქნებში, უხვად უმასპინძლდებოდნენ უველას, ტკბილმოუბრად აღწერდნენ იოლ ცხოვრებას ურალზე. იქ მიწებია — უსაზღვრო, — წაიმუშავე ერთი წელი, ფული ჩააკერე ქუდში, წადი ღვთის იმედით, ჩვენ არ გიჭერთ... თუ გსურს, გაინძერი, ოქრო ეძიე, — იქ იმდენი ოქროა, რამდენიც ნეხვი ფეხქვეშ.

ასეთი ნოქარი, როცა დაათრობდა შესაფერ კაცს, დარწმუნებით ან მოტყუებით, — მოწმე-შედუქნის თანდასწრებით შეაჩეჩებდა საკაბალო ხელწერილს: აი, აქ, კეთილო კაცო, ჯვარი დაუსვი. და — დაიკარგა ადამიანი. ჩასვამდნენ საზიდარში, თუ შფოთავდა — ჯაჭვს დაადებდნენ, მიჰყავდათ ათასი ვერსის იქით, მაღალი ტყიანი მთების იქით — ნევიანსკის ქარხანაში, საბადოებზე.

იქიდან კი ცოტანი ბრუნდებოდნენ. იქ ხალხს მიაჯაჭვავდნენ გრდემლზე, სამსხმელო ღუმელზე. ჭირვეულებს წნელით ააჩრელებდნენ.

ვერსაით გაიქცეოდი — ქამანდიანი ცხენოსანი კაზაკები უველა გზასა და ბილიკს იცავდნენ. მათ კი, ვინც ამბოხებას შეეცდებოდა, ღრმა ჭაბურღილებში ყრიდნენ, ტბებში ახრჩობდნენ...“

1710 წლის აღწერამ გამოაელინა 635 ათასი გლეხური

კომლი, რაც 20 პროცენტით ნაკლები იყო 1678 წელს არსებულ რაოდენობაზე.

1705 წელს ასტრახანის ვოევოდად იყო ტ. რჟევსკი, რომელმაც წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩააგდო ისედაც დატანჯული მსროლელები, ჯარისკაცები და ქალაქის მოსახლეობა. მან ხელახლა დაბეგრა ყველაფერი, ბანოები, სარდაფები, ღუმელები, დანისა და ცულის გალესვა, ლუდის ხარშვა. სავაჭროდ გამოტანილი საქონლის ბაჟი ხშირად მის ფასს აღემატებოდა. ვოევოდით არც შეძლებული ფენები იყვნენ კმაყოფილნი.

ივლისში ვოევოდამ ბრძანება მიიღო რუსული ტანისამოსისა და წვერის აკრძალვის შესახებ. ვოევოდის ხალხი მოსახლეობას მიესია. როგორც შემდეგ ამბობდნენ ასტრახანელები, „წვერს ხორცთან ერთად გვაჭრიდნენ, რუსულ სამოსს ბაზრებში, ქუჩებში და ეკლესიებში გვაგლეჯდნენ“. ასტრახანელ მსროლელებში ხმა დაირხა — მეფემ 7 წლით აკრძალაო ქორწინება, ვიდრე ასტრახანელ ქალიშვილებს უცხოელები არ აირჩევდნენო საცოლეებად. ეს ხმა ისე გავრცელდა, რომ ერთ კვირა დღეს ქალაქში 100 ქორწილი გადაიხადეს.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ქალაქში აჯანყებამ იფეთქა. გაბოროტებული მსროლელები და მოსახლეობა დაერივნენ ქალაქს, მოკლეს საქათმეში დამალული ვოევოდა და მას 300 მოხელე და უცხოელი მიაყოლეს. მათი სახლები კი გაძარცვეს და დაარბიეს. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ თევზის მრეწველი ნოსოვი, ერობის ბურმისტრი განჩიკოვი და მსროლელი შელუდიაკი. აჯანყებულებმა საკუთარი მმართველობა დააწესეს. დონზე და თერგზე წერილები დაგზავნეს და კაზაკებს დახმარება სთხოვეს. აჯანყება მოედო კრასნი იარსა და ჩორნი იარს, გურიევსა და თერგის ციხეს.

ასტრახანელებმა ერთ წელს გაუძლეს მთავრობის ჯარებს. მხოლოდ მაშინ, როცა ასტრახანის კედლებთან გამოჩნდა ფელდმარშალი ბ. შერემეტიევი, რომელიც პეტრემ კურლანდიიდან გამოგზავნა აჯანყების ჩასაქრობად, ასტრახანელები გატყდნენ. 1706 წლის 13 მარტს, განთიადისას, შერემეტიევმა შეუტია ქალაქს და მალე აიძულა აჯანყებულები დანებებულიყვნენ. ნოსოვმა და სხვა მოთავეებმა ფელდმარშალს ქალაქის კლიტეები გამოუგზავნეს და მორჩილების ნიშნად ეშაფოტი და ნაჯახი გამოდგეს ქალაქის ჭიშკართან. შერემე-

ტიევმა 273 ტუ'აღი გაგზავნა მოსკოვში, რომელთაგან 5 ოთხად გაკვეთეს, ოცდაათს თავი მოკვეთეს და ორმოცდახუთი ჩამოახრჩვეს.

მაგრამ ასტრახანის აჯანყება მხოლოდ შე'ავალი აღმოჩნდა ეფრო დიდი ამბოხებისა, რომელიც დონს მოედო წლინახევრის შემდეგ.

ამ დროს დონი კვლავ რჩებოდა ბატონყმურ უღელს გამოქცეულ გლეხთა თავშესაფრად. XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის მთავრობამ ენერგიულად შეუტია დონელ კაზაკთა ნახევრადდამოუკიდებელ ტერიტორიას. ეს შეტევა ორი მიმართულებით ხორციელდებოდა — დონის მიწების შემამულეებისა და მონა'ტრებისათვის გადაცემის გზით და აქ არსებული სტრატეგიული პუნქტების უშუალო დაპყრობის მეოხებით. კაზაკებისათვის განსაკუთრებული დარტყმა იყო აზოვის დაპყრობა პეტრეს მიერ. მოსკოვმა კაზაკებს ზღვაში გასასვლელი გადაუკეტა და ორივე მხრივ გაუმეზობლდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1704 წელს მთავრობამ „დონის დიდი ჯარის" ბეჭედი შეცვალა ახალი, მეტად დამამცირებელი ბეჭდით, რომელზეც გამოსახული იყო კასრზე მჯდომი, ნახევრადშიშველი, მთვრალი კაზაკი თოფით ხელში.

1707 წლისათვის პეტრეს მთავრობამ გადაწყვიტა საბოლოოდ მოესპო დონზე გაქცევის პრაქტიკა და, პირველ რიგში, გაქცეულთა უკან დაბრუნება სცადა. ამ მიზნით შედგა სპეციალური რაზმი თავად ი. დოლგორუკის მეთაურობით, გაიგზავნა დონზე და დაეევალა გაქცეული გლეხობა აღენუსხა და დაებრუნებინა „იმავე ქალაქებში, საიდანაც მოვიდნენ".

ოქტომბერში დოლგორუკი ჩერკასკში ჩავიდა და იქიდან შეუდგა დავალების შესრულებას. მან რამდენიმე რაზმი სხვადასხვა მიმართულებით გაისტუმრა, თვითონაც დაიძრა და 9 სექტემბერს შულგინის „გოროდოკში" დაბანაკდა. იმავე ღამეს, რაზმს, რომელშიც ასამდე კაციღა დარჩა, თავს დაესხნენ კაზაკები და თითქმის მთლიანად გაჟლიტეს მძინარე მეომრები. თავდამსხმელებს მეთაურობდა სტანიცა ბახმუტის კაზაკთა ატამანი კონდრატე ბულავინი. დოლგორუკის ბედი გაიზიარა მისი რაზმის რამდენიმე ოფიცერმა — კაპიტან ხვოროვის ოცკაციანი ჯგუფი ალექსეევის სტანიცაში გაანად-

გურეს, ხოლო კაპიტან ტენებეკოვისა — ფედოსეევის „გოროდოკში“.

მაგრამ 18 ოქტომბერს ბულავინს შეება დონის ჯარის ატამანი ლუკიანე მაქსიმოვი და დაამარცხა იგი. ბულავინი ზაპოროჟიეს სეჩში გადავიდა. ლუკიანოვი დამარცხებულებს გაუსწორდა: ას კაცს ცხვირი დააჭრეს, ათი ხეებზე ჩამოკიდეს ფეხით, ოცდაცხრა წყალში დაახრჩვეს, 10 ჩერკასკში გაგზავნეს სიკვდილით დასასჯელად, 10 კი მოსკოვში, მრავალი გაროზგეს და რუსეთის ქალაქებში გადაასახლეს.

ნოემბერ-დეკემბერი ბულავინმა ზაპოროჟიელებთან გაატარა და აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მათ. ზაპოროჟიელთა „სტარშინამ“[1] უარი უთხრა მას დახმარებაზე, მაგრამ რამდენიმე ათასმა რიგითმა კაზაკმა იარაღი აისხა და თან გაჰყვა ბულავინს.

კ. ბულავინმა დიდი სააგიტაციო მუშაობა გააჩაღა — მისი შიკრიკები და აგიტატორები მოედვნენ არა მარტო დონის აუზს, არამედ ტამბოვის, კოზლოვის, ვორონეჟის, ბელგოროდის ოლქებს, ვოლგისპირეთსა და ჩრდილო კავკასიას. აჯანყებულთა რიგებში ჩადგნენ რუსები, უკრაინელები, თათრები, მორდველები, ყალმუხები და სხვ. ბულავინის ე. წ. „მაცთუნებელი“ წერილები აღსავსე იყო სიძულვილით ბოიარებისა და „გერმანელებისადმი“, მეფის ოფიცრებისა და მოხელეებისადმი. ეს წერილები — რაზინის წერილების მსგავსად — „ადრესატის“ მიხედვით იყო შედგენილი: „თავისუფალ“ ხალხს ატამანი თავისუფალსა და უზრუნველ ცხოვრებას ჰპირდებოდა, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მეფისადმი გაგზავნილ წერილში იგი ჩერკასკელ „სტარშინასა“ და დოლგორუკის ამტყუნებდა, სულთანს პეტრეს აგრესიულ ზრახვებში არწმუნებდა, თათრებს მშვიდობასა და ზავს ისთავაზობდა, ყუბანელ კაზაკებს კი მოაგონებდა, რომ მეფემ „ქრისტიანული სარწმუნოება გადააგვარა მოსკოვის სამეფოში, ხოლო ჩვენ წვერ-ულვაშს გვართმევსო“...

აჯანყებამ ფართო ტერიტორია მოიცვა. ბულავინმა გადაწყვიტა, პირველ რიგში, ჩერკასკი აეღო და ამით ზურგი გაემაგრებინა.

---

1 „სტარშინა“ კაზაკების ზედა ფენას ეწოდებოდა და ფაქტიურად იგი განაგებდა მათ ცხოვრებას.

1708 წლის აპრილში ბულავინმა მაქსიმოვის ჯარი დაამარცხა, 1 მაისს კი ჩერკასკის მოსახლეობამ მას ქალაქი ჩააბარა. ბულავინმა მაქსიმოვი და მისი ერთგულნი სიკვდილით დასაჯა. 9 მაისს კონდრატე ბულავინი „დონის დიდი ჯარის“ ატამანად გამოაცხადეს.

ჩერკასკიდან ბულავინი კვლავ მოკავშირეთა ძებნას განაგრძობდა და ამით დროის მოგებას ცდილობდა. პეტრემ ალღო აუღო ატამანის ტაქტიკას და დაუყოვნებლივ დასძრა მის წინააღმდეგ ოცდათორმეტი ათასიანი არმია, რომელსაც სათავეში ჩაუყენა იური დოლგორუკის ძმა მაიორი ვასილ დოლგორუკი.

მეფის არმიის შესახვედრად ჩერკასკიდან გავიდა სამი რაზმი ბულავინის თანამებრძოლების — ნეკრასოვის, დრანისა და გოლის მეთაურობით. დოლგორუკის რაზმს ჯერ დრანი შეხვდა და 8 ივნისს დაამარცხა კიდეც სუმის პოლკი. მაგრამ პირველ ივლისს აჯანყებულები სასტიკად დამარცხდნენ. ბრძოლის ველზე დარჩა დრანი და 1500 აჯანყებული.

ნეკრასოვის რაზმი ვოლგისაკენ გაემართა და სარატოვს შეუტია.

თვით ჩერკასკში კი მდგომარეობა ძალზე დაიძაბა. აჯანყებულთა რიგებში მყოფი „სტარშინა“ შეთქმულებას შეთქმულებაზე აწყობდა და ბულავინის თავიდან მოცილებას ცდილობდა. 7 ივლისს მდიდარი კაზაკები თავს დაესხნენ ბულავინის სახლს და ბრძოლით აიღეს იგი. ბულავინი მოკლეს, თავი მოჰკვეთეს და სპირტში შეინახეს, ტანი კი ფეხებით ჩამოჰკიდეს მდინარის პირას. ღალატმა ბულავინის კიდევ ერთი თანამებრძოლი, პოლკოვნიკი ხოხლაჩი იმსხვერპლა.

შალე დონის კაზაკთა „სტარშინა“ მუხლებზე დაჩოქილი, დახრილი დროშებით ეგებებოდა თავად ვ. დოლგორუკის და შეწყალებას სთხოვდა.

ბულავინის ცალკეული ატამანები ნოემბრამდე განაგრძობდნენ ბრძოლას. ნეკრასოველთა ნაშთებმა ატამანის მეთაურობით უუბანში გააღწიეს და თურქეთს შეეკედლნენ (მათი შთამომავლები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაბრუნდნენ სამშობლოში). აჯანყების დანარჩენი კერები მთავრობის ჯარმა დიდი სისასტიკით ჩაახშო.

გაცილებით ხანგრძლივი აღმოჩნდა ბაშკირთა აჯანყება, რომელიც 6 წელიწადს გაგრძელდა (1705—1711 წწ.).

რუსეთის სამრეწველო ცენტრის შექმნამ ურალისპირეთში საშინელ დღეში ჩააგდო ბაშკირი ხალხი. მრეწველები და მეფის მოხელეები ბაშკირებს ართმევდნენ საუკეთესო მიწებსა და საძოვრებს, ცხენებსა და საქონელს, ძალით აქრისტიანებდნენ. 1705 წელს ბაშკირეთში ჩასულმა საგანგებო მოხელეებმა თავიდან დაბეგრეს მოსახლეობა და დააწესეს 72 სახის გადასახადი, მათ შორის გადასახადი თვალების ფერზე (შავი თვალების პატრონი ორ ალტინს იხდიდა, ნაცრისფერისა — რვას). ამან ბოლო მოუღო ბაშკირი ხალხის მორჩილებას. აჯანყდა მთელი მოსახლეობა. თავდაპირველად აჯანყებულებს ბაშკირი ფეოდალებიც მიემხრნენ — თავადები ალდარი და ყუსუმი სათავეშიც კი ჩაუდგნენ მათ. ბაშკირი ფეოდალები დამოუკიდებელი ბაშკირეთის შექმნაზე ოცნებობდნენ. მალე ბაშკირებს შეუერთდნენ თათრები, ჩუვაშები, უდმურტები, მარიელები.

მაგრამ უკვე 1708 წელს ზედა ფენას შეეშინდა მოძრაობის საერთო ხასიათისა და მიმართულებისა და თანდათან ჩამოსცილდა მას. მიუხედავად ამისა, აჯანყების ჩაქრობა მხოლოდ 1711 წელს მოახერხა მთავრობამ.

ასეთი იყო ჩაგრული ფენების მოძრაობის სურათი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს აჯანყებები წმინდა სოციალური ხასიათისა და მიმართულებისა იყო, გარკვეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ელფერითაც (არარუსი ხალხის გამოსვლები).

აჯანყებულები მხოლოდ ზოგ შემთხვევაში და ნაწილობრივ ამჟღავნებდნენ პეტრეს გარდაქმნებით გამოწვეულ უკმაყოფილებას. თანაც ეს მათ მასების გაღაიზიანებლად თუ მისამხრობად სჭირდებოდათ. ამ უკმაყოფილების მთავარი წყარო უმთავრესად მეფის მოხელეთა წარმოუდგენელი თვითნებობა იყო. ასე, რომ ასტრახანის, ბულავინის, ბაშკირების აჯანყებები არ უნდა გავაიგივოთ რეაქციის გამოსვლებთან, რაც თითქმის მუდმივად თან სდევდა პეტრეს მეფობას და რაც უშუალოდ მისი სიახლეების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ პეტრეს ჯაშუშთა მთელი არმია ჰყავდა და არც თვითონ თაკილობდა ყურის გდებას,. დაბეზ-

---

1 ალტინი სამ კაპიკს უდრიდა

ლებისათვის საზღაურიც იყო დაწესებული. ყველას ჰქონდა უფლება დაეძახა — „მეფის სიტყვა და საქმე!“ და მას უმალ მოუსმენდნენ, ჩაიწერდნენ და დაუყოვნებლივ მიაცემდნენ მსვლელობას ამ — მართალსა თუ უსაფუძვლო — ბრალდებას. ანტისახელმწიფო საქმიანობის გამომძიებელი ორგანო იყო პრეობრაჟენსკის პრიკაზი, რომელსაც სათავეში ედგა პეტრეს ერთგული მეინახე თევდორე რომოდანოვსკი, ე. წ. „თავადი-კეისარი“, წამებისა და დაკითხვის „დიდოსტატი“, რომელსაც პეტრეც კი მხეცს უწოდებდა.

უკვე 1696 წელს საიდუმლო პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე მღვდელი და დიაკი, რომელთაც ბრალად ედებოდათ მეფის საწინააღმდეგო აგიტაცია. მათ შორის იყო სახაზინო გლეხი ივანე პოსოშკოვი, რომელიც შემდეგ ცნობილი პუბლიცისტი გახდა. რუსული კულტურის საბედნიეროდ, მან მოახერხა თავის მართლება და სასჯელს გადარჩა.

მალე გაიბსნა ახალი შეთქმულება, რომელიც მოსკოველ დიდებულებს შორის მწიფდებოდა და პეტრეს მოკვლას ისახავდა მიზნად. აქ ძირითად როლს ასრულებდა მსროლელთა პოლკოვნიკი და სათათბიროს აზნაურის ციკლერი. მას თანაუგრძნობდნენ ძირძველი დიდებულები ა. სოკოვნინი, თ. პუშკინი და სხვები. პეტრემ ბოიართა სათათბიროს გაასამართლებინა ისინი და სასტიკი სასჯელი გამოატანინა — ციკლერი და სოკოვნინი ოთხად გაკვეთეს, პუშკინს თავი მოკვეთეს, დასჯილთა ოჯახები კი ააწიოკეს და გაასახლეს.

გადიოდა წლები. ქვეყანა და მისი ენერგიული მეფე ვაჟკაცდებოდნენ, ფრთებს შლიდნენ. რუსი ხალხი უჩვეულო გამარჯვებების, სიახლეებისა და ზეიმების მოწმე ხდებოდა. „რუსეთი შევიდა ევროპაში, როგორც წყალში ჩაშვებული ხომალდი, ნაჯახის კაკუნითა და ზარბაზნების ქუხილით“ (ა. პუშკინი). რუსი ხალხის საუკუნეების მანძილზე მიძინებული ნიჭი და ენერგია იღვიძებდა.

მაგრამ დიდი იყო ძალა გასული საუკუნეების თვლემისა, თვლემისა, რომელსაც მძლავრი იდეური საყრდენი და ახსნაც გააჩნდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ერთი პატიმარი ასე გაჰკიოდა პრეობრაჟენსკის დილეგში: „ეს რა მეფეა? შეუძლებელია, რომ ეს კაცი, ვისთვისაც არაფერია წმინდა იმაში, რითაც ასეული წლებით ცხოვრობს და სჯერა წმინდა რუსეთს, რუსი მშობლების შვილი იყოს. ის, ალბათ, გერმანელის შვილია“...

მსროლელთა განადგურებამ და სოფიოს მოშორებამ რეაქციას გარკვეული ხნით ფრთები შეუკვეცა. მაგრამ მალე გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც ძირძველ ბოიარებს თუ ძალაგამოცლილ სამღვდელოებას ახალი იმედები გაუღვივა. ეს იყო პეტრეს პირმშო ალექსი.

ევდოკია ლოპუხინა, პეტრეს პირველი მეუღლე და ალექსის დედა, ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ ხალხისა, ვისაც არ ესმოდა და არც სურდა გაეგო პეტრეს მისწრაფებები, მისი იდეები და მიზნები, იმ ხალხისა, ვინც ვერ ეგუებოდა ძველმოსკოვური მშვიდი და მთვლემარე ცხოვრების აფორიაქებას, წვერის მოპარსვას თუ ევროპულ ტანსაცმელსა და ცეკვას. ამიტომ იყო, რომ პეტრემ მალე მოიშორა იგი გზიდან — როგორც ითქვა, 1898 წელს დედოფალი მონაზვნად აღკვეცეს. თუმცა 8 წლის ალექსი უკვე საკმაოდ იყო მოწამლული დედამისისა და მისი გარემოცვის მიერ. ამას თვით ალექსი აღიარებდა სიკვდილის წინ.

ეს გარემოცვა კი კვლავ ძველი რჩებოდა — პეტრეს მოძულენი — აბრამ ლოპუხინი (დედოფლის ძმა), ნარიშკინები (სამნი), ვიაზემსკები (ხუთნი), მღვდლები ლეონტი მეწშიკოვი და, განსაკუთრებით, იაკობ იგნატიევი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოიპოვა მეფისწულზე.

პეტრეს მოღვაწეობის ისტორია ადვილად დაარწმუნებს ყველას, რომ მას არც საქმე აძლევდა შვილის აღზრდის დროს თუ საშუალებას და არც სინაზე ჰყოფნიდა ამისათვის. (სხვათა შორის, როგორც ირკვევა, უხეშობა, სისასტიკე და სმის სიყვარული მაინც გამოჰყოლია მეფისწულს მამისაგან).

ალექსის ირგვლივ ნამდვილი შეთქმულება მომზადდა — საიდუმლო შიფრითა და სახელებით. შეთქმულებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გამონაზვნებულ დედოფალთან, რომელიც ალექსიმაც ინახულა 1707 წელს. პეტრემ გაიგო ამ ვიზიტის ამბავი.

პირველად მამა-შვილი 1704 წელს შეეჯახნენ, ნარვაზე ლაშქრობის დროს, სადაც პეტრემ გააფრთხილა ვაჟი — ეზრუნა მამულის ინტერესებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში პეტრე მუქარასაც არ დაერიდა. მაგრამ 14 წლის შვილი მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა მამის სურვილებს, მისი საქმიანობა კი სძულდა.

ალექსი ვერ იტანდა ევროპულ განათლებასა და წესებს, უყვარ-

და მხოლოდ ღვთისმეტყველება და ძველმოსკოვური ჩვეულებები, თანდათან აღარ მალავდა ამას და ოცნებობდა — როგორ დაანგრევდა მამის სიკვდილის შემდეგ პეტერბურგს, დაითხოვდა არმიას, გაანადგურებდა ფლოტს, ზამთარში მოსკოვში იცხოვრებდა, ზაფხულს კი იაროსლავლში გაატარებდა.

1711 წელს პეტრემ ვაჟიშვილს ცოლად შერთო გერმანელი პრინცესა შარლოტა, ავსტრიის იმპერატორის ცოლისდა, რაც რასაკვირველია, პოლიტიკური მიზნებით იყო ნაკარნახევი (შარლოტა პირველი იყო იმ გერმანელ პრინცესათაგან, რომლებიც დიდხანს შემოდიოდნენ რომანოვების ოჯახში რძლებად).

მაგრამ ალექსის ცოლი არ უყვარდა, შარლოტას კი რუსები. 1715 წელს შარლოტას შეეძინა ვაჟი, მომავალი იმპერატორი პეტრე II, მაგრამ თვითონ მშობიარობას გადაჰყვა.

მამა-შვილს შორის ურთიერთობა უაღრესად გამწვავდა. ალექსის უკვე სასტიკად სძულდა მამა და მასთან შეხვედრა სასჯელად მიაჩნდა. პეტრემ უკანასკნელ ზომას მიმართა შვილის მოსაბრუნებლად და წერილით მიმართა მას. ალექსიმ არ ისურვა მორჩილება და ტახტზე უარი თქვა. მაგრამ პეტრემ კარგად იცოდა, რომ ფორმალობა ხელს ვერ შეუშლიდა შვილის ზურგს უკან მდგომთ და კვლავ გაუგზავნა მას წერილი. პასუხად ალექსიმ მონასტერში წასვლის უფლება სთხოვა მამას.

პეტერბურგში ყოფნის დროს ალექსის დაუახლოვდა ვინმე ალ. კიკინი, პეტრეს ყოფილი ფარეში, რომელიც პეტრემ დააწინაურა, მაგრამ მექრთამეობისა და ბოროტმოქმედებისათვის კვლავ შერისხა. მოგვიანებით პეტრემ აპატია მას დანაშაული და ისევ დაიახლოვა, მაგრამ კიკინმა ვერ მოინელა წყენა და ალექსის საშუალებით სცადა შურისძიება. მალე ის მეფისწულის მთავარი მრჩეველი გახდა.

1716 წელს კიკინის რჩევითა და ხელშეწყობით ალექსი ავსტრიაში გაიქცა. იმპერატორმა ვერ გაბედა მისი ზარ-ზეიმით მიღება, მაგრამ თავშესაფარი კი მიუჩინა ნეაპოლის ერთ-ერთ ციხეში.

შვილის დასაბრუნებლად პეტრემ უაღრესად ენერგიულსა და სასწრაფო ზომებს მიმართა. ის კარგად გრძნობდა, რაოდენ საშიში იარაღი შეიძლება გამხდარიყო რუსეთის ტახტის მემკვიდრე ავსტრიის იმპერატორის კარზე. იმპერატორმა ვერაფერი გააწყო და,

თუმცა მეფისწულის გაცემაზე უარი თქვა, მის ნახვის უფლება კი მისცა პეტრეს ემისრებს — პ. ტოლსტოისა და ა. რუმიანცევს. ალექსი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო რუსეთში დაბრუნებისა, მაგრამ ტოლსტოიმ შეძლო მის გარშემო ოსტატური ქსელის დახლართვა (სადაც მთავარ როლს ალექსის ხასა, გლეხის გოგო ეფროსინე ასრულებდა) და ალექსი მოსკოვში ჩამოიყვანა. პეტრე მხოლოდ უმაღლეს მოხელეთა და მღვდელმთავართა თანდასწრებით შეხვდა შვილს და ხმამაღლა მიმართა მას საბრალდებულო სიტყვით. ამის შემდეგ, მიძინების ტაძარში, ალექსიმ საჯაროდ უარი თქვა ტახტზე.

ამავსობაში პრეობრაჟენსკის პრიკაზი ამუშავდა. 1719 წლის მარტის დამდეგს გაასამართლეს დედოფალი ევდოკია და ლადოგის მონასტერში გაამწესეს. კიკინი ოთხად გაკვეთეს, დედოფლის მცველი, მაიორი გლებოვი ძელზე გასვეს, დანარჩენი შეთქმულებიც სასტიკად დასაჯეს.

მალე პეტერბურგში ალექსის ხასაც ჩამოვიდა, მაგრამ მეფისწულის ბინის ნაცვლად პეტრე-პავლეს ციხეში აღმოჩნდა, სადაც ყველაფერი თქვა ალექსის საქმიანობის შესახებ.

ეხლა ჯერი ალექსიზე მიდგა, რომელიც თვითონ პეტრემ დაკითხა. 19 და 24 ივნისს ალექსი აწამეს და ყველაფერი აღიარებინეს. მისი ჩვენებები პეტრემ გადასცა სასამართლოს, რომელიც 129 კაცისაგან შედგებოდა (მათ შორის 39 გვარდიის ოფიცერი იყო, დანარჩენები სენატორები, მღვდელმთავრები, მოსამართლეები, გუბერნატორები და ა. შ.).

სასამართლომ მეფისწულ ალექსის ერთხმად მიუსაჯა სიკვდილი. 1720 წლის 26 ივნისს ალექსი პეტრე-პავლეს ციხეში გარდაიცვალა, ციხეში, რომელიც შვედებთან ბრძოლის მიზნით იყო აგებული და რომელსაც არასოდეს შეუსრულებია ეს როლი. ის მალე გადაიქცა საპატიმროდ, პირველი პატიმარი კი იყო ციხის დამაარსებლის, პეტრე დიდის შვილი, მეფისწული ალექსი...

ალექსის გარდაცვალების მიზეზის შესახებ ოფიციალური ცნობები არ შემონახულა. მაგრამ ჩვენამდე მოაღწია არაერთმა ცნობამ, რითაც დასტურდება, რომ მეფისწული მოკლეს. ერთი ვერსიით, გარდაცვალების დღეს პეტრე 9 კარისკაცთან ერთად ციხეს სწვევია და „მოწყობილ იქნა წამებაო“, მაგრამ წამებულის ვინაობას არ

ახალგაზრდებს ეს ჩანაწერი. ამავე დროს, შემონახულია ა. რუმიანცევის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ მეფისწული ბალიშებით დაუხრჩვია წერილის ავტორს სამ კაცთან — ბუტურლინთან, ტოლსტოისთან და უშაკოვთან ერთად. აღსანიშნავია ისიც, რომ მალე რუმიანცევმა გვარდიის მაიორობა და გენერალ-ადიუტანტობა მიიღო...

მეორე დღეს პეტრემ პოლტავის იუბილე გადაიხადა დიდი ზეიმით. 29-ში კი სახელის დღე იდღესასწაულა.

პეტრე წინ მიუძღვებოდა რუსეთს...

რუსეთის განმანათლებელი

„პეტრე I-სთვის ცოტაა ცხენიანი ქანდაკება ისააკის მოედანზე: საკურთხეველები უნდა აუგონ მას რუსეთის დიდი სამეფოს ყველა მოედანსა და ქუჩაზე".

ბესარიონ ბელინსკი

1709 წლის სექტემბრის ერთ დღეს კიევის სოფიოს ტაძარი ხალხით იყო გაჭედილი. ტაძრის შუაგულში, საკურთხეველთან იდგა პოლტავის გმირი, რუსეთის მეფე პეტრე. მას გვერდს უმშვენებდნენ თანამებრძოლები — ა. მენშიკოვი, ბ. შერემეტიევი, მ. გოლიცინი. კათედრაზე ავიდა კიევის აკადემიის რექტორი თეოფანე პროკოპოვიჩი და დაიწყო ხოტბა — „როგორც სციპიონ აფრიკელმა სძლია ჰანიბალს ორი ათასი წლის წინათ...".

პეტრე აღტაცებისაგან ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ქადაგების დასრულებისთანავე მან ბრძანა ეთარგმნათ რექტორის სიტყვა და ევროპაში გაევრცელებინათ. თეოფანე პროკოპოვიჩი კი მალე ფსკოვისა და ნარვის არქიეპისკოპოსად აირჩიეს და პეტერბურგში გადასახლდა.

თ. პროკოპოვიჩი კიეველი იყო. მან განათლება რომში მიიღო და ცოტა ხანს კათოლიკურ ეკლესიას ემსახურებოდა. მაგრამ იეზუიტებთან კონტაქტმა გული აუცრუა მას რომზე, სამშობლოში ჩამოვიდა და მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნდა.

პეტერბურგში გადასვლის შემდეგ პროკოპოვიჩი პეტრეს რეფორმატორული მოღვაწეობის უპირველესი მეხოტბე და პროპაგანდისტი გახდა. ყველა განსაკუთრებულ შემთხვევას — იქნებოდა ეს რუსეთის ფლოტის გამარჯვება განგუტთან თუ მნიშვნელოვანი კანონის გამოქვეყნება, თ. პროკოპოვიჩი საგანგებო გამოსვლით ეხმაურებოდა. ის ბევრს წერდა (ლექსებსაც კი). მისი ნაწერები პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო პეტრეს გარემოცვაში, არამედ ევროპაშიც. პროკოპოვიჩის თხზულებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ორი ტრაქტატი. პირველი — „მონარქის სურვილის ჭეშმარიტება“ — მან მიუძღვნა 1722 წლის ბრძანებულებას ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რომლითაც პეტრემ შეცვალა მანამდე არსებული წესი (ტახტი უფროს ვაჟს გადაეცემოდა) და დაადგინა, რომ ტახტის მემკვიდრე მეფეს უნდა დაენიშნა. მეორე ტრაქტატს „სასულიერო რეგლამენტი“ ეწოდებოდა. ორივე ტრაქტატი მთლიანად ამართლებდა პეტრეს ღონისძიებებს, საერთოსა და კონკრეტულს.

თეოფანე პროკოპოვიჩი პეტრეს ეპოქის პუბლიცისტიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. მიუხედავად სასულიერო განათლებისა, მან სწორად გაიგო პეტრეს გარდაქმნების უდიდესი მნიშვნელობა რუსეთისა და, საერთოდ, სლავი ხალხებისათვის. პროკოპოვიჩი იმავე კლასობრივ პოზიციებზე იდგა, რომელთაც განაპირობეს პეტრეს მოღვაწეობის მიმართულება და მეთოდები. ამდენად, იგი პეტრეს მიერ ოპოზიციის დათრგუნვასაც ამართლებდა (მსროლელებს ის „განგრენას“ უწოდებდა). შემთხვევითი არ იყო, რომ პეტრემ პროკოპოვიჩს რუსეთის ისტორიის დაწერაც მიანდო და სინოდის ვიცე პრეზიდენტადაც დანიშნა.

პეტრეს ეპოქაში სხვა პუბლიცისტური ნაწარმოებებიც შეიქმნა. თავადაზნაურობის იდეოლოგებად გამოდიოდნენ ბოიარი თ. სალტიკოვი და ყოფილი ყმა ა. კურბატოვი, ახალი ბურჟუაზიისა— ხელოსანი და მრეწველი ივ. პოსოშკოვი, მართლმადიდებლური ეკლესიისა — სტეფანე იავორსკი, რომელიც ლუთერიანობასთან ბრძოლის ნიღაბქვეშ სიახლეებსაც ებრძოდა.

მთავრობის პოზიციების განსამარტავად და დასაცავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ რუსულ გაზეთს „უწყებებს“ (1703 წ.), რომელსაც უშუალოდ პეტრე რედაქტორობდა.

პეტრეს ეპოქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ახალი ამოცანების შესაბამისად იქმნებოდა. ახლად დაარსებული სკოლების უდიდესი უმრავლესობა საერო ხასიათისა იყო და სპეციალიზაციის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მკვეთრად იყო გამიჯნული. მოსკოვში დაარსდა სამათემატიკო და სანავიგაციო სკოლა (1701 წ.), სადაც ასწავლიდა ცნობილი მათემატიკოსი და სახელმძღვანელოების ავტორი მაგნიცკი. ამ სკოლაში დანიგიდან მსახიობებიც კი მოიყვანეს, რათა მათ სპექტაკლებს ახალგაზრდა კურსანტებისათვის არისტოკრატიული ჩვევები ესწავლებინათ. იმავე წელს დაიწყო სწავლება მეზარბაზნეთა სკოლაშიც. 1705 წელს, ბოიარ ნარიშკინის სახლში გაიხსნა სამკლასიანი გიმნაზია პასტორ გლიუკის ხელმძღვანელობით. აქ ასწავლიდნენ გეოგრაფიას, ფილოსოფიას, რიტორიკას, პოლიტიკას, დასავლურ და ძველ ენებს, არითმეტიკას, ცეკვას, ცხენოსნობას, ეთიკეტს. 1707 წელს დაარსდა სამედიცინო სასწავლებელი, ხოლო 1712 წელს საინჟინრო სკოლა.

1708 წელს გაიხსნა სასულიერო აკადემიაც, სადაც ბერძნულსა და ლათინურ ენებს ასწავლიდნენ. ამ აკადემიის დამთავრების გარეშე მღვდლად ვერავინ ეკურთხებოდა. 1721 წლიდან მას თ. პროკოპოვიჩი მეურვეობდა.

1721 წელს დაარსდა სპეციალური სკოლა, რომელიც სახელმწიფო მმართველობის სისტემისათვის ჩინოვნიკებს (დიაკებს) ამზადებდა. პროვინციებში ამოქმედდნენ სამი ტიპის სკოლები — ეპარქიალური, სამათემატიკო და საგარნიზონო. ოლონეცკის ქარხნებთან კი სამთო საქმის სკოლა გაიხსნა.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემასაც. 1703 წელს გამოიცა მაგნიცკის მათემატიკის სახელმძღვანელო. დედაენას კი კვლავ მ. სმოტრიცკის სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ, რომელიც 1648 წელს დაიწერა და 1755 წლამდე იყენებდნენ.

სისტემატურად ქვეყნდებოდა კალენდრები. 1710 წლიდან „უწყებები“ სამოქალაქო შრიფტით იბეჭდებოდა. ეს შრიფტიც პეტრეს რედაქციით შეიქმნა და მისივე მეთვალყურეობით ჩამოასხეს. მეფე საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბეჭდვის საქმეს და სტამბებს. ჯერ კიდევ ჰოლანდიაში ყოფნის დროს პეტრემ ერთ

ჰოლანდიელს უფლება მისცა სლავურ ენებზე დაებეჭდა წიგნები, რუკები, ნახაზები და რუსეთში გაეყიდა.

პეტრე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისტორიასა და ისტორიულ ლიტერატურას. მისი მითითებით ითარგმნა და გამოიცა იულიუს კეისრის, კვინტუს კურციუსის, ფლავიუსის და სხვ. თხზულებები. ამავე დროს იგი თითქმის ყველა შრომას ამოწმებდა. 1772 წელს მეფე ასტრახანიდან სწერდა სინოდს: „წიგნი რომელსაც იტალიურიდან თარგმნიდა ს. რაგუზინსკი სლავი ხალხის შესახებ, და მეორე — მაჰმადიანური კანონის შესახებ, რომელსაც თარგმნიდა თავადი კანტემირი, თუ დაბეჭდილია, დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ“.

1724 წელს: „გიგზავნით პუფენდორფის წიგნს, რომელიც ორ ტრაქტატს შეიცავს — ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობის შესახებ და ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ. მაგრამ მოვითხოვ, რომ მარტო პირველი გადაითარგმნოს, რადგან მეორე უსარგებლოა“. ხოლო როცა მას ეს თარგმანი უჩვენეს, მეფემ შენიშნა, რომ მთარგმნელს ცნობები რუსეთის შესახებ შეუკვეც-შეუღამაზებია. პეტრე განრისხდა და სიტყვა-სიტყვით თარგმნა ბრძანა: „ჩემი ქვეშევრდომების შერცხვენა კი არ მსურს, არამედ მათი ნაკლის გასწორება. გაიგონ, რას წერდნენ მათზე უცხოელები, იცოდნენ — რა გავუკეთე მე მათ და კიდევ რა უნდა გამოასწორონ“...

მეცნიერების განვითარებასაც პეტრე პრაქტიკულ მოსაზრებებს უდებდა საფუძვლად. 1696 წელს კამჩატკის აღსაწერად ვ. ატლასოვის ექსპედიცია გაგზავნა. 1719 წელს იმავე მიზნით გაემგზავრნენ ზღვაოსნები ევრეინოვი და ლუჭინი, რომელთაც ინახულეს კამჩატკა, ოხოტსკი და კურილიის კუნძულები. პეტრეს დროს და მისი უშუალო მითითებით მომზადდა ექსპედიცია, რომელსაც კვლავ კამჩატკიდან უნდა დაეწყო კვლევა და საბოლოოდ გამოერკვია — არსებობდა თუ არა სრუტე ამერიკასა და აზიას შორის. საადმირალო კოლეგიამ ექსპედიციას სათავეში ჩაუყენა დანიელი ზღვაოსანი ვიტუს ბერინგი, რომელიც უკვე ოცი წელი იყო რუსეთის სამსახურში. ბერინგის ექსპედიცია პეტერბურგიდან გავიდა პეტრეს გარდაცვალების წელს. მან, როგორც ცნობილია, ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიაში. ინსტრუქცია ექსპედიციისათვის თვით პეტრემ დაწერა.

პეტრეს დავალებით ციმბირში იმოგზაურა დ. მესერშმიტმა, რომელმაც, ციმბირის აღწერილობასთან ერთად, პეტერბურგში ჩამოიტანა მამონტის ჩონჩხის ნაწილები და მონღოლური, ტუნგუსური და ჩინური ხელნაწერები. კაპიტან სოიმონოვის მიერ შედგენილმა კასპიის ზღვის რუკამ დიდი ყურადღება მიიპყრო ევროპაში და იგი მაშინვე ითარგმნა ფრანგულად.

პეტრეს ინიციატივით სანაკუნაციო სკოლასთან გაიხსნა ობსერვატორია. კუნსტ-კამერა ანუ საბუნებისმეტყველო-საისტორიო მუზეუმი, რომლის მრავალფეროვან ექსპონატებს თვით მეფე აგროვებდა. მუზეუმში სპილოსა და მამონტის ჩონჩხების გვერდით გამოფენილი იყო ჰოლანდიიდან ჩამოტანილი რუბენსის, რემბრანდტისა და სხვ. შედევრები. მანვე ჩაუყარა საფუძველი ბოტანიკურ ბაღს— რამდენიმე ხე თვითონვე ჩარგო.

მოსკოვში, იაუზის ნაპირზე პეტრემ დააარსა საავადმყოფო და ანატომიური თეატრი[1]. გაიხსნა რამდენიმე აფთიაქი.

1722 წელს იმპერატორის ბრძანებით სინოდმა დაიწყო ძველი ხელნაწერების, მატიანეების, ქრონიკების შეგროვება, რითაც რუსეთის ისტორიის დასაწერად ბაზა უნდა შექმნილიყო. ეს საქმე პეტრემ თეოფანე პროკოპოვიჩს მიანდო.

1724 წელს სენატმა მიიღო პეტრეს მიერ შედგენილი პროექტი რუსეთის აკადემიისა, რომლის კომპლექსი შედგებოდა უნივერსიტეტისა, გიმნაზიისა და კვლევითი დაწესებულებებისაგან. დაარსდა ბიბლიოთეკაც. მეფემ დააწესა დირექტორის, ორი მოადგილისა და კომისრის თანამდებობებიც, რომელთაც მიენდოთ მეცნიერთა ცხოვრების პირობებზე ზრუნვა — „თვითონ არ ფიქრობენო ამაზე“, — ამბობდა იმპერატორი.

რუსეთის აკადემია პეტრეს გარდაცვალების შემდეგ გაიხსნა.

პეტრეს საქმიანობა მეცნიერების დარგში გარკვეულად განაპირობა მისმა მჭიდრო ურთიერთობამ ცნობილ მეცნიერ ლაიბნიცთან, რომელიც მან 1711 წელს გაიცნო. პეტრემ მას საიდუმლო მრჩევლის ტიტული მიანიჭა და ჯამაგირი გაუჩინა. ისტორიკოს კოსტომაროვის

---

1 ჰოლანდიიდან დაბრუნებული პეტრე თვითონ აკეთებდა ქირურგიულ ოპერაციებს და აძრობდა კბილებს — რასაკვირველია, მეტად სამწუხარო შედეგებით...

აზრით, ლაიბნიცს ურჩევია მეფისთვის რანგთა ტაბელის შემოღება, აკადემიის დაარსება, სიძველეთა შეგროვება, ექსპედიციების მოწყობა და ა. შ.

1718 წელს პეტრემ კაბინეტის მდივანს მაკაროვს ჩრდილოეთის ომის ისტორიის დაწერა დაავალა. ნიშტადტის ზავის დადების შემდეგ მან სპეციალური დღე — შაბათი დილა — გამოჰყო ამ ისტორიის წერის მდგომარეობის მოსასმენად. მან სპეციალური მითითება მისცა ავტორს, რომ ომის ისტორიაში შეეტანა თვით სახელმწიფო სისტემაში მომხდარი ცვლილებები, ფაქტები და მოვლენები. მისი მოთხოვნით მაკაროვი პირველწყაროებს მიმართავდა — რომოდანოვსკიმ მსროლელთა ამბოხებები აღწერა, დოლგორუკიმ — ბულავინის აჯანყება, შერემეტიევი, გოლიცინი, რეპნინი, აპრაქსინი საომარი მოქმედების შესახებ აწვდიდნენ ცნობებს, გენერალ-პოლიცმეისტერი დევიერი პეტერბურგისა და კრონშტადტის შესახებ, საგარეო საქმეთა კოლეგია უცხოეთთან ურთიერთობის ისტორიას ადგენდა, სამხედრო კოლეგია არმიის შექმნისა და შემადგენლობის სურათს აღწერდა და ა. შ.

მაკაროვი არც ისტორიკოსი იყო და არც გამოცდილი ქრონისტი. ამიტომ არ იყო გასაკვირი, რომ პეტრემ ერთი გვერდიც არ დატოვა მის თხზულებაში შეუსწორებელი. მეფეს ოთხი რედაქცია წარუდგინეს და ოთხივე დაიწუნა. ასე რომ, ეს ნაშრომი სრულიად კანონიერად პეტრეს კალამს უნდა მიეკუთვნოს.

პეტრე დაჟინებით ცდილობდა, რომ რუსეთის საზოგადოება არა მარტო შეგუებოდა სიახლეებს, არამედ თავისი ყოფა-ცხოვრებაც გარდაექმნა და ევროპული კულტურა შეეთვისებინა. ის არ ჯერდებოდა ახალგაზრდა თავადაზნაურთა გაგზავნას ევროპის ქვეყნებში და „შინდარჩენილების“ აღზრდასაც ლამობდა. უცხოეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, როგორც ითქვა, თვითონ ცდიდა და შესაფერ სამსახურში ამწესებდა, უვარგისებს კი სასახლის მსახურებს გადასცემდა გასართობად.

უპირველესად მეფემ ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება განიზრახა და საამისოდ საგანგებო ზომებს მიმართა, თავისი მეფობის დასაწყისიდანვე შეანგრია რუსი ქალების ჩაკეტილი სენაკები და საზოგადოებაში გამოიყვანა ისინი. მეფემ აკრძალა ძალით შეუღლე-

ბის ძველი წესი და ექვსკვირიანი ვადა დააწესა შესაუღლებელთა ურთიერთგაცნობად.

მეფის აზრით, განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინათ ე. წ. „ასამბლეებს“, მაღალი საზოგადოების საჯარო შეხვედრებს, რომლის წესები თვით მეფემ შეადგინა. ამ შეხვედრებში ქალების მონაწილეობა სავალდებულო იყო. „ასამბლეაზე“ იმართებოდა საქმიანი საუბრები, გართობები (აზარტული თამაშების გამორიცხვით). მსუბუქი ვახშამი, ცეკვები, რომელთაც ხშირად თვით მეფე ასწავლიდა და, ერთი თანამედროვის თქმით, დიდი წარმატებითაც. წესის დამრღვევისათვის არსებობდა სასჯელიც—ე. წ. „დიდი არწივის“ უზარმაზარი, არყით სავსე თასი, რომელსაც ძალით ასმევდნენ დამნაშავეს. თუმცა ასეთი სასჯელის შემდეგ პარიკი და ევროპული სამოსი ვეღარ ფარავდნენ ბუნებრივ თვისებებს და „კეთილშობილი“ სტუმარი ან ძირს ეგდო უგონოდ მთვრალი, ან ილანძღებოდა და ჩხუბობდა.

ასამბლეებისა და საერთო აღზრდისათვის სპეციალური ლიტერატურაც შეიქმნა, მაგალითად, „ყმაწვილთა პატიოსნების სარკე“, სადაც ასეთი „ღრმააზროვანი“ აფორიზმები ეწერა: „პირველი ნუ ეძგერები საშველს და ნუ თქვლეფ, როგორც ღორი... ფეხებს ნუ იქნევ, თითებს ნუ ილოკავ, ფრჩხილებს ნუ იკვნეტ... კბილებს დანით ნუ იჩიჩქნი... შენს თეფშთან ნუ ააშენებ ღობეს ძვლებისაგან, პურის ქერქებისაგან...“ და ა. შ.

საზოგადოების აღზრდაში თვით მეფეც აქტიურად მონაწილეობდა თავისი ცნობილი ხელკეტით, თუმცა ეს არ ითვლებოდა მძიმე სასჯელად. ხდებოდა ხოლმე, რომ პეტრე სხვას ავალებდა დამნაშავის გაჯობვას, რაც დიდი პატივი იყო. როცა კაპიტანმა სენიავინმა შვედების ორი ხომალდი დაატყვევა, პეტრემ უბრძანა: „ხვალ ისადილე მავან კაცთან და ჩემს იქ ყოფნაში 50 ხელკეტი მოსცხეო“, ეს იყო სენიავინის ჯილდო და დამნაშავის სასჯელი.

თვით მეფე საოცრად განსხვავდებოდა მოსკოველებისაგან — თავისუფალი იყო ყოველგვარი ცრურწმენებისა და ჩვეულებისაგან, რელიგიური ფანატიზმისა და ფატალიზმისაგან. ორ მეტრზე მეტი სიმაღლის, მუქწაბლისფერთმიანი, ბრიალა შავი თვალებით — რომელთა მზერას ვერავინ უძლებდა, ყბისა და ხელ-ფეხის ნერვიული მოძრაობით, იგი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე.

პეტრე განსაცვიფრებელი ენერგიის პატრონი იყო. — დილით დგებოდა 5 საათზე, ნახევარ საათს ჩაუცმელი დადიოდა — როგორც ჩანს, სამუშაო დღეს გეგმავდა, შემდეგ მოუსჭენდა მდივანს, გამოდიოდა სახლიდან და ფეხით (თუ შესაფერი ამინდი იყო) გემსაშენისაკენ მიდიოდა, იქიდან კი საადმირალოში, სადაც 1 საათამდე (სადილობამდე) მუშაობდა. სადილი, რომელსაც ჰოლანდიელი მსარეული ველტენი ამზადებდა, უბრალო იყო. ასევე უბრალოდ სადილობდა მეფეც — სიცხეში ხშირად პერანგისამარა ჯდებოდა მაგიდასთან. უაღრესად უპრეტენზიო მჭამელი იყო.

1721 წელს პეტრემ შეადგინა თავისი სამუშაო დღის რეგლამენტი — კვირაში ოთხი დღე წერითი სამუშაოები, დღეში 14 საათი. ამ რეჟიმს იცავდა ერთი წელი. წერდა იგი მოკლედ და შეცდომებით, მაგრამ სხარტად და აზრიანად. კარგად კი მეტყველებდა. განსხვავებით წინა მეფეებისაგან, იგი თვითონ აწერდა ხელს ყველა საბუთს, სადაც მეფის ხელრთვა იყო საჭირო.

პეტრეს გართობაც უყვარდა (საკმაოდ კარგად თამაშობდა ჰადრაკს), თუმცა ვერ იტანდა ბანქოს და ნადირობას. მისი სტიქია იყო წყალზე სეირნობა ნავით, განსაკუთრებული დღესასწაული — ახალი გემის ჩაშვება.

პეტრეს სიმამაცეს განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება — მისი ბიოგრაფიის ყოველი დეტალი ამის დასაბუთებაა. როცა მას 1713 წელს ერთმა ვიცე-ადმირალმა ურჩია არ მიეღო მონაწილეობა საზღვაო ოპერაციაში და მოაგონა შვედი ადმირალი, რომელიც ხომალდთან ერთად აფეთქდა, პეტრემ წააწერა მოხსენებას: „ოკოლნიჩი ზასეკინი დაიხრჩო ღორის ყურის ჭამის დროს. მე არავის ვურჩევ და ვაძალებ გამოეძევნოს საფრთხეს, მაგრამ ფულის აღება და სამსახურზე უარის თქმა სირცხვილია“.

პეტრეს საუკეთესო თვისება იყო გასაოცარი ოპტიმიზმი. მას არც გამარჯვება ახარებდა თავბრუს და არც დამარცხება უცვეცავდა ფრთებს. მოქმედებდა გაბედულად, ენერგიულად და მიზანდასახულად.

პეტრე უაღრესად ძუნწი და მომჭირნე იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივ საქმეებს მისი ეს თვისებები არ ეხებოდა. საკმარისია ითქვას, რომ პეტრეს მამამ, ალექსი მიხეილის ძემ, დატოვა 10.734 დე-

სეტინა მიწა და 50 ათასი კომლი ყმა, რაც 200 ათას მანეთის შემოსავალს იძლეოდა. პეტრემ კი დატოვა სულ 800 სული ნოვგოროდის გუბერნიაში, დანარჩენი კი ქვეყნის ინტერესებს მოახმარა.

* * *

პეტრე რკინისებური ჯანმრთელობით გამოირჩეოდა, მაგრამ ცხოვრების მეტად მკაცრი რეჟიმი ამ განსაკუთრებულ პიროვნებასაც მოერია. 1724 წელს მას დიაგნოზიც დაუსვეს — თირკმელების დაავადება და დაჟინებით მოსთხოვეს რეჟიმის შეცვლა და ზომიერება, ნაგრამ პეტრე უგულებელყოფდა ექიმების რჩევას. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა რუსეთის გარდამქმნელი მეფე...

1724 წლის ნოემბერში პეტრე ოლონეცკიდან პეტერბურგში ბრუნდებოდა. გზაში, პატარა ქალაქ ლახტისთან, იგი წააწყდა მეჩეჩზე გარიყულ ხომალდს, რომელსაც ჯარისკაცები მოჰყავდა. მეფე წყალში შევარდა და, ვიდრე ხომალდი არ გადაარჩინეს, არ გამოსულა მდინარიდან. პეტერბურგში პეტრე სასტიკი ციებ-ცხელებით დაავადებული ჩავიდა, ჩაწვა და აღარც ამდგარა. 1725 წლის 27 იანვარს პეტრემ მოითხოვა ქაღალდი, მაგრამ მხოლოდ ორი სიტყვის დაწერა შეძლო — „მიეცით ყველაფერი“... შემდეგ მოიხმო ქალიშვილი, ანა, მაგრამ ხმა ვეღარ ამოიღო. მეორე დღეს, დილის 6 საათზე, 53 წლის იმპერატორი გარდაიცვალა. მისი დაბალზამებული ცხედარი 13 თებერვალს დაასვენეს სასახლის საგანგებოდ გამზადებულ „ნაღვლიან დარბაზში“, 8 მარტს კი პეტრე-პავლეს ციხეში გადაასვენეს და შავი მაუდით შემოსილ ეკლესიაში დაასვენეს.

„რა არს ესე? რას მოვესწარით, ეჰა, რუსებო? რასა ვჰვრეტთ? რასა ვიქმთ? პეტრე დიდს ვასაფლავებთ!... მიზეზს ჩვენი უთვალავი სიკეთისა და სიხარულისა, რუსეთის მკვდრეთით აღმდგენელსა და ესოდენი ძალითა და დიდებით შემმოსველსა!..“ — ასე დაიწყო თეოფანე პროკოპოვიჩმა გამოსათხოვარი სიტყვა. პასუხად ზღვა ხალხის გაბმული ქვითინი გაისმა...

რასაკვირველია, არც მჭადაგებლის სიტყვები იყო გადაჭარბებული და არც ხალხის გლოვა არაგულწრფელი. ამ გენიალურმა პიროვნებამ წარმოუდგენელი ძერები მოახდინა უზარმაზარი ქვეყნის ცხოვრებაში და უზრუნველი, ზანტი, ფლეგმატური მოსკოვის

სახელმწიფო გადააქცია მძლავრ რუსეთის იმპერიად. მან შეუძლებელი შეძლო — ჩამორჩენილი ქვეყანა 30 წლის ტიტანური შრომით ევროპის მოწინავე ხალხთა რიგებში ჩააყენა.

„პეტრე დიდი არის უდიდესი მოვლენა არა მარტო ჩვენი ისტორიისა, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიისა; ის ღვთაებაა, რომელმაც სიცოცხლისაკენ მოგვაბრუნა, შთაბერა ცხოველი სული ძველი რუსეთის კოლოსალურ, თუმცა სასიკვდილო თვლემაში წასულ სხეულს“.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბესარიონ ბელინსკის ამ სიტყვებს...

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
ბოიარული რუსეთი . . . 8
„წუნარი“ ბაშვობა და ყრმობა 24
აზოვიდან ლონდონამდე . 39
სანკტ-პეტერბურგი . 55
„მამა მამულისა“ . 66
აღმოსავლეთი . . 80
ახალი რუსეთის მეფე 89
„სამმაგი ტყავი...“ . . 101
რუსეთის განმანათლებელი . 113